

# **სოციალური დაცვი**

## **(შემთხვევა და კომანდაცია)**

კრებულშიგამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძრვა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:

[http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციულ საქმეებზე  
2016, №10**

**Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Administrative Cases  
(in Georgian)  
2016, №10**

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Verwaltungssachen  
(in der georgischen Sprache)  
2016, №10**

**Решения Верховного Суда Грузии  
по административным делам  
(на грузинском языке)  
2016, №10**

**გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ლიანა ლომიძე**

**ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298-21-03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)**

**შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

# 1. სამსახურიდან გათავისუფლების კონცერნის

თანამდებობების კონცერნის ნისტო დანიშვნა

კონცერნის შედეგების გასაჩივრება

## გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-67-66(კ-16)

14 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

6. სხირტლაძე,

3. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემა

### აღნერილობითი ნაწილი:

2014 წლის 22 დეკემბერს ი. მ-ემ სასარჩელო განცხადებით  
მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – სისპ  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და  
მესამე პირის – ქ. ბ-ის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სა-  
ხელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის 2014 წლის 20 ივნისის  
№01-08/25 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა უნივერსიტეტ-  
ში არჩევნების ჩატარების დებულება, რომლის მიხედვითაც უნ-  
და მომხდარიყო უნივერსიტეტში არჩევნების, მათ შორის, სხვა-  
დასხვა ფაკულტეტის დეკანის არჩევნების ჩატარება, რომლის  
თანახმად, უნივერსიტეტის ფაკულტეტების საბჭოები თავად  
განსაზღვრავდნენ იმ კრიტერიუმებს, რომლებიც უნდა დაეკა-  
მაყოფილებინათ კონკურსანტებს. საყურადღებოა ის გარემო-  
ება, რომ საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ყველა ფა-  
კულტეტზე დეკანონის კანდიდატს უნდა ჰქონოდა 5-წლიანი  
აკადემიური გამოცდილება, გამონაკლისს წარმოადგენდა მხო-  
ლოდ ... ფაკულტეტი, სადაც აკადემიური გამოცდილების შესა-  
ხებ მიზანმიმართულად განისაზღვრა, რომ მოთხოვნა იყოს არა  
5-წლიანი, არამედ 1-წლიანი აკადემიური გამოცდილება, აღნიშ-  
ნული კი თავიდანვე ითვალისწინებდა ქ. ბ-ისათვის უპირატე-

სობის მინიჭებას.

მოსარჩელის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ ფაქულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით 1-წლიანი აკადემიური გამოცდილების მქონე კანდიდატს უფლება მიეცა არჩევნებში მონაწილეობის, არჩევნების შედეგები მაინც მის სასარგებლოდ დასრულდა. კერძოდ, 2014 წლის 12 დეკემბერს ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე 15 ამომრჩევლიდან მან მიიღო 8 ხმა, რის შესაბამისად იგი ითვლებოდა გამარჯვებულად, თუმცა უნივერსიტეტის რექტორმა ნაცვლად იმისა, რომ ეღიარებინა არჩევნების შედეგები, იგი უკანონოდ გააუქმა და დანიშნა ახალი არჩევნები. არჩევნების შედეგების გაუქმების საფუძველი კი გახდა სტუდენტის, გ. ბ-ის საჩივარი, რომელიც იყო უსაფუძვლო და არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. უნივერსიტეტის რექტორმა ისე ცნო არჩევნების შედეგები ბათილად, რომ საჩივართან დაკავშირებით არ ჩაუტარებია ადმინისტრაციული წარმოება, დეტალურად არ გამოუკვლევია არსებული მდგომარეობა.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ საარჩევნო კომისაში შესულ საჩივარში გამოთქმული უსაფუძვლო ბრალდებები ფაქტობრივად წარმოადგენდა არა უშუალოდ გ. ბ-ის, არამედ ი. მ-ის კონკურენტის პოზიციას და არასწორ განმარტებას, რომელიც მხოლოდ შედეგების გაუქმებას ისახავდა მიზნად.

მოსარჩელემ საჩივარში გამოთქმულ კონკრეტულ ბრალდებებთან დაკავშირებით მიუთითა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების საფუძვლებში ი. მ-ეს მიჰყავდა მხოლოდ სალექციო მუშაობა, იგი არ ანარმოებდა ჯგუფში მუშაობის შეფასებას და შესაბამისად, არ შეეძლო გ. ბ-ისათვის გაეფორმებინა ჯგუფში მუშაობის 40-ქულიანი მიმდინარე შეფასება. როგორ უნდა შეეფასებინა ი. მ-ეს გ. ბ-ის სასწავლო კურსი მისი გამოცდაზე არ ყოფის პირობებში. ყველა სასწავლო კურსს ჰყავდა თავისი პედაგოგი, გამოცდა ტარდებოდა ლექტორისა და დამსწრის მონაწილეობის პირობებში. ი. მ-ეს, დატვირთვით, ევროპისმცოდნეობის მეორე კურსთან არანაირი სააუდიტორო მუშაობა არ ჰქონდა და გათვალისწინებული.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება შემოიფარგლებოდა არჩევნების ჩატარებით, ხოლო რაც შეეხებოდა ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლებრივ დარღვევებს, იგი სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციას წარმოადგენდა.

მოსარჩელის მითითებით, დადგენილი იყო, რომ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობის დროს არანაირი დარღვევა არ დაფიქსირებულა, რაც დასტურდებოდა შესაბამისი დასკვნითი ოქ-

მით და კომისიის უფლებამოსილება ამით იწურებოდა. ყველა დანარჩენი საკითხი კომპეტენტურ ორგანოს უნდა განეხილა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ გ. ბ-ეს მისთვის ხმა არ მიუცია 2014 წლის 12 დეკემბრის არჩევნებში, მიუხედავად მისი მტკიცებისა, რომ ი. მ-ის მხრიდან ის იმყოფებოდა დიდი წნებისა და მუქარის ქვეშ, ხოლო რა მოხდა მომდევნო ორ დღეში, გაურკვეველია.

მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე გ. ბ-ის მიერ მიკემული ჩვენების მიხედვით, 13-14 დეკემბერს ი. მ-ის მხრიდან თითქოს ადგილი ჰქონდა უნივერსიტეტის შენობაში გ. ბ-ესთან შეხვედრებს, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, რისი გადამოწმება შესაძლებელი იყო ვიდეოკონტროლის ჩანაწერების მეშვეობითაც. გ. ბ-ესთან მას არც პირდაპირი და არც სატელეფონო დისტანციური სახის არანაირი კონტაქტი არ ჰქონია.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ დეკანის თანამდებობაზე საარჩევნო კამპანია ჩაატარა კეთილსინდისიერად, უნივერსიტეტის დებულებისა და საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით. ყველა ე.წ. ბრალდება, რომელიც გაცხადდა მის მიმართ იყო ხელოვნური. იგი, როგორც დეკანი, არ აწყობდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და ყველანაირად ცდილობდა, მათ შორის, არაკანონიერი გზებით ჩამოეშორებინა ის საუნივერსიტეტო საქმიანობას.

ამდენად, მოსარჩელემ სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 19 დეკემბრის №1 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემით არჩევნების შედეგების დამტკიცებულად ცნობა მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელემ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის საფუძველზე სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014 წლის 19 დეკემბრის №1 გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერების თაობაზე იშუამდგომლა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 დეკემბრის განჩინებით ი. მ-ის შუამდგომლობა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით ი. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 19

დეკემბრის №1 გადაწყვეტილება; მოპასუხეს – სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამ გადაწყვეტილებაში მითითებული, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ... ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 15 დეკემბრის №1 ოქმისა და დეკანის არჩევნების შედეგების გაუქმების მოთხოვნის შესახებ გ. ბ-ის საჩივარზე შესაბამისი გადაწყვეტილების (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) მიღება დაევალა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 20 ივნისის №01-08/25 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულება, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო უნივერსიტეტში არჩევნების, მათ შორის, სხვადასხვა ფაკულტეტის დეკანის არჩევნების ჩატარება.

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ... ფაკულტეტის საბჭოს 2014 წლის 30 ოქტომბრის №4 ოქმის საფუძველზე, დეკანის არჩევნები დაინიშნა 2014 წლის 12 დეკემბერს. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ორმა კანდიდატმა – ი. მ-ემ და ქ. ბ-ემ.

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 10 ნოემბრის №01-08/56 ბრძანების საფუძველზე, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარების მიზნით შეიქმნა საფაკულტეტო საარჩევნო კომისიები. ... ფაკულტეტზე საარჩევნო კომისია განისაზღვრა 5 წევრის შემადგენლობით.

... ფაკულტეტის საბჭოს 2014 წლის 15 სექტემბრის სხდომის გადაწყვეტილებით, საბჭოში მონაწილეობის უფლებამოსილება მიეცა 15 წევრს, მათ შორის, სტუდენტ გ. ბ-ეს.

... ფაკულტეტზე დეკანის არჩევნების პირველი ტური გაიმართა 2014 წლის 12 დეკემბერს და გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. ფაკულტეტის საბჭოში შემავალი 15 წევრიდან (ამორჩევლიდან) ი. მ-ემ მიიღო 4 ხმა, ქ. ბ-ემ 6 ხმა, 5 ბიულეტენი კი სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 50-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ბათოლად იქნა ცნობილი, რადგანაც არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერი კომისიის წევრების ხელმოწერა.

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 20 ივნისის №01-08/25 ბრძანებით დამტკიცებული საარჩევნო დებულების შესაბამისად, 3 დღის ვადაში 2014 წლის 15 დეკემბერს ჩატარდა მე-2 ტური, რომელშიც სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 8 ხმით 7-ის წინააღმდეგ, გაიმარჯვა ი. ბ-ებ.

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში, 2014 წლის 16 დეკემბერს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში დაფიქსირდა ამომრჩევულის – გ. ბ-ის №ბ-3163 და დეკანობის კანდიდატის – ქ. ბ-ის №6318 საჩივრები, რომლითაც მოითხოვდნენ ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 15 დეკემბრის №1 ოქმისა და დეკანის არჩევნების შედეგების გაუქმებას. გ. ბ-ის მიერ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში 2014 წლის 16 დეკემბერს წარდგენილი საჩივრისა და ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოპოვებული მასალების შესწავლის შედეგად, კომისიამ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით: 5 მომხრე, 2 წინააღმდეგი, მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებითა და საარჩევნო დებულებით დადგენილი წესის დარღვევას.

უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის მიერ 2014 წლის 19 დეკემბერს დაკმაყოფილდა გ. ბ-ის საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი ... ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 15 დეკემბრის ოქმი №1 და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 20 ივნისის №01-08/25 ბრძანების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 3 დღის ვადაში დაინიშნა დეკანის არჩევნების მე-2 ტური.

... ფაკულტეტის დეკანის არჩევნების მე-2 ტური გაიმართა 2014 წლის 22 დეკემბერს და მე-2 ტურში გამარჯვებულად გამოცხადდა ქ. ბ-ე.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს, ასევე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პრინციპებს აწესრიგებდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო ძი-

რითადი საგანმანათლებლო ერთეულის დეკანს ირჩევდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 4 წლისა. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულიყო ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო აქვეყნებდა კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, საქართველოს კანონმდებლობითა და საკუთარი წესდებით დადგენილი წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებით დამტკიცებული სის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 27-ე მუხლის თანახმად, საფაკულტეტო საარჩევნო კომისია იქმნებოდა რექტორის ბრძანებით. მისი შემადგენლობა განისაზღვრებოდა არანაკლებ 5 წევრისაგან. საფაკულტეტო საარჩევნო კომისიაში შედიოდა შესაბამისი ფაკულტეტიდან სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი.

სასამართლოს მითითებით, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 20 ივნისის №01-08/25 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულება, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარება.

სასამართლომ განმარტა, რომ სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 53-ე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული იყო, რომ არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისია იღებდა იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევდა, რომ წესდებით დადგენილი წესის ან/და საფაკულტეტო საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში გამოვლენილმა დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია არჩევნების შედეგებზე.

უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 19 დეკემბრის №1 გადაწყვეტილებით დადასტურებულად იქნა მიჩნეული ფაქტობრივი გარემოება, რომლის თანახმად იკვეთებოდა ი. მ-ის მხრიდან არჩევნებში მონაბილე კანდიდატის სტატუსთან შეუფერებელი ქმედება, რაც გამოიხატა ამომრჩეველზე სიკეთის/პრივილეგიის მინიჭების ან ასეთის დაპირების განხორციელებაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის ასეთი დასკვნის

მიღების საფუძვლად 2014 წლის 19 დეკემბრის №1 გადაწყვეტილებაში მითითებული იყო შემდეგ მტკიცებულებებზე: გ. ბ-ის განმარტება, სტუდენტი ი. დ-ს მიერ კომისიისათვის წარდგენილი 2014 წლის 18 დეკემბრის წერილობითი ახსნა-განმარტება, ქ. ბ-ის 2014 წლის 18 დეკემბრის მოხსენებითი ბარათი. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 19 დეკემბრის №1 გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად მითითებული იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 44-ე მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანიამ და აგიტაციამ არ უნდა შეუშალოს ხელი უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს. იკრძალება მეცადი-ნეობებზე სტუდენტებთან საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ჩატარება, აგრეთვე, ნებისმიერი ისეთი ქმედება, რაც შეუფერხებელია ასარჩევი კანდიდატის სტატუსთან (პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მოსყიდვა, ან რაიმე სიკეთის ან პრივილეგიის მინიჭება, ან ასეთის დაპირება და სხვა), ხელყოფს წესრიგს უნივერსიტეტში ან ზიანს აყენებს უნივერსიტეტის ქონებას; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების მე-18 მუხლის მე-6 პუნქტზე, რომელიც იგივე შინაარსის შემცველია და ასევე, არჩევნების ჩატარების დებულების 27-ე მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლის მიხედვით, არჩევნების ბათოლად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ წესდებით დადგენილი წესის ან/და საფაკულტეტო საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში გამოვლენილმა დარღვევამ არსებითი გავლენა იქნია არჩევნების შედეგებზე.

სასამართლომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, მოპასუხის მიერ 2014 წლის 19 დეკემბრის №1 გადაწყვეტილებით გამოტანილი დასკვნა, რომ ი. მ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა კანდიდატის სტატუსთან შეუფერხებელ ქმედებას, რაც გამოიხატა ამომრჩეველზე სიკეთის/პრივილეგიის მინიჭების ან ასეთის დაპირების განხორციელებაში, არ იყო მიღებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოვლენისა და მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ასეთი დასკვნა არ იყო გამყარებული, უტყუარი მტკიცებულებებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ კომისიის მიერ კრიტიკულად არ იქნა შეფასებული და გაანალიზებული გ. ბ-ის განმარტებები, კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებაზე დაკავშირებით. გ. ბ-ის მტკიცების

თანახმად, ი. მ-ის მხრიდან მის მიმართ სიკეთის/პრივილეგიის მინიჭების და ასეთის დაპირების თაობაზე ფაქტს ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ ფაკულტეტის დეკანის არჩევნების დანიშვნამდე და გ. ბ-ის ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩევამდე.

ამასთან, საარჩევნო კომისიამ არ გამოიკვლია და არ შეაფასა, თუ რამდენად იყო რეალური და შესაძლებელი დაპირება იმის თაობაზე, რომ სტუდენტის სხვადასხვა სასწავლო კურსების ჩაბარება მომხდარიყო უნივერსიტეტის ლექტორის მიერ, გამოცდებზე თავად სტუდენტის მონაწილეობის გარეშეც კი. ასევე, რამდენად რეალური იყო გ. ბ-ის მიერ აღწერილი ფაქტობრივი გარემოება, რომ თავისი კეთილგანწყობის დემონსტრირების მიზნით, ი. მ-ე რეიტინგულ გამოცდაზე წინ ჩამოეფარა მას და მოუწოდებდა, რომ სტუდენტს სასწრაფოდ გადაეწერა საკითხები. ასეთი ფაქტობრივი გარემოების რეალურად არსებობის საკითხის გამოკვლევის და დადგენის შესახებ, მოპასუხის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების საპროცესო მოქმედებები აშკარად არასარულყოფილ ხასიათს ატარებდა, ხოლო მოსარჩელე ი. მ-ე როგორც ადმინისტრაციული წარმოების დროს, საარჩევნო კომისიის წინაშე, ისე საქმის სასამართლო განხილვისას კატეგორიულად უარყოფდა ასეთ ფაქტებს.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია და მიუთითა იმ მნიშვნელოვან გარემოებაზე, რომ სტუდენტ გ. ბ-ეს ჰქონდა თავისუფალი შესაძლებლობა, მის მიმართ განხორციელებული ზენობებინა ფაკულტეტის საბჭოს, საარჩევნო კომისიის, ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის, რაშიც ის არ ყოფილა არაფრით შეზღუდული. მოპასუხე მხარეს საარჩევნო კომისიის მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში არ ჰქონია მცდელობა, ამ გარემოების გამორკვევასთან დაკავშირებით, ხოლო სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის დროს, მოწმის სახით დაკითხულმა გ. ბ-ემ ვერ დაასაბუთა ამ მხრივ თავისი პასუხი, დამაჯერებელი და სარწმუნო მოტივაციით.

ფულის სესხების ფაქტთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ 2014 წლის 11 დეკემბრისათვის, ანუ არჩევნების 1-ლი ტურის ჩატარებამდე, ი. მ-ეს გ. ბ-ემ ვალი დაუბრუნა.

სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ის გარემოება, რომ ი. მ-ის მხრიდან განხორციელებული ზენობების თუ მოსყიდვის მცდელობის მიუხედავად გ. ბ-ემ, მისი განმარტების თანახმად, დეკანის არჩევნების პირველ ტურში მხარი დაუჭირა არა ი. მ-

ის, არამედ ქ. ბ-ის კანდიდატს, ხოლო მე-2 ტურში ხმა მისცა ი. მ-ეს, რისი მიზეზიც, სასამართლოს მითითებით, მხარეებმა ვერ დაასაბუთეს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-6 თავის, 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევა ხდებოდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 20 ივნისის №01-08/25 ბრძანებით დამტკიცებული, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების მე-16 მუხლის თანახმად, ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ტარდებოდა უნივერსიტეტის წესდების მე-6 თავით დადგენილი წესის შესაბამისად. ამ რეგულაციის მიხედვით, ... ფაკულტეტზე დეკანის არჩევნების 1-ლ და მე-2 ტურში არჩევნების პროცედურა წარიმართა ფარული კენჭისყრით, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ კონფიდენციალური და დაცული იყო ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რომელმა ამომრჩეველმა რომელ კანდიდატს დაუჭირა მხარი და მისცა ხმა. ამავდროულად, არჩევნების აღნიშნული პრინციპი უზრუნველყოფდა იმას, რომ ამომრჩევლის მოქმედება და ხმის მიცემის საიდუმლო, არჩევნების შემდეგაც დაცული და გაუსაჯაროებელი დარჩენილიყო.

აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ბ-ის მტკიცება დეკანის არჩევნების პირველ ტურში სხვა კანდიდატისათვის, ხოლო მე-2 ტურში ი. მ-ისათვის ხმის მიცემის თაობაზე, ნებისმიერ შემთხვევაში მოკლებული იქნებოდა უტყუარ და სარწმუნო დასაბუთებას.

სასამართლოს მითითებით, 2014 წლის 19 დეკემბრის №1 გადაწყვეტილებით მიღებულია დასკვნა, რომ ი. მ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა კანდიდატის სტატუსთან შეუფერებელ ქმედებას, რაც გამოიხატა ამომრჩეველზე სიკეთის/პრივილეგიის მინიჭების ან ასეთის დაპირების განხორციელებაში და რამაც არსებითი გავლენა იქონია არჩევნების შედეგებზე. არჩევნების მე-2 ტურში ამომრჩეველმა გ. ბ-ემ ხმა მისცა სწორედ ი. მ-ის კანდიდატს, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა შედეგებისათვის, რამდენადაც მიღებული ხმების შეფარდება ორ კანდიდატს შორის შეადგენდა: 8 ხმა, 7-ის წინააღმდეგ ი. მ-ის სასარგებლოდ.

სასამართლოს მითითებით, მოპასუხე მხარემ ვერ დაასაბუთა გ. ბ-ის საჩივრის განხილვისას რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ მან ხმა არჩევნების მე-2 ტურში ი. მ-ის კანდიდატს მისცა, რის გარეშეც უსაფუძვლო და დაუსაბუ-

თებელი იყო 2014 წლის 19 დეკემბრის №1 გადაწყვეტილებაში მითითებული დასკვნა, რომ ი. მ-ის წინასაარჩევნო პერიოდში კონკრეტულმა ქმედებებმა (რასაც გ. ბ-ე მიუთითებდა) არსებითი გავლენა იქონია არჩევნების შედეგებზე.

სასამართლოს განმარტებით, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე იყო ის გარემოება, რომ საარჩევნო კომისიას ზუსტად უნდა დაედგინა, ამომრჩეველ გ. ბ-ისა და დეკანობის კანდიდატის – ქ. ბ-ის საჩივრებში მოყვანილი გარემოებები, წინასაარჩევნო პერიოდში დეკანობის კანდიდატის – ი. მ-ის ქმედებებთან დაკავშირებით, შეესაბამებოდა თუ არა სინამდვილეს და დადებით შემთხვევაში, კომისიას უნდა მოეხდინა ამ გარემოებების სამართლებრივი ანალიზი იმ კუთხით, ამ ქმედებებმა არსებითი გავლენა იქონია თუ არა არჩევნების შედეგებზე, რისთვისაც აუცილებელი იყო შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოების გამოკვლევა და ანალიზი. საარჩევნო კომისიამ 2014 წლის 19 დეკემბრის №1 საოქმო გადაწყვეტილებით, სათანადო მტკიცებულებების სრულყოფილი გამოკვლევის გარეშე მიიჩნია, რომ ი. მ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა კანდიდატის სტატუსთან შეუფერებელ ქმედებას, რაც თითქოს გამოიხატა ამომრჩეველზე სიკეთის/პრივილეგიის მინიჭების ან ასეთის დაპირების განხორციელებაში და რამაც არსებითი გავლენა იქონია არჩევნების შედეგებზე, რის საფუძველზეც ბათილად ცნო არჩევნების ის შედეგები, რომელიც ... ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 15 დეკემბრის №1 საოქმო გადაწყვეტილებით იყო აღიარებული და რომლის თანახმად, დეკანის არჩევნებში გამარჯვებული იყო მოსარჩევე ი. მ-ე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ 2014 წლის 19 დეკემბერს მიღებული საოქმო გადაწყვეტილება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევით იყო მიღებული, ხოლო არჩევნების პროცედურებთან დაკავშირებული დარღვევის თაობაზე წარდგენილი საჩივრის შესახებ საკითხის გადაწყვეტა, სსიპ ბათუმის მოთარუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განეკუთვნებოდა უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის დისკრეციულ უფლებამოსილებას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელმაც

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება; ი. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ირჩევდა დაწესებულების მართვის ორგანოებსა და თანამდებობის პირებს. ამავე კანონის მე-16 მუხლი განსაზღვრავდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პრინციპებს, რომლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არჩევნების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას, კონკურსების საჯაროობას.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიას, რაც ამავე კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ნიშნავდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის თავისუფლებას, დამოუკიდებლად განესაზღვრა და განეხორციელებინა აკადემიური, საფინანსო-ეკონომიკური და ადმინისტრაციული საქმიანობა, რასაც ახორციელებდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოები: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი). ამავე კანონის 28-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევდა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დეკანს. აღნიშნული კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დეკანს ირჩევდა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 4 წლისა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის № 1106 ბრძანებით დამტკიცებული სის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 27-ე მუხლის თანახმად, საფაკულტეტო საარჩევნო კომისია იქმნებოდა რექტორის ბრძანებით. მისი შემადგენლობა განისაზღვრებოდა არანაკლებ 5 წევრისაგან. საფაკულტეტო საარჩევნო კომისიაში შედიოდა შესაბამისი ფაკულტეტიდან სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი.

უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 20 ივნისის № 01-08/25 ბრძანებით დამტკიცებული, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების მე-16 მუხლის თანახმად, ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ცხადდებოდა კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებამდე ერთი თვით ადრე. არჩევნები ტარდებოდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დეკანად 4 წლის ვადით აირჩეოდა ამავე ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. ამავე დებულების მე-18 მუხლი განსაზღვრავდა წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის ჩატარების წესს. მითითებული მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანიას და აგიტაციას ხელი არ უნდა შეეშალა უნივერსიტეტში სასწავლო პროცესისათვის. იკრძალებოდა მეცადინეობებზე სტუდენტებთან საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ჩატარება, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ქმედება, რაც შეუფერებელი იყო ასარჩევი კანდიდატის სტატუსთან (პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მოსყიდვა, ან რაიმე სიკეთის ან პრივატულობის მინიჭება, ან ასეთის დაპირება და სხვა), ხელყოფდა წესრიგს უნივერსიტეტში ან ზიანს აყენებდა უნივერსიტეტის ქონებას.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში დადგენილი იყო, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ გ. ბ-ისა და ქ. ბ-ის საჩივრების განხილვისას ადმინისტრაციული წარმოება ჩატარა საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შესწავლის შედეგად. 2014 წლის 16, 17, 18 დეკემბერს ჩატარა სხდომები, რაზედაც შედგენილი იყო შესაბამისი ოქმები, სხდომაში მონაწილეობა მიღეს ქ. ბ-ემ, გ. ბ-ემ და ი. მ-ემ.

სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დადასტურებულად მიიჩნია, რომ ი. მ-ის მხრიდან

მხარდაჭერის მიზნით, გ. ბ-ის მიმართ განხორციელდა მისთვის სიკეთისა და პრივილეგიის მინიჭების დაპირება, რაც უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 20 ივნისის №01-08/25 ბრძანებით დამტკიცებულ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევას წარმოადგენდა.

არჩევნებამდე ი. მ-ემ გ. ბ-ეს ასესხა ფული – 100 ლარი, ხოლო როდესაც არჩევნების წინა დღეს მიუიდა თანხის უკან დასაბრუნებლად, ამ უკანასკნელმა უარით გამოისტუმრა. აღნიშნული ფაქტი ასევე დადასტურა ი. დ-ემ, რომლის განმარტებით მხოლოდ მისი ჩარევის შემდეგ გამოართვა ნასესხები ფული ი. მ-ემ გ. ბ-ეს. ი. მ-ის ასეთ ქმედებას გ. ბ-ე პირდაპირ უკავშირებდა არჩევნებს.

გარდა აღნიშნულისა, გ. ბ-ის განმარტებით, ი. მ-ე ხმის მიცემის სანაცვლოდ დაპირდა იმ სასწავლო კურსების ჩაბარებას, რომელიც არ ჰქონდა მიმდინარე სემესტრში დარეგისტრირებული. მისი მტკიცებით, სწორედ ამ მიზნით შეიყვანა ი. მ-ემ დაურეგისტრირებული საგნის (საერთაშორისო ურთიერთობის) სპეციალობის რეიტინგულ წერაზე. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებდა ასევე სტუდენტი ა. შ-ე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გ. ბ-ის განმარტებით, ადგილი ჰქონდა ასევე მუქარისა და ზენოლის ფაქტებს სატელეფონო საშუალებით. აღნიშნულ საკითხზე წარმოდგენილი იყო ამონანერი შემავალი და გამავალი სატელეფონო ზარების მობილური ოპერატორიდან. სატელეფონო ზარების განხორციელებას არ უარყოფდა ი. მ-ე, თუმცა ის გამორიცხავდა გ. ბ-ის მიმართ რაიმე ზენოლისა და მუქარის ფაქტს.

მითითებულ გარემოებათა გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონიერი იყო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება გ. ბ-ის საჩივრის დამაყოფილებისა და ... ფაკულტეტის დეკანის არჩევნების მე-2 ტურის დანიშვნის თაობაზე.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა საქართველოს აღმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის გამოყენების საფუძველი, ვინაიდან, აღმინისტრაციულმა ორგანომ სათანადო მტკიცებულებების სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად მიიღო დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. მ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული

გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნავს, რომ სტუდენტმა გ. ბ-ემ 2014 წლის 15 დეკემბრის განცხადებაში, რომლითაც მიმართა უნივერსიტეტის რექტორს – ა. ბ-ეს, მიუთითა რა ი. მ-ის მხრიდან ზეწოლის, წნევის, დაშინების, მოსყიდვისა და შანტაჟის შესახებ, თუმცა განცხადების ბოლოს ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად ამ ყველაფრისა 2014 წლის 12 დეკემბრის დეკანის არჩევნებში მან ხმა მისცა მეორე კანდიდატს ქ. ბ-ეს. შესაბამისად, კასატორის მითითებით, წინასაარჩევნო კამპანიის პრიოდში (30 ოქტომბრიდან 11 დეკემბრამდე) მართლაც რომ ჰქონდა ადგილი მსგავს ფაქტებს, მან თავისუფლად შეძლო საკუთარი სამოქალაქო ვალდებულებების განხორციელება და ხმა მისცა მის რჩეულ კანდიდატს, რაც დასტურდებოდა გ. ბ-ის 2014 წლის 15 დეკემბრის განცხადებით რექტორის – ა. ბ-ის სახელზე (კანცელარიაში რეგისტრაციის ნომერი ბ-3162).

კასატორის მითითებით, სტუდენტმა გ. ბ-ემ 2014 წლის 15 დეკემბრის განცხადებაში აღნიშნა, რომ 2014 წლის 12 დეკემბრის არჩევნებში ი. მ-ისათვის ხმა არ მიუცია, რაც მან მარტივად გაიგო და მასზე დაიწყო ტოტალური ზეწოლის განხორციელება, აღნიშნული ფაქტი გამოიხატა ფსუქტოლოგიურ წნევში, სატელეფონო ზარებში, სხვადასხვა პირთა მიგზავნაში და ა. შ. მსგავსი შინაარსის განცხადებები, კასატორის მითითებით, მან ასევე გააკეთა 2014 წლის 17 დეკემბრის უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სხდომაზე, სადაც განაცხადა შანტაჟის ფაქტზე, რაც გამოიხატა სატელეფონო და პირადი საუბრებით შაბათ-კვირას, ანუ 2014 წლის 13 და 14 დეკემბერს. 2014 წლის 13 და 14 დეკემბერს განხორციელებული სატელეფონო ზარებისა და ზეწოლის დასადასტურებლად გ. ბ-ემ 2014 წლის 18 დეკემბერს ახსნა-განმარტებითი ბარათით მიმართა უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს – გ. დ-ეს და სატელეფონო ამონანერი წარუდგინა, თუმცა კასატორის მითითებით, აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ამონანერი ასახავდა 11 და 12 დეკემბრის მდგომარეობას, რომელსაც კავშირი არ ჰქონდა 15 დეკემბრის არჩევნებთან. ასევე იმავე დღეს ე.ი. 2014 წლის 18 დეკემბერს გ. ბ-ემ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს – გ. დ-ეს მეორე ახსნა-განმარტებითი ბარათი გადასცა, რომელშიც თავადვე უარყო 13-14 დეკემბერს განხორციელებული ზეწოლისა და შანტაჟის ფაქტები და აღნიშნა, რომ ზემოთ ხსენებულს ადგილი ჰქონდა 12 დეკემბერს (გ. ბ-ის 2014 წლის 15 დეკემბრის განცხადება რექტორის – ა. ბ-ის სახელზე

(კანცელარიაში რეგისტრაციის ნომერი ბ-3162); გ. ბ-ის 2014 წლის 18 დეკემბრის ახსნა-განმარტებითი ბარათი უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს – გ. დ-ის სახელზე (კანცელარიაში რეგისტრაციის ნომერი ბ-3186); გ. ბ-ის 2014 წლის 18 დეკემბრის ახსნა-განმარტებითი ბარათი უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს – გ. დ-ის სახელზე (კანცელარიაში რეგისტრაციის ნომერი ბ-3181)).

კასატორი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ 2014 წლის 19 დეკემბრის სადავო გადაწყვეტილებაში, რომლითაც გააუქმა 2014 წლის 15 დეკემბრის საფაკულტეტო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი, იხელმძღვანელა გ. ბ-ის 2014 წლის 15 დეკემბრის განცხადების (კანცელარიაში რეგისტრაციის ნომერი ბ-3162) და 2014 წლის 18 დეკემბრის ახსნა-განმარტებითი ბარათის (კანცელარიაში რეგისტრაციის ნომერი ბ-3186) საფუძველზე, რომელთა შედარებითი ანალიზი ავლენდა დიდ წინააღმდეგობას ფაქტების სინამდვილის დასადგენად და რეალურად არ დასტურდებოდა ი. მ-ის მხრიდან 2014 წლის 13-14 დეკემბერს (შაბათ-კვირა) გ. ბ-ის მიმართ ზეწოლისა და შანგრაჟის ფაქტობრივი გარემოებები. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ იხელმძღვანელა 12 დეკემბრამდე არსებული ფაქტობრივი გარემოებებით, ხოლო 12 დეკემბერს არჩევნებზე თავად გ. ბ-ემ (მისი განცხადებითაც ჩანს) სრულად შეძლო მისი მოქალაქეობრივი ვალდებულების შესრულება და ხმა მისცა ქ. ბ-ეს. ასეთ შემთხვევაში, კასატორის მითითებით, გაუგებარი იყო, რატომ გამოიყენა საარჩევნო კომისიამ გ. ბ-ის მიერ გაკეთებული განცხადების მიხედვით 12 დეკემბრამდე განხორციელებული ფაქტობრივი გარემოებები 15 დეკემბრის მეორე ტურის არჩევნების შედეგების გაუქმებისთვის, მაშინ როცა 12 დეკემბრის ანუ პირველი ტურის არჩევნების შემდეგ 13 და 14 დეკემბერს ახალი საარჩევნო პერიოდი იყო. ხოლო ამ პერიოდში ი. მ-ეს არ ჰქონია არც სატელეფონო და არც პირადი შეხვედრა გ. ბ-ესთან. გ. ბ-ემ ვერ წარმოადგინა მის მიერ გაკეთებული განცხადების დამადასტურებელი დოკუმენტები (უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება №1, გ. ბ-ის 2014 წლის 15 დეკემბრის განცხადება რექტორის – ა. ბ-ის სახელზე (კანცელარიაში რეგისტრაციის ნომერი ბ-3162), გ. ბ-ის 2014 წლის 18 დეკემბრის ახსნა-განმარტებითი ბარათი უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის – გ. დ-ის სახელზე (კანცელარიაში რეგისტრაციის ნომერი ბ-3186)).

კასატორი აღნიშვნავს, რომ იგი პრივილეგირებულ მდგომა-

რეობაში ვერ ჩააყენებდა და ვერ დაეხმარებოდა გ. ბ-ეს, რადგან ყველა გამოცდა იყო კომისიური, ხოლო გ. ბ-ეს 2014 წლის შემოდგომის სემესტრის არც ერთ სასწავლო კურსს არ ასწავლიდა და ბუნებრივია ვერ იქნებოდა მის გამოცდაზე. რაც შეეხება ჩაჭრილ სასწავლო კურსს – „საერთაშორისო ურთიერთობების საფუძვლებს“, მისი ხელახალი გავლა სტუდენტის მიერ რეგულირდებოდა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის დადგენილების საფუძველზე. ამ შემთხვევაში სტუდენტი სემესტრის დასაწყისში არეგისტრირებდა შესაბამის საგანს, იხდიდა მის ღირებულებას და ამის შემდეგ ხდებოდა მისი დაშვება ლექცია-სემინარებზე. ამასთან, ამ ყველაფერს თუ ადგილი ნოებრის თვეში ჰქონდა, სტუდენტს მსგავს პრივილეგირებულ მდგომარეობაზე განცხადება შეეძლო მანამდეც გაეკეთებინა. უფრო მეტიც, თუ ის მართლაც ჩააყენა პრივილეგირებულ მდგომარეობაში, 2014 წლის 12 დეკემბრის დეკანის არჩევნებში მისთვის ხმა მაინც არ მიუცია. ამასთან, გ. ბ-ე რომ ვერ იქნებოდა არარეგისტრირებულ საგანში გამოცდაზე ამას ადასტურებდა ფაკულტეტის მდივნის – ლ. ბ-ას მოხსენებითი ბარათი (კანცელარიაში რეგისტრაციის ნომერი 6366) და რექტორის მოადგილის – ი. ბ-ის პასუხი ი. მ-ისადმი (01-19/1). რაც შეეხება, ა. შ-ის ახსნა-განმარტებით ბარათს, კასატორი აღნიშნავს, რომ ამ სტუდენტმა მის საგანში არასათანადო ცოდნის გამო ვერ მიიღო შეფასება და ჩაიჭრა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მას ადმინისტრირების გზით აუმალლა ნიშანი, რასაც ადასტურებს მის მიერ საქართველოს განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურში გაგზავნილი წერილი თანდართული დოკუმენტებით (უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება №1; გ. ბ-ის 2014 წლის 15 დეკემბრის განცხადება (კანცელარიაში რეგისტრაციის ნომერი ბ-3162); ქ. ბ-ის 2014 წლის 18 დეკემბრის განცხადება (კანცელარიაში რეგისტრაციის ნომერი 6331); სტუდენტის ა. შ-ის უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გ. დ-ის სახელზე დაწერილი ახსნა-განმარტებითი ბარათი (კანცელარიაში რეგისტრაციის ნომერი 3178).

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ 2014 წლის 17 დეკემბერს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სხდომაზე გ. ბ-ის მიერ მიცემული ჩვენების მიხედვით 13-14 დეკემბერს (შაბათ-კვირას) მისი მხრიდან თითქოს ე.ნ. შეხვედრები განხორციელდა უნივერსიტეტის შენობაში, მამინ, როცა მასზე ახდენდა ზენოლას და შანტაჟს. აღნიშნულის დასადასტურებლად სხდომაზე მოითხოვა შესაბამისი ვიდეო-ჩანაწერების ამოღება. რაც არ

დაკმაყოფილდა კომისიის მიერ, ხოლო ამ მოთხოვნის შემდეგ გ. ბ-ემ თავად უარყო მასთან შეხვედრები, რის შესახებაც მიმართა საარჩევნო კომისიას წერილობით (უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 17 დეკემბრის სხდომის ოქმი №3; გ. ბ-ის 2014 წლის 18 დეკემბრის ახსნა-განმარტებითი ბარათი უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის – გ. დ-ის სახელზე (კანცელარიაში რეგისტრაციის ნომერი ბ-3186).

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ გ. ბ-ის 2014 წლის 15 დეკემბრის განცხადებას (კანცელარიაში რეგისტრაციის ნომერი ბ-3162) თანდართული აქვს მის მიერ გადაღებული საარჩევნო ბიულეტენი (ქსეროქსი), რითაც ამტკიცებს, რომ 2014 წლის 15 დეკემბერს ნამდვილად მისცა ხმა, თუმცა კომისიის თხოვნის მიუხედავად მან ვერ ნარადგინა ფოტოსურათის ორიგინალი (უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 17 დეკემბრის სხდომის ოქმი №3).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 8 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ი. მ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისის განჩინებით ი. მ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივარის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის 2014 წლის 20 ივნისის №01-08/25 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულება, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო უნივერსიტეტში არჩევნების, მათ შორის, სხვადასხვა ფაკულტეტის დეკანის არჩევ-

ნების ჩატარება.

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ... ფაკულტეტის საბჭოს 2014 წლის 30 ოქტომბრის №4 ოქმის საფუძველზე, დეკანის არჩევნები დაინიშნა 2014 წლის 12 დეკემბერს. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ორმა კანდიდატმა, ი. მ-ემ და ქ. ბ-ემ.

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 10 ნოემბრის №01-08/56 ბრძანების საფუძველზე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარების მიზნით შეიქმნა საფაკულტეტო საარჩევნო კომისიები. ... ფაკულტეტზე საარჩევნო კომისია განისაზღვრა 5 წევრის შემადგენლობით. ... ფაკულტეტის საბჭოს 2014 წლის 15 სექტემბრის სხდომის გადაწყვეტილებით საბჭოში ხმის მიცემის უფლებამოსილება მიეცა 15 წევრს, მათ შორის, სტუდენტ გ. ბ-ეს.

დადგენილია, რომ ... ფაკულტეტზე დეკანის არჩევნების 1-ლი ტური გაიმართა 2014 წლის 12 დეკემბერს და გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ფაკულტეტის საბჭოში შემავალი 15 წევრიდან (ამომრჩევლიდან) ი. მ-ემ მიიღო 4 ხმა, ქ. ბ-ემ 6 ხმა, 5 ბიულეტენი კი ბსუ-ს წესდების 50-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ბათილად იქნა ცნობილი, რადგანაც არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერი კომისიის წევრების ხელმოწერა.

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 20 ივნისის №01-08/25 ბრძანებით დამტკიცებული საარჩევნო დებულების შესაბამისად, 3 დღის ვადაში 2014 წლის 15 დეკემბერს ჩატარდა მე-2 ტური, რომელშიც სითომ შემადგენლობის უმრავლესობით 8 ხმით 7-ის ნინა-აღმდეგ გაიმარჯვა ი. მ-ემ.

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში, 2014 წლის 16 დეკემბერს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში დაფიქსირდა ამომრჩევლის – გ. ბ-ის №ბ-3163 და დეკანობის კანდიდატის – ქ. ბ-ის №6318 საჩივრები, რომლითაც მოითხოვეს ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 15 დეკემბრის №1 ოქმისა და დეკანის არჩევნების შედეგების გაუქმება. გ. ბ-ის მიერ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში 2014 წლის 16 დეკემბერს წარდგენილი საჩივრისა და ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოპოვებული მასალების შესწავლის შედეგად, კომისიამ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით: 5 მომხრე, 2 ნინააღმდეგი, მი-

იჩნია, რომ ადგილი ჰქონდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებითა და საარჩევნო დებულებით დადგენილი წესის დარღვევას.

დადგენილია, რომ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის მიერ 2014 წლის 19 დეკემბერს დაქმაყოფილდა გ. ბ-ის საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი ... ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 15 დეკემბრის ოქმი №1 და „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 20 ივნისის №01-08/25 ბრძანების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 3 დღის ვადაში დაინიშნა დეკანის არჩევნების მე-2 ტური.

... ფაკულტეტის დეკანის არჩევნების მე-2 ტური გაიმართა 2014 წლის 22 დეკემბერს და მე-2 ტურში გამარჯვებულად გამოცხადდა ქ. ბ-ე.

განსახილველი დავის საგანს სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 19 დეკემბრის №1 გადაწყვეტილების კანონიერების დადგენა წარმოადგენს. აღნიშნული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას მოსარჩევე ითხოვს იმ საფუძვლით, რომ მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია სტატუსთან შეუფერებელ ქმედებას, რაც თითქოს გამოიხატებოდა ამომრჩეველზე სიკეთის/პრივილეგიის მინიჭების ან ასეთის დაპირების განხორციელებაში.

საკავაციო სასამართლო განმარტავს, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს, ასევე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის წესს.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ამავე კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო ძირითადი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული ვა-

დღით, მაგრამ არა უმეტეს 4 წლისა. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება აირჩის ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, საქართველოს კანონმდებლობითა და საკუთარი წესდებით დადგენილი წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დეკანად შეიძლება აირჩის დოკტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებით დამტკიცებული სისი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 27-ე მუხლის თანახმად, საფაკულტეტო საარჩევნო კომისია იქმნება რექტორის ბრძანებით. მისი შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 5 წევრისაგან. საფაკულტეტო საარჩევნო კომისიაში შედის შესაბამისი ფაკულტეტიდან სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი.

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 20 ივნისის №01-08/25 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა უნივერსიტეტში დეკანის არჩევნების ჩატარების დებულება, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარება.

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 53-ე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულია, რომ არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ წესდებით დადგენილი წესის ან/და საფაკულტეტო საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში გამოვლენილმა დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია არჩევნების შედეგებზე.

უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 19 დეკემბრის №1 გადაწყვეტილებით დადასტურებულად იქნა მიჩნეული ფაქტობრივი გარემოება, რომლის თანახმად იკვეთებოდა ი. მ-ის მხრიდან არჩევნებში მონაწილე კანდიდატის სტატუსთან შეუფერებელი ქმედება, რაც გამოიხატა ამომრჩეველზე სიკეთის/პრივილეგიის მინიჭების ან ასეთის დაპირების განხორციელებაში.

უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის ასეთი დასკვნის მიღების საფუძვლად 2014 წლის 19 დეკემბრის №1 გადაწყვეტი-

ლებაში მითითებულია შემდეგ მტკიცებულებებზე: თავად მომზივნის, გ. ბ-ის განმარტება, სტუდენტი ი. დ-ის მიერ კომისიისათვის წარდგენილი 2014 წლის 18 დეკემბრის წერილობითი ახსნა-განმარტება, ქ. ბ-ის 2014 წლის 18 დეკემბრის მოხსენებითი ბარათი.

უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 19 დეკემბრის №1 გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 44-ე მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლის თანაბმად, წინასაარჩევნო კამპანიამ და აგიტაციამ არ უნდა შეუშალოს ხელი უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს. იკრძალება მეცადინეობებზე სტუდენტებთან საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ჩატარება, აგრეთვე წებისმიერი ისეთი ქმედება, რაც შეუფერებელია ასარჩევი კანდიდატის სტატუსთან (პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მოსყიდვა, ან რაიმე სიკეთის ან პრივილეგიის მინიჭება, ან ასეთის დაპირება და სხვა), ხელყოფს წესრიგს უნივერსიტეტში ან ზიანს აყენებს უნივერსიტეტის ქონებას; სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების მე-18 მუხლის მე-6 პუნქტზე, რომელიც იგივე შინაარსის შემცველია და ასევე, არჩევნების ჩატარების დებულების 27-ე მუხლის მე-6 პუნქტზე, რომლის მიხედვით, არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ წესდებით დადგენილი წესის ან/და საფაულტეტო საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში გამოვლენილმა დარღვევამ არსებითი გავლენა იქნია არჩევნების შედეგებზე.

მოცემული დავის სწორად გადაწყვეტილათვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი ი. მ-ის მხრიდან სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესრიტეტის წესდების 44-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის დარღვევას, კერძოდ, კანდიდატის სტატუსთან შეუფერებელ ქმედებას, რაც გამოიხატა ამომრჩეველზე სიკეთის/პრივილეგიის მინიჭების ან ასეთის დაპირების განხორციელებაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებზე და აღნიშნავს, რომ სტუდენტი გ. ბ-ე არ ყოფილა შეზღუდული მის მიმართ განხორციელებული ზეწოლისა თუ მოსყიდვის მდგრადი შესახებ არჩევნებამდე ეცნობებინა ფაკულტეტის საბჭოსათვის, ან უნივერსიტეტის ადმინის-

ტრაციისათვის, რაც მას არჩევნებამდე არ დაუფიქსირებია. ამის მიზეზი მისი მხრიდან ვერ იქნა სათანადოდ დასაბუთებული სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე გაყეთებული განმარტებებით (საარჩევნო კომისიის 2014 წლის 17 დეკემბრის ოქმი №2).

ი. მ-ის მიერ გ. ბ-ისათვის ფულის სესხების ფაქტთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 11 დეკემბერს, ანუ არჩევნების პირველი ტურის ჩატარებამდე გ. ბ-ემ ი. მ-ეს დაუბრუნა ვალი – 100 ლარი, რასაც ადასტურებს მოწმის სახით დაკითხული ირაკლი დავითაძე სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე გაყეთებული განმარტებითა და წერილობითი განცხადებით (საარჩევნო კომისიის 2014 წლის 17 დეკემბრის ოქმი №2; ი. დ-ის განცხადება რეგისტრაციის №დ-3184).

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ გ. ბ-ის მიერ საარჩევნო კომისიის 2014 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე გაყეთებული განმარტებით, ი. მ-ის მხრიდან მის მიმართ მუქარისა და შანტაჟის შემცველი ზარები განხორციელდა არჩევნების შემდგომ შაბათ-კვირას, ხოლო აღნიშნულის დასადასტურებლად საქმეზე წარმოდგენილი სატელეფონო ამონანერებით ზარების განხორციელება ფიქსირდება 2014 წლის 11 დეკემბერს (საარჩევნო კომისიის 2014 წლის 17 დეკემბრის ოქმი №2; განხორციელებული სატელეფონო ზარების ამონანერი).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ი. მ-ის მხრიდან განხორციელებული ზენოლისა თუ მოსყიდვის მცდელობის მიუხედავად გ. ბ-ემ, მისი განმარტების თანახმად, დეკანის არჩევნების პირველ ტურში მხარი დაუჭირა არა ი. მ-ის, არამედ ქ. ბ-ის კანდიდატს, ხოლო მე-2 ტურში ხმა მისცა ი. მ-ეს, რაც სარწმუნოდ ვერ დაასაბუთა (საარჩევნო კომისიის 2014 წლის 17 დეკემბრის ოქმი №2).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-6 თავის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევა ხდება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 20 ივნისის №01-08/25 ბრძანებით დამტკიცებული ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების მე-16 მუხლის თანახმად, ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ტარდება უნივერსიტეტის წესდების მე-6 თავით დადგენი-

ლი წესის შესაბამისად. ამ რეგულაციის მიხედვით, ... ფაკულტეტზე დეკანის არჩევნების 1-ლ და მე-2 ტურში არჩევნების პროცედურა წარიმართა ფარული კენჭისყრით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კონფიდენციალური და დაცულია ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რომელმა ამომრჩეველმა, რომელ კანდიდატს დაუჭირა მხარი და მისცა ხმა. არჩევნების აღნიშნული პრინციპი უზრუნველყოფს იმას, რომ ამომრჩევლის მოქმედება და ხმის მიცემის საიდუმლო, არჩევნების შემდეგაც დარჩეს დაცული და გაუსაჯაროებელი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გ. ბ-ის მტკიცება დეკანის არჩევნების პირველ ტურში სხვა კანდიდატისათვის, ხოლო მე-2 ტურში ი. მ-ისათვის ხმის მიცემის თაობაზე, ნებისმიერ შემთხვევაში მოკლებულია სარწმუნო დასაბუთებას.

საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მითითებით საბჭოს გადაწყვეტილებით ყველა ფაკულტეტზე დეკანობის კანდიდატისათვის განიზაღვრა 5-წლიანი გამოცდილება, გარდა ... ფაკულტეტისა, სადაც დადგინდა კონკურსანტისათვის 1-წლიანი გამოცდილება, რაც იწვევს მხარის დასაბუთებულ ეჭვს რამდენად ჯანსაღი კონკურენციის პირობებში უწევდა მას კონკურსში მონაწილეობა ან აღნიშნული რამდენად ქმნიდა ჯანსაღ კონკურენცულ გარემოს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის გადაწყვეტილისა მტკიცებულებათა მოპოვების გზით უნდა დაედგინა საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რაც მის მიერ არ განხორციელებულა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობა, რამდენადაც სადაცო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რის გამოც სისიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია საკითხის ხელახლი განხილვისას ვალდებულია სრულფასოვნად გამოიყენოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება და ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერ-

თშეჯერების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე, ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი ჩატარება ანუ შხოლოდ სათანადო პროცედურის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება დიდწილად განაპირობებს მის კანონიერებას, დასაბუთებულობასა და მიზანშენილობას.

მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების დროს დაცული არ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების პროცედურა, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

აქტის დასაბუთების კანონიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა სწორ შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტილებამდე, თუ სწორად კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი, განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემობის გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაუწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. მოცემულ შემთხვევაში სადაც ნამდებილად ჰქონდა თუ არა ადგილი ი. მ-ის მხრიდან სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დეკანის კანდიდატის სტატუსთან შეუფერებელ ქმედებას, რაც გამოიხატა ამომრჩეველზე სიკეთის/პრივილეგიის მინიჭების ან ასეთის დაპირების განხორციელებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა, სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაუწყვეტილება მიღებული.

ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს აქტი და დაავალოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ახალი აქტი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილება სასამართლომ უნდა გამოიყენოს იმ ვითარებაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადაც ადმინისტრაციული აქტის მატერიალუ-

რი კანონიერების შეფასება.

აღნიშნული პროცესუალური შესაძლებლობა ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებულ მმართველობის კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის სრულფასოვან რეალიზაციას და მართლმსაჯულების ეფექტიან განხორციელებას. იმ პირობებში, როცა ადმინისტრაციული ორგანოს სრულყოფილად არ მოუხდენია ფაქტობრივი გარემოებების დადგენა-შეფასება, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში რიგ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება მათი გამოკვლევა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს – საარჩევნო კომისიას ზუსტად უნდა დაედგინა, ამიმრჩეველ გ. ბ-ისა და დეკანობის კანდიდატის – ქ. ბ-ის საჩივრებში მოყვანილი გარემოებები, ნინასაარჩევნო პერიოდში დეკანობის კანდიდატის, ი. მ-ის ქმედებებთან დაკავშირებით, შეესაბამებოდა თუ არა სინამდვილეს და უნდა მოეხდინა ამ გარემოებების სამართლებრივი ანალიზი იმ მხრივ, ამ ქმედებებმა არსებითი გავლენა იქონია თუ არა არჩევნების შედეგებზე, რისთვისაც აუცილებელი იყო შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოების გამოკვლევა და ანალიზი, რაც მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელებულა. საარჩევნო კომისიამ 2014 წლის 19 დეკემბრის №1 საოქმო გადაწყვეტილებით, სათანადო მტკიცებულებების სრულყოფილი გამოკვლევის გარეშე მიიჩნია, რომ ი. მ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა კანდიდატის სტატუსთან შეუფერებელ ქმედებას, რაც თითქოს გამოიხატა ამომრჩეველზე სიკეთის/პრივილეგიის მინიჭების ან ასეთის დაპირების განხორციელებაში და რამაც არსებითი გავლენა იქონია არჩევნების შედეგებზე, რის საფუძველზეც ბათილად ცნო არჩევნების ის შედეგები, რომელიც ... ფაულტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 15 დეკემბრის №1 საოქმო გადაწყვეტილებით იყო აღიარებული და რომლის თანახმად, დეკანის არჩევნებში გამარჯვებული იყო მოსარჩელე ი. მ-ე.

ამდენად, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონმდებლობის საფუძველზე უნდა შეაფასოს სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 44-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი კანდიდატის სტატუსთან შეუფერებელ ქმედებას, რაც გამოიხატა ამომრჩეველზე სიკეთის/პრივილეგიის მინიჭების ან ასეთის დაპირების

განხორციელებაში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასა-  
მართლო მიიჩნევს, რომ ი. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკ-  
მაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გა-  
დანწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კო-  
დექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გა-  
დანწყვეტილება, რომლითაც ი. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდება  
ნაწილობრივ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს  
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-  
2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქა-  
ლაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა ღ ა ნ წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ი. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობ-  
რივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-  
ტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ნოემბრის გადაწ-  
ყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ი. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნო-  
ბილი სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-  
სიტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 19 დეკემბრის №1 გა-  
დაწყვეტილება და სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწი-  
ფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას დაევალოს სსიპ ბა-  
თუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ... ფა-  
კულტეტის საარჩევნო კომისიის 2014 წლის 15 დეკემბრის №1  
ოქმისა და გ. პ-ის საჩივარზე საქმის გარემოებათა გამოკვლე-  
ვის შემდეგ კანონით დადგენილ ვადაში გამოსცეს ახალი ინდი-  
ვიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება  
საბოლოოა და არ საჩივრდება.

## კონკურსის შედეგად საჯარო მოხალითა შერჩევა

### განრიცხვა

№ბს-85-84(კ-16)

21 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სხირტლაძე,  
3. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ აღმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალურ ად-  
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ქმედე-  
ბის განხორციელების დავალება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 22 ივნისს დ. ბ-ემ სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა საჩერის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – საჩე-  
რის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის სა-  
ჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი  
კომისიის მიმართ.

მოსარჩელემ დ. ბ-ის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების  
ნაწილში საჩერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვით-  
მმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო  
მუდმივმოქმედი კომისიის 2015 წლის 15 მაისის №6 სხდომის  
ოქმის ბათილად ცნობა, მოპასუხისათვის დ. ბ-ის კანდიდატად  
ნარდგენასთან დაკავშირებით ახალი ადმინისტრაციული წარ-  
მოების ჩატარებისა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებ-  
რივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

საჩერის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 23 ივნისის  
საკემო განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის  
16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირებად ჩაეხნენ გ.  
ლ-ე, თ. კ-ე-ქ-ე და დ. ლ-ე.

მოსარჩელემ სასამართლო სხდომაზე დააზუსტა სასარჩე-  
ლო მოთხოვნა და დამატებით მოითხოვა თ. კ-ე-ქ-ის საჩერის  
მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის  
გამგებლის წარმომადგენლების ... განყოფილების სპეციალის-  
ტად ... ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშვნის შესახებ საჩ-  
ერის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების, დ. ლ-ის ადმი-  
ნისტრაციული სამსახურის ... განყოფილების ... მთავარი სპეცი-

ალისტის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ საჩერის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებისა და გ. ლ-ის საჩერის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლად ... ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშვნის თაობაზე საჩერის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების ბათილად ცნობა.

მოსარჩელის მითითებით, იგი 2006 წლიდან 6 წელი მუშაობდა საჩერის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სოფელ ... თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის პოზიციაზე. მოსარჩელის მტკიცებით, მას 2012 წელს არჩევნების შემდგომ მოსთხოვეს თანამდებობის დატოვება. იგი რწმუნებულად მუშაობის განმავლობაში კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და მის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის არც ერთი ზომა.

მოსარჩელემ მონაწილეობა მიიღო 2014 წლის 22 ოქტომბერს საჩერის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და გააკეთა განაცხადი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად. მიუხედავად იმისა, რომ დ. ბ-ემ წარმატებით გაიარა კონკურსის სამივე ეტაპი, მათ შორის ტესტირების ეტაპზე 60 ქულიდან მოიპოვა 54 ქულა, მისი ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენა არ მომხდარა.

2015 წლის აპრილის თვეში საჩერის მუნიციპალიტეტის გამგეობამ კვლავ გამოაცხადა კონკურსი ვაკანტური თანამდებობების შესაცემად. მოსარჩელემ 2015 წლის 6 აპრილს გააკეთა განაცხადი 4 ვაკანტურ თანამდებობაზე, კერძოდ: 1. საჩერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის გამგებლის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტი ... ადმინისტრაციულ ერთეულში, 2. გამგებლის თანაშემწე, 3. ადმინისტრაციული სამსახურის ... განყოფილების მთავარი სპეციალისტი საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებში, 4. გამგებლის წარმომადგენელი ... ადმინისტრაციულ ერთეულში. მოსარჩელის მითითებით, მიუხედავად კონკურსის სამივე ეტაპის წარმატებით გავლისა, მისი არც ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენა არ მომხდარა. აღნიშნულ ვაკანტურ თანამდებობებზე, გარდა გამგებლის თანაშემწის პოზიციისა, დაინიშნენ კონკურსის სხვა მონაწილეები, 1. საჩერის მუნიციპალიტეტის სამსახურის გამგებლის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტი ... ადმინისტრაციულ ერთეულში – თ. კ-ექ-ე, 2. ადმინისტრაციული სამსახურის ... განყოფილების მთავარი სპეციალისტი საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებში – დ. ლ-ე, 3. გამგებლის წარმომადგენელი ...

ადმინისტრაციულ ერთეულში – გ. ლ-ე; ხოლო მე-4 ვაკანტური თანამდებობა – გამგებლის თანაშემწე – გამოცხადდა ჩამლილად.

მოსარჩელის მტკიცებით, კონკურსის მიმდინარეობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ დაარღვია კანონიერების, საჯაროობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და მიუკერძობლობის პრინციპები. მოსარჩელის მითითებით, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება მოკლებულია სამართლებრივ დასაბუთებას. მოსარჩელეს არ განემარტა კონკრეტულად რა საფუძვლების ერთობლიობამ განაპირობა მის მიმართ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება. მოსარჩელე თვლის, რომ იგი ყველა საჭირო მოთხოვნას აკმაყოფილებდა და კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება მოხდა კონკურსის პრინციპების არსებითი დარღვევის საფუძველზე.

საჩერის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით დ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საჩერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 ოქტომბრის №41 დადგენილებით დამტკიცდა საჩერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის დებულება. მუნიციპალიტეტის მიერ შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისია და საპრეტენზიო კომისია. საჩერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 ნოემბრის №45 დადგენილებით განისაზღვრა საჩერის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. 2015 წლის 1 აპრილის თვეში საჩერის მუნიციპალიტეტში გამოცხადდა კონკურსი მუნიციპალიტეტის გამგეობის ვაკანტური თანამდებობების, მათ შორის 1. საჩერის მუნიციპალიტეტის სამსახურის გამგებლის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტის ... ადმინისტრაციულ ერთეულში, 2. გამგებლის თანაშემწეს, 3. ადმინისტრაციული სამსახურის ... განყოფილების მთავარი სპეციალისტის საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებში, 4. გამგებლის წარმომადგენლის ... ადმინისტრაციულ ერთეულში ვაკანტურ თანამდებობებზე.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. ბ-ეს გავლილი ჰქონდა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ტესტირება 2014 წლის დეკემბერში და მიიღო 54 ქულა (მაქსიმალური ქულა იყო 60).

2015 წლის 6 აპრილს დ. ბ-ემ განაცხადი გააკეთა 4 ვაკანტურ თანამდებობაზე: 1. საჩხერის მუნიციპალიტეტის სამსახურის გამგებლის ნარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტი ... ადმინისტრაციულ ერთეულში, 2. გამგებლის თანაშემწე, 3. ადმინისტრაციული სამსახურის ... განყოფილების მთავარი სპეციალისტი საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებში, 4. გამგებლის ნარმომადგენელი ... ადმინისტრაციულ ერთეულში.

დ. ბ-ე დაშვებული იქნა გასაუბრებაზე. დადგენილია, რომ დ. ბ-ემ გასაუბრებაზე მიიღო მონაწილეობა. 2015 წლის 15 მაისის საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებით დ. ბ-ე ნარდგენილი არ იქნა არც ერთ ზემოთ აღნიშნულ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად. მას ელექტრონულად გაეგზავნა გზავნილი ვაკანტურ თანამდებობებზე დასანიშნად ნარსადგენად უარის თქმის თაობაზე.

სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ კონკურსი ჩატარდა შემდეგი ეტაპებით: განცხადების გადარჩევა, ტესტირება, გასაუბრება და კომისიის მიერ კანდიდატურების განხილვა გადაწყვეტილების მიღებით. საკონკურსო საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობა განისაზღვრა 12 კაცით. კომისიას თავმჯდომარეობს საკრებულოს თავმჯდომარე. წევრები არიან როგორც საზოგადოების ნარმომადგენლები ისე საკრებულოსა და გამგებლის ფუნქციონერი თანამდებობის პირები.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საჩხერის მუნიციპალიტეტის სამსახურის გამგებლის ნარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტად ... ადმინისტრაციულ ერთეულში საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით ნარდგენილი იქნა – თ. კ-ე-ქ-ე, ხოლო საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 29 მაისის №53385 ბრძანებით დანიშნული იქნა აღნიშნულ თანამდებობაზე. ადმინისტრაციული სამსახურის ... განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებში საკონკურსო კომისიის მიერ ნარდგენილი იქნა გ. ლ-ე, ხოლო საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 1 ივნისის №53 419 ბრძანებით დანიშნული იქნა აღნიშნულ თანამდებობაზე. საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის ნარმომადგენელად ... ადმინისტრაციულ ერთეულში საკონკურსო კომისიის მიერ ნარდგენილი იქნა გ. ლ-ე, ხოლო საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 1 ივნისის №53414 ბრძანებით დანიშნული იქნა აღნიშნულ თანამდებობაზე. რაც შეეხება გამგებლის თა-

ნაშემწის თანამდებობას, დარჩა ვაკანტური.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. ბ-ე 2006 წლიდან 2012 წლის 1 ნოემბრამდე მუშაობდა საჩერის მუნიციპალიტეტის ... თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის პოზიციაზე. 2012 წლის 1 ნოემბრის საჩერის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე გათავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან.

დადგენილია, რომ გადაწყვეტილება ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატების ნარდგენის შესახებ მიღებულია 2015 წლის 15 მაისის საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმით. ნარმოდგენილ ოქმზე ხელი აქვს მოწერილი კომისიის 10 წევრს. აღნიშნული რაოდენობა საკმარისი იყო იმისათვის, რომ მიღებული ყოფილიყო გადაწყვეტილება.

სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმის მასალებში არ არის ისეთი ფაქტების დამადასტურებელი გარემოებები და ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა დისკრიმინაციას ან სხვა სახის შეზღუდვას ან უხეშ დარღვევას კონკურსის გამოცხადების ან კონკურსის ჩატარების პროცესში, რომლის გამოც შესაძლებელი იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება.

სასამართლოს მითითებით, ტესტირებაში მაღალი ქულის მიღება არ განსაზღვრავს კონკურსის შედეგებს, რასაც აღნიშნული საკითხის სამართლებრივი რეგულაციაც აფიქსირებს. მოსარჩელე შემოიფარგლა, მხოლოდ ზოგადი განმარტებებითა და სავარაუდო მოსაზრებებით. სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობს საფუძველი მტკიცებულების სახით მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადაც აქტების ბათილობისა.

სასამართლოს მითითებით, სადაც მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად. ამავე კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო კონკურსს მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად შესაბამისი სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება აცხადებს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით. ამასთანავე, კანდიდატს განცხადების ნარსადგენად ეძლევა არანაკლებ 10-დღიანი ვადა კონკურსის გამოცხადების დღიდან. კონკურსის გამოცხადების დღედ ითვლება ბოლო გამოცხადების მომენტი. ამავე კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად საკონკურსო-საატესტაციო კომისია აფასებს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტუ-

რი თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან, აუცილებლობის შემთხვევაში ისმენს აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის უფლებას მქონე პირის აზრს და გამოაქვს თავისი გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავე კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ განვითარებულ თანამდებობაზე დასანიშნად წამოაყენებს ერთ-ერთ კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის ნამოყვენებაზე. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში კი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ან კომისიის სხვა უფლებამოსილი წევრი, გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უგვიანეს 5 დღისა წერილობით აცნობებს ყოველ კანდიდატს მის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას, ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირს კი – კომისიის მიერ კანდიდატის წამოყენების ან კანდიდატის წამოყენებაზე უარის თქმის შესახებ. ამავე კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად კონკურსი ითვლება ჩაშლილად, თუ მასში მონაბილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არც ერთი განცხადება, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ საკონკურსო-საატესტაციო კომისია უარს განაცხადებს თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის წამოყენებაზე. ამავე კანონის 36'-ე მუხლის შესაბამისად მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო დაწესებულებაში იქმნება შესაბამისი მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კონკურსსა და ატესტირებას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების შესახებ.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების შესაბამისად დამტკიცდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესი (შემდგომში წესი). წესის მე-3 მუხლის შესაბამისად კონკურსის პრინციპებია: ა) კანონიერება; ბ) სამართლიანობა; გ) საჯაროობა; დ) გამჭვირვალობა; ე) არადისკრიმინაციულობა; ვ) ობიექტურობა; ზ) მიუკერძოებლობა; თ) კოლეგიალურობა; ი) კორექტულობა. წესი ასევე აწესრიგებს კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების პირობებს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების საფუძველზე საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2014 წლის 22 ოქტომბრის №41 დადგენილებით დამტკიცდა საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულება (შემდგომში დებულება), რომელშიც მოწესრიგებულია კონკურსის გამოცხადების, ჩატარების და ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი. დებულების მე-7 მუხლის შესაბამისად კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ სამი წევრისა. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღამის კერძოს სამართლებრივი დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს. დებულების მე-13 მუხლში მითითებულია კონკურსის ჩატარების ეტაპი, რომელიც დ. ბ-ის მიერ გადაღახული იქნა და მოსარჩელის მიერ სადაცვიდ არ არის გამხდარი. დებულების მე-18 მუხლის შესაბამისად საკონკურსო-საატესტაციო კომისია კანდიდატების მიერ კველა ეტაპის გავლის შემდეგ თავის სხდომაზე განიხილავს საკითხს მათ დაუსწრებლად. კომისია აფასებს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან, აუცილებლობის შემთხვევაში ისმენს თანამდებობაზე დასანიშნი პირის აზრს. კონკურსის შედეგების მიხედვით ქულათა სისტემით ან კომისიის წევრთა ინდივიდუალური შეფასებებით, საკონკურსო-საატესტაციო კომისია თითოეულ ვაკანტურ თანამდებობასთან დაკავშირებით იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას: დასანიშნად წარადგენს ერთ კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე. ამავე ნორმის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღეში ელექტრონული ფოსტის საშუალებით ეცნობება შედეგები კონკურსში მონაწილეს.

სასამართლოს მითითებით, დებულების მე-19 მუხლის შესაბამისად კონკურსი ჩაშლილად ითვლება თუ კომისია უარს აცხადებს კანდიდატის წარდგენაზე. ამ ნორმების დანაწესი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს კომისიის წევრთა მოქმედების რეჟიმს, ხოლო ოქმზე ხელმოწერები ადასტურებს კომისიის წევრთა მიერ გამოხატულ ნებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. განსხვავებული აზრი ან პრეტენზია პროცედურების დარღვევაზე კომისიის წევრების მიერ არ გაცხადებულა. სადაც სამართლებრივ ურთიერთობაში კონკურსის შედეგების მიხედვით კომისიის წევრთა ინდივიდუალური შეფასებებით დ. ბ-ეს უარი ეთქვა ... ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ვა-

კანტურ თანამდებობაზე წარდგენაზე, კერძოდ, ვაკანტურ თანამდებობებზე წარდგენილი იქნენ: 1. საჩხერის მუნიციპალიტეტის სამსახურის გამგებლის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტი ... ადმინისტრაციულ ერთეულში – თ. კ-ე-ჭ-ე; 2. ადმინისტრაციული სამსახურის ... განყოფილების მთავარი სპეციალისტი საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებში – დ. ლ-ე; 3. გამგებლის წარმომადგენელი ... ადმინისტრაციულ ერთეულში – გ. ლ-ე; ხოლო მე-4 ვაკანტური თანამდებობა – გამგებლის თანაშემწე – გამოცხადდა ჩამლილად.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დ. ბ-ესთან მიმართებაში არ დარღვეულა კონკურსის ჩატარების და კანდიდატის შერჩევის ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული წესები. საქმის მასალებში არ მოაპოვება რაიმე მტკიცებულება, რომელიც ადმინისტრაციული წარმოებისას დაადასტურებდა დარღვევას. დ. ბ-ე ადასტურებს, რომ ელექტრონული წესით მიიღო ინფორმაცია კონკურსის შედეგების შესახებ. საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებები, რომელთა ბათილად ცნობასაც ითხოვს დ. ბ-ე, მიღებულია კომისიის გადაწყვეტილებების საფუძველზე. სასამართლოს მითითებით, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ არ არსებობდა სადავო გადაწყვეტილებების ბათილობის საფუძველი, შესაბამისად არ არსებობდა საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 29 მაისის №53385 ბრძანების, 2015 წლის 1 ივნისის №53414 ბრძანების, 2015 წლის 1 ივნისის №53419 ბრძანების ბათილობის საფუძველი.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დ. ბ-ის სარჩელში მითითებულ საფუძვლებზე, კერძოდ მის მიმართ დისკრიმინაციასა და არაობიერქტურობაზე. სასამართლოს მითითებით, დებულების მე-2 მუხლის შესაბამისად, არადისკრიმინაციულობა ნიშნავს კონკურსის პროცედურები უნდა უზრუნველყოფდეს პირთა თანასწორობას განურჩევლად რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა ნიშნისა. დაცული უნდა იყოს საქართველოს კანონის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის“ მოთხოვნები. მოცემული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე დ. ბ-ის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მის დისკრიმინაციას, არაობიერქტურობას.

სასამართლომ ჩათვალა, რომ განსახილველ შემთხვევაში ად-  
მინისტრაციული ორგანოს მიერ არსებითად არ დარღვეულა ად-  
მინისტრაციული წარმოება. ამასთან, ადმინისტრაციული ორ-  
განოს მიერ სრულიად იქნა გამოკვლეული ადმინისტრაციულ  
წარმოებასთან არსებული გარემოებები მოსარჩელესთან მიმარ-  
თებაში. სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად მიუთითა, რომ საქ-  
მის მასალებში არ მოიპოვება ისეთი დარღვევა, რომლის არარ-  
სებობის შემთხვევაში მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწ-  
ყვეტილება.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 3 აგვისტოს  
გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ბ-ემ, რო-  
მელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახა-  
ლი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკამაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ნოემბრის განჩინებით დ. ბ-ის  
სააპელაციო საჩივრარი არ დაკამაყოფილდა; უცვლელად დარჩა  
საჩხერის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 3 აგვისტოს გა-  
დაწყვეტილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3 „გ“  
მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირ-  
ველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქ-  
მის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირე-  
ბით და მიუთითა მათზე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზ-  
რება იმის თაობაზე, რომ სადავო ოქმს ხელს აწერს კომისიის  
მხოლოდ 10 წევრი, 2 ხელმოწერა ოქმს არა აქვს, რადგან საჩხე-  
რის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის სა-  
ჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებუ-  
ლების მე-7 მუხლის შესაბამისად კომისიის გადაწყვეტილება  
მიიღება ლია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა უბრალო უმრავ-  
ლესობით. მოცემულ შემთხვევაში საკონკურსო-საატესტაციო  
კომისია შედგებოდა 12 წევრისაგან, ხოლო ოქმი ხელმოწერი-  
ლია 10 წევრის მიერ, შესაბამისად გადაწყვეტილება მიღებუ-  
ლია დამსწრეთა უმრავლესობით. ასევე, წარმოდგენილი მასა-  
ლებით არ დასტურდებოდა, რომ კომისიის წევრებს გააჩნდათ  
განსხვავებული აზრი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაერთვებო-  
და ოქმს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზ-  
რება იმის თაობაზე, რომ ვინაიდან საჩხერის მუნიციპალიტეტ-  
ში მიიღო ყველაზე მაღალი ქულა – 54, გააჩნდა თანამდებობა-  
ზე მუშაობის 6-წლიანი გამოცდილება და კარგად იცნობდა ტე-

რიტორიულ ერთეულს, კომისიას უნდა წარდგინა დასანიშნად ვაკანტურ თანამდებობაზე, რადგან კომისია კანდიდატს აფასებს პროფესიული დონის, პიროვნული თვისებების, მოტივაციის და უნარ-ჩვევების შეფასების შედეგად. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სხვა კონკურსანტებთან შედარებით მაღალი ქულის მიღება არ წარმოადგენს ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად უპირობოდ წარდგენის საფუძველს. კონკურსის ჩატარებისას „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების, ამ დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საჩერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების მოთხოვნათა დარღვევას ადგილა არ ჰქონია. შესაბამისად, კანონიერის საჩერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის 2015 წლის 15 მაისის №6 სხდომის ოქმი გასაჩივრებულ ნაწილში. რაც შეეხება კონკურსანტების მხარდაჭერის მიზანშეწონილობის საკითხს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კომისიამ კანდიდატები შეაფასა მათი პროფესიული დონის, პიროვნული თვისებების, მოტივაციის და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით და მიიღო გადაწყვეტილება მათი შესაბამის თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კონკურსანტმა თ. კ-ე-ქ-ემ ვინაიდან განაცხადი წარადგინა 8 ვაკანსიაზე, მას კი ერთდროულად მხოლოდ 5 ვაკანსიაზე ჰქონდა განაცხადის წარდგენის უფლება, აღნიშნული წარმოადგენდა კონკურსადან მოხსნის საფუძველს, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 ნაწილით მართალია გათვალისწინებულია, რომ კანდიდატს უფლება აქვს, ერთი კონკრეტული უწყების მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონანილების თაობაზე განცხადება წარადგინოს ერთდროულად, არა უმეტეს ხუთ ვაკანსიაზე, გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების სისტემებისა, მაგრამ მითითებული წესით არ არის გათვალისწინებული, რომ იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი განცხადებას 5-ზე მეტ ვაკანსიაზე წარადგენს, ის უნდა მოიხსნას კონკურსიდან და მონანილებას ვერ მიიღებს გამოცხადებულ კონკურსში.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მითითება იმის თაობაზე, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ დაარღვია გამჭირვალობის პრინციპი, გასაუბრებაზე არ უწარმოებია ვიდეო-აუდიო გადაღება და ოქმის შედგენა, რომლებშიც დეტალურად იქნებოდა აღნერილი კონკურსის მიმდინარეობა, რადგან კონკურსის მიმდინარეობის ვიდეო-აუდიო გადაღების სავალდებულობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილებით და მის საფუძველზე დამტკიცებული საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულებით, არ არის გათვალისწინებული.

სააპელაციო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მითითება დისკრიმინაციული ნიშნით კონკურსასანტების შეფასების დასაბუთებული ეჭვის არსებობის თაობაზე, რადგან აღნიშნული ეჭვი დაუსაბუთებელია და მხარეთა ახსნა-განმარტებებით, ასევე საქმის მასალების შესწავლითაც არ დადასტურდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კომისიის მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვით მოხდა არსებულ ვაკანსიებზე და-სანიშნად კონკურსასანტთა წარდგენა. შესაბამსად, კანონიერია საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებები თ. კ-ე-ქ-ის, დ. ლ-ის და გ. ლ-ის თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ნოემბრის განჩინება საქასაციო წესით გაასაჩინორა დ. ბ-ემ, რომელმაც გასაჩინოებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან და მიუთითებს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე.

კასატორის განმარტებით, საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ კონკურსის ჩატარებისას დაარღვია საქართველოს მთავრობის №412 დადგენილებითა და საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №41 დადგენილებით განსაზღვრული ნორმები. კერძოდ, კონკურსის ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაირღვა კანონიერების, საჯაროობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპები.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ არ უზრუნველყო გამჭვირვალობა კონკურსის მიმდინარეობის პროცესში. კომისიას გასაუბრების ეტაპზე არ უნარმოებია ვიდეო-აუდიო გადაღება და ოქმის შედგენა, რომლებშიც დეტალურად იქნებოდა აღნერილი კონკურსის მიმდინარეობა, ასევე არ არსებობდა კონკურსის მონაწილეთა შეფასების კრიტერიუმები, კომისიამ ვერ დაასაბუთა თუ რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელა კანდიდატების შერჩევისას. დაუსაბუთებელია სადავო ოქმი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს პროცესის მიმდინარეობის გამჭვირვალობას. კასაატორის მითითებით, სწორედ გამჭვირვალობის პრინციპის დაცვა იძლევა შესაძლებლობას სასამართლოს მხრიდან შეფასდეს კომისიის მხრიდან რამდენად დაცულია სხვა პრინციპები. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც დარღვეულია გამჭვირვალობის პრინციპი, ობიექტურ დამკვირვებელს არ აქვს შესაძლებლობა გაეცნოს და შეაფასოს გასაუბრების მიმდინარეობა.

ამასთან, კასაატორის მითითებით, გაუგებარია სასამართლოთა მითითება დისკრიმინაციაზე. მისი მხრიდან კონკრეტულად რაიმე სახის დისკრიმინაციაზე მითითება არ მომხდარა და არც მოთხოვნის საფუძვლად განსაზღვრულა. სასარჩელო მოთხოვნის საფუძველს არ წარმოადგენდა დისკრიმინაცია.

კასაატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განვითარა კანონი და არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. კანონის ნორმების უგულებელყოფაზე მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მტკიცების ტვირთის მოსარჩელეზე გადმოტანა. კასაატორის მითითებით, კანონმდებლობითა და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით კონკრეტულად განსაზღვრულია მოცემულ შემთხვევაში ვის ეკისრება მტკიცების ტვირთი. ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ წარმოადგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ სადავო აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და მისი გამოცემით არ დარღვეულა მოსარჩელის კანონიერი უფლებები.

კასაატორის მოსაზრებით, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება მოკლებულია სამართლებრივ დასაბუთებას. ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით და ვერც სასამართლო პროცესზე ვერ დაასაბუთა მიღებული გადაწყვეტილება; კომისიამ ვერ მიუთითა მიზეზი, რამაც დ. ბ-ეს ხელი შეუშალა ვაკანტურ თანამდებობაზე წარსადგენად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 თებერვლის განჩინებით საქარ-

თველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხ-ლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად ნარმოებაში იქნა მიღებული დ. ბ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 11 მაისის განჩინებით დ. ბ-ის სა-კასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნა-წილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხა-რეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის სა-ფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კა-ნონიერება-დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მიჩნევს, რომ დ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაქმაყოფილდეს ნაწი-ლობრივ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ქუ-თაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ნოემბრის განჩინება არ არის დასაბუთე-ბული. სააპელაციო სასამართლო არასწორად მიუდგა სადაც საკ-მეში არსებულ მტკიცებულებებს; სასამართლოს მიერ გამოტა-ნილი დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებულ მასა-ლების ობიექტური შეფასებიდან, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქ-მის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნე-ბის საფუძველს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასა-ხულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საჩერის მუნიციპა-ლიტეტის საკურებულოს 2014 წლის 22 ოქტომბრის №41 დადგე-ნილებით დამტკიცდა საჩერის მუნიციპალიტეტის ადგილობ-რივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტა-ციო მუდმივმოქმედი კომისიის დებულება. მუნიციპალიტეტის მიერ შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მო-ხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისია და საპრეტენზიო კომისია. საჩერის მუნიციპალიტეტის საკ-რებულოს 2014 წლის 11 ნოემბრის №45 დადგენილებით განი-საზღვრა საჩერის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა და-მატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

2015 წლის აპრილის თვეში საჩერის მუნიციპალიტეტში გა-

მოცხადდა კონკურსი მუნიციპალიტეტის გამგეობის ვაკანტურ თანამდებობებზე. დ. ბ-ემ განაცხადი გააკეთა 4 ვაკანტურ თანამდებობაზე: 1. საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის გამგებლის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტის ... ადმინისტრაციულ ერთეულში, 2. გამგებლის თანამებრის, 3. ადმინისტრაციული სამსახურის ... განყოფილების მთავარი სპეციალისტის საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებში, 4. გამგებლის წარმომადგენლის ... ადმინისტრაციულ ერთეულში.

დადგენილია, რომ კონკურსი ჩატარდა შემდეგი ეტაპებით: განცხადების გადარჩევა, ტესტირება, გასაუბრება და კომისიის მიერ კანდიდატურების განხილვა გადაწყვეტილების მიღებით.

ასევე დადგენილია, რომ 2014 წლის დეკემბერში დ. ბ-ემ გაიარა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ტესტირება, სადაც 60 ქულიდან მიიღო 54 ქულა.

საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-სააგესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის 2015 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებით დ. ბ-ე წარდგენილი არ იქნა არც ერთ ზემოთ აღნიშნულ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად. მას ელექტრონულად გაეგზავნა გზავნილი ვაკანტურ თანამდებობებზე დასანიშნად წარსადგენად უარის თქმის თაობაზე.

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის გამგებლის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტად ... ადმინისტრაციულ ერთეულში საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით წარდგენილ იქნა თ. კ-ე-ქ-ე, რომელიც საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 29 მაისის №53385 ბრძანებით დაინიშნა აღნიშნულ თანამდებობაზე. ადმინისტრაციული სამსახურის ... განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებში საკონკურსო კომისიის მიერ წარდგენილ იქნა დ. ლ-ე, რომელიც საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 1 ივნისის №53419 ბრძანებით დაინიშნა აღნიშნულ თანამდებობაზე. საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელად ... ადმინისტრაციულ ერთეულში საკონკურსო კომისიის მიერ წარდგენილ იქნა გ. ლ-ე, რომელიც საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 1 ივნისის №53414 ბრძანებით დაინიშნა აღნიშნულ თანამდებობაზე. გამგებლის თანამებრის თანამდებობა კი დარჩა ვაკანტური, ვინაიდან აღნიშნული ვაკანსია გამოცხადდა ჩაშლილად.

ასევე დადგენილია, რომ დ. ბ-ე 2006 წლიდან 2012 წლის 1 ნოემბრამდე მუშაობდა საჩხერის მუნიციპალიტეტის ... თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის პოზიციაზე. საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 1 ნოემბრის ბრძანების საფუძველზე იგი გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან. ამასთან, მოსარჩელის მტკიცებით, საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ... თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის პოზიციაზე მისი 6-წლიანი მუშაობის პერიოდში მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის არცერთი ღონისძიება არ ყოფილა გამოყენებული, რასაც არც საქმეში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უარყოფს.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე — დ. ბ-ე სადაცოდ ხდის საჩხერის მუნიციპალიტეტში ვაკანტურ თანამდებობებზე ჩატარებული კონკურსის პროცედურებსა და შედეგებს. მოსარჩელე საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის 2015 წლის 15 მაისის №6 სხდომის ოქმის კანონიერების საკითხს აყენებს, რომლითაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატების წარდგენის შესახებ. ამასთან, მოსარჩელე საქმეში მესამე პირებად ჩატარებული — თ. კ-ე-ქ-ის საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის გამგებლის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტად ... ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშვნის შესახებ საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების, დ. ლ-ის ადმინისტრაციული სამსახურის ... განყოფილების საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების, გ. ლ-ის საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლად ... ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშვნის შესახებ საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების ბათილად ცნობს, მოპასუხისათვის დ. ბ-ის კანდიდატად წარდგენასთან დაკავშირებით ახალი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინების, ისევე როგორც სადაცო აქტების დასაბუთება ვერ პასუხობს მოსარჩელის — დ. ბ-ის პრეტენზიებს სადაცოდ ქცეული აქტების კანონიერების თაობაზე. ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ უზრუნველყო დაესაბუთებინა თუ რატომ ეთქვა უარი მოსარჩელის — დ. ბ-ის კანდიდატურას და რატომ მიენიჭა უპირა-

ტესობა ვაკანტურ თანამდებობებზე წარსადგენად სხვა კან-დიდატებს – საქმეში მესამე პირებად მოწვეულ გ. ლ-ეს, თ. კ-ე-ქ-ესა და დ. ლ-ეს. გასაჩივრებული აქტების კანონიერად მიჩნევა კი სწორედ ასეთ დასაბუთებას საჭირობს. მართალია, ადმინისტრაციული ორგანო კონკურსის წესით საჯარო მოხელეთა შერჩევის პროცესში დისკრეციული უფლებამოსილებით სარგებლობს, თუმცა მასვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი ავალდებულებს მიღებული გადაწყვეტილების და-საბუთებას. როდესაც კონკურსის წესით საჯარო მოხელის შერჩევისას არჩევანი ერთი კანდიდატის სასარგებლოდ კეთდება, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება. ბუნებრივია კანდიდატს, რომელსაც უარი ეთქვა თანამდებობაზე წარსადგენად უზრდება საფუძვლიანი უფლება გაეცნოს გადაწყვეტილების მოტივებს. მიუხედავად მიღებული გადაწყვეტილების შედეგებისა, დაინტერესებული მხარისთვის გასაგები უნდა იყოს რა მოტივით იქნა მიღებული მის მიმართ კონკრეტული გადაწყვეტილება. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანობისა და კანონიერების განცდას უნდა ქმნიდეს.

ამასთან, თავად კონკურსის არსიდან გამომდინარეობს კან-დიდატთა შერჩევის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების მაღალი სტანდარტი, ვინაიდან კონკურსის წესით საჯარო მოხელეთა შერჩევისას ადმინისტრაციულ ორგანოს კანდიდატთა შეფასების ფართო არეალი აქვს, რაც ზრდის არაობიექტური და მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღების რისკებს. პროცესის გამჭვირვალობითა და გადაწყვეტილების დასაბუთებით ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამორიცხოს თვითნებური, მიკერძოებული, არაობიექტური გადაწყვეტილება.

კონკურსის შედეგად საჯარო მოხელეთა შერჩევის არსს სწორედ გამჭვირვალე პროცესის საფუძველზე კანდიდატთა ურთიერთშეპირისპირებისას კონკრეტული თანამდებობისთვის სათანადო კანდიდატის შერჩევა წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრს დაკარგავდა აღნიშნული რეგულაცია. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის მე-4 მუხლი განსაზღვრავს კონკურსის მიზანსა და ამოცანებს, რომლის თანახმად, კონკურსის მიზანია ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, დადგენილ მოთხოვნათა გათვა-

ლისწინებით, შესაბამისი კანდიდატის შერჩევა; ხოლო კონკურ-სის ამოცანებია: ა) საქართველოს მოქალაქეთათვის ვაკანტურ თანამდებობათა თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ბ) ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატების შერჩევის და მათი თანამდებობებზე დანიშვნის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; გ) კონკურსში მონაწილე კან-დიდატების კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, ცოდნის, პი-როვნული თვისებების, მოტივაციის და უნარ-ჩვევების შეფა-სება; დ) შერჩეული კანდიდატების ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დონის განსაზღვრა. სწორედ აღ-ნიშნულ მიზნებსა და ამოცანებზე მიუთითებს წესის მე-3 მუხ-ლით განსაზღვრული კონკურსის პრინციპები – ა) კანონიერება; ბ) სამართლიანობა; გ) საჯაროობა; დ) გამჭვირვალობა; ე) არადისკრიმინაციულობა; ვ) ობიექტურობა; ზ) მიუკერძოებლო-ბა; თ) კოლეგიალურობა; ი) კორექტულობა.

იმ პირობებში, როდესაც გასაუბრებაზე დ. ბ-ეს დაუსვეს მხო-ლოდ ერთი შეკითხვა და ისიც მის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით, ხოლო გასაჩივრებული აქტები ვერ უზრუნველყოფს მი-ლებული გადაწყვეტილების დასაბუთებას, ჩნდება საფუძვლი-ანი ეჭვი კონკურსის გამჭვირვალობის თაობაზე. ადმინისტრა-ციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების დადგენა კი უპირველესად გამჭვირვალე პროცესითა და მიღებული გადაწ-ყვეტილების დასაბუთებიდან ხდება შესაძლებელი. იმისათვის, რომ შემონმდევ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება, უნდა არსებობდეს პროცესის შემონმების შესაძლებლობაც. ად-მინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კანონიერების კონტრო-ლი კი სასამართლოს კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმო-ადგენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზაცია მნიშვნელოვნად არის განპირობებუ-ლი სასამართლო ხელისუფლების როლით, სასამართლოს მიერ ობიექტური, მიუკერძოებელი და კვალიფიციური მართლმსაჯუ-ლების განხორციელებით, ვინაიდან სასამართლო ახორციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ფუნქციას – მართლმსაჯულებას, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ეს მოიცავს არა მხოლოდ კონკრეტული კონფლიქტების (დავე-ბი) გადაწყვეტას, არამედ – სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა საქმიანო-ბაზე სასამართლო კონტროლის განხორციელებას.

მოქმედი კანონმდებლობით შესაძლებელია ადმინისტრაცი-

ულ ორგანოთა გადაწყვეტილებების, ხელშეკრულებების, ქმედებების /მოქმედება, უმოქმედობა/ გასაჩივრება საერთო სასამართლოში, რა დროსაც სასამართლოს ობიექტურობას, მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას განუზომელი მნიშვნელობა აქვს, რათა აღადგინოს დარღვეული წონასწორობა პირსა და ოფიციალურ სტრუქტურას შორის. სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებებზე უზრუნველყოფს დარღვეული უფლების აღდგენას, კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ნორმებით მკაცრად რეგლამენტირებულ ჩარჩოში მოქცევას, ეფექტური დაცვის რეალიზაციას და ა.შ. სახელმწიფო გარანტირებული უნდა იყოს ადმინისტრაციული აქტების კონტროლით, სრულად ემორჩილებოდეს კანონს და იმავდროულად, უზრუნველყოფდეს ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოების ეფექტურ მუშაობას. გათვალისწინებულია რა საჯარო ადმინისტრაციულ ორგანოებსა და პირებს შორის არსებულ უფლებამოსილებათა დისბალანსი, შესაბამისად, ეს ურთიერთობა საჭიროებს ეფექტურ კონტროლს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პირების დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონკურსი არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კანდიდატის შესაბამისობის დადგენა ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნებთან. განსახილველ შემთხვევაში გამოსარკვევია საჩერის მუნიციპალიტეტში არსებული ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად რაკრიტიკოუმები გახდა განმსაზღვრელი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა დ. ბ-ის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ვინაიდან საჩერის მუნიციპალიტეტში მიიღო ყველაზე მაღალი ქულა – 54, გააჩნდა თანამდებობაზე მუშაობის 6-წლიანი გამოცდილება და კარგად იცნობდა ტერიტორიულ ერთეულს, კომისიას უნდა წარედგინა დასანიშნად ვაკანტურ თანამდებობაზე, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს მითითებით, კომისია კანდიდატს აფასებს პროფესიული დონის, პიროვნული თვისებების, მოტივაციის და უნარ-ჩვევების შეფასების შედეგად და სხვა კონკურსანტებთან შედარებით მაღალი ქულის მიღება არ წარმოადგენს ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად უპირობოდ წარდგენის საფუძველს. თუმცა, ისევე როგორც ადმინისტრაციულმა ორგანომ, ვერც სააპელაციო სასამართლომ მიუთითა კონკრეტულად რა კრიტიკოუმებით შე-

ფასდნენ შესარჩევი კანდიდატები და თუ არა ტესტირებაში მიღებული მაღალი ქულა, თანამდებობაზე მუშაობის ხ-წლიანი გამოცდილება და ტერიტორიული ერთეულის კარგად ცნობა, რა კრიტერიუმები გახდა გადამწყვეტი ვაკანტურ თანამდებობებზე წარსადგენად.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მართალია ცალკე აღებული ტესტირების ქულა ან თუნდაც გამოცდილება კანდიდატად წარდგენის უპირობო კრიტერიუმს არ წარმოადგენს და ადმინისტრაციული ორგანოს მსჯელობის საგნად უნდა იქცეს თითოეული კანდიდატის განათლების დონე, სპეციალობა, გამოცდილება, უნარ-ჩვევები და სხვა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა კონკურსის წესით კანდიდატის შერჩევისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სასურველი კადრის შესარჩევად წარდგენილი კრიტერიუმები, თავისმხრივ, კონკურსში მონაწილე კანდიდატთა უნარ-ჩვევები, პროფესიონალიზმი, გამოცდილება, დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები ერთობლივიაში უნდა განსაზღვრავდეს მიღებული გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა შეძლოს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება. ვაკანტური თანამდებობის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლოა ადმინისტრაციულმა ორგანომ სამუშაო სტაჟისა და გამოცდილების მქონე კანდიდატთან შედარებით უპირატესობა გამოუცდელს მიანიჭოს, თუმცა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეძლოს იმის დასაბუთება, თუ რა გარემოება, რა კრიტერიუმი გახდა გადამწყვეტი კონკრეტული კანდიდატის წარსადგენად ვაკანტურ თანამდებობაზე.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკურსის წესით ვაკანტურ თანამდებობაზე წარსადგენად კანდიდატის შერჩევა ფორმალურ ხასიათს არ უნდა ატარებდეს. ადმინისტრაციული ორგანო უნდა ქმნიდეს ჯანსაღი კონკურენციის რეალურ პირობებს. ადმინისტრაციული ორგანოს სრულყოფილი, გამართული ფუნქციონირებისათვის იგი დაკომპლექტებული უნდა იყოს გამჭვირვალე და ობიექტური კონკურსის საფუძველზე შერჩეული სათანადო, კვალიფიციური საჯარო მოხელეებით. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს კანდიდატი რამდენად არის საჯარო მოხელის შესატყვისი.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას საქმეში არსებული მასალების ყოველმხრივი და ობიექტური შეფასების საფუძველზე უნდა დაადგინოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლები და კანონიერება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში

გამოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ საკასაციო სასამართლოში გამართულ სხდომებზე დ. ბ-ე თანხმობას აცხადებდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან მორიგებისთვის რომელიმე ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენის პირობით. თუმცა, საბოლოოდ, სასამართლოს ძალისხმევისა და მოსარჩელის პოზიციის მიუხედავად, მოცემულ შემთხვევაში საქმეზე მორიგება ვერ შედგა. საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების ერთ-ერთ მოტივს მორიგების მიღწევის შესაძლებლობაც წარმოადგენს. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლო უნდა შეეცადოს მხარეთა მორიგების მიღწევას, წინააღმდეგ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით, საქმეზე უნდა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ამდენად, დ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. დ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## კონკურსის შედეგების გასაჩივრება

### განხილვა

№ბს-113-112(2j-16)

2 აგვისტო, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის  
ბათილად ცნობა, ახალი აქტის გამოცემის დავალება

#### აღნერილობითი ნაწილი:

2015 წლის 19 აგვისტოს ე. ც-ემ სარჩელი აღძრა საჩხერის  
რაიონულ სასამართლოში საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგი-  
ლობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურ-  
სო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის მიმართ, რომლი-  
თაც ე. ც-ის ნაწილში 2015 წლის 28 ივლისის №10 ოქმის, 2015  
წლის 7 აგვისტოს №11 ოქმის მის საფუძველზე გამოცემული  
2015 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და  
კომისიისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სა-  
მართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

სარჩელის მიხედვით, ე. ც-ემ 2015 წლის 13 მაისს მონაწილე-  
ობა მიიღო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კონ-  
კურსში. ტესტირებაში მიიღო 43 ქულა, ხოლო 2015 წლის 23 ივ-  
ლისს მონაწილეობა მიიღო საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგი-  
ლობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურ-  
სო-საატესტაციო მუდმივმოქმედ კომისიისათან გასაუბრებაში.  
ვაკანსია შეეხებოდა საჩხერის მუნიციპალიტეტის ... სამსახუ-  
რის წამყვანი სპეციალიტის ... დარგში თანამდებობას, სადაც  
მუშაობდა და ჰქონდა დიდი გამოცდილება. 2015 წლის 28 ივლი-  
სის №10 სხდომის ოქმის შესაბამისად, 6 ხმით 5-ის წინააღმდეგ  
უარი ეთქვა ვაკანსის დაკავებაზე. ოქმში არაფერი ეწერა იმას-  
თან დაკავშირებით, თუ რა შეკითხვები დაუსცეს, რა შეკითხვებ-  
ზე ვერ გასცა პასუხი და რა უნარის ნაკლის გამო დაიწუნეს თა-  
ნამდებობაზე, სადაც თითქმის 10 წლის განმავლობაში მუშაობ-  
და. აღნიშნული ოქმის გასაჩივრების შემდეგ, 2015 წლის 7 აგ-  
ვისტოს მიიღო პასუხი, კერძოდ, საკონკურსო-საატესტაციო  
კომისიის №11 ოქმში აღნიშნა, რომ ხარვეზი გასაუბრებასთან

დაკავშირებით არ აღმოჩენილა. მოსარჩელის განმარტებით, ადმინისტრაციული აქტი არ შეიცავდა არანაირ დასაბუთებას, თუ რატომ უთხრეს უარი თანამდებობაზე დანიშვნაზე.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 11 სექტემბრის საოქმო განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეში მესამე პირად ჩატარდა ხ. ქ-ე.

ამავე სასამართლოს 2015 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ე. ც-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ე. ც-ემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით ე. ც-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა საჩხერის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ე. ც-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2015 წლის 28 ივლისის №10 ოქმი საჩხერის მუნიციპალიტეტის ... სამსახურის ... დარგში წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე ხ. ქ-ის წარდგენისა და ამ თანამდებობაზე ე. ც-ისათვის უარის თქმის ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2015 წლის 7 აგვისტოს №11 ოქმი და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება; დაევალა საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიას საჩხერის მუნიციპალიტეტის ... სამსახურის ... დარგში წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე კონკურსის ეტაპის – გასაუბრების ხელახლა ჩატარება; ე. ც-ის განცხადება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით საქმეში წარმოდგენილი საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის 2015 წლის 28 ივლისის №10 ოქმით ირკვევა, რომ კომისიამ იმსჯელა საჩხერის მუნიციპალიტეტის ... სამსახურის წამყვანი სპეციალისტის ... დარგში ადგილთან დაკავშირებით და კენჭისყრით მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნულ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად ხ. ქ-ის წარდგენის შესახებ. ოქმში მითითებულია ამ ვაკანტურ თანამ-

დებობაზე ე. ც-ის წარდგენაზე უარის თქმის შესახებ, რომელ-  
მაც ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ჯერ საპრეტენზიო კომი-  
სიაში, ხოლო შემდეგ სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ოქმით არ დას-  
ტურდება, რომ კომისიამ განიხილა გასაუბრების შედეგად ე. ც-  
ის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთ-  
ხოვნებთან შესაბამისობის საკითხი. ასევე არ ირკვევა, ჩატარ-  
და თუ არა მისი და მისი კონკურენტების მიმართ კენჭისყრა, რა  
ნებით და რა შედეგებით დასრულდა ეს კენჭისყრა.

სააპელაციო სასამართლოს აზრით, მითითებული ოქმი არ არის  
საკარისი დოკუმენტი იმის დასადასტურებლად, რომ კომისიის  
მიერ კანდიდატებთან გასაუბრება განხორციელდა სამართლებ-  
რივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, ასევე რამდე-  
ნად სრულყოფილად განიხილა ე. ც-ის ვაკანტურ თანამდებობას-  
თან შესაბამისობის საკითხი, იმსჯელა მის კანდიდატურასთან  
დაკავშირებით და ხმათა უმრავლესობით მხარი არ დაუჭირა და-  
სანიშნად მისი კანდიდატურის ზარდგენას. ოქმით არ დგინდება  
თუ რატომ მივიღა კომისია ამგვარ გადაწყვეტილებამდე, რაც  
იძლევა საფუძველს დასკვნისა, რომ ოქმი არ არის ასახული გა-  
საუბრებისა და კენჭისყრის შედეგები, მითუმეტეს იმ პირობებ-  
ში, როდესაც ვერ დგინდება და ვერც კომისიის წარმომადგენე-  
ლი ადასტურებს თუ რა შეკითხვას ვერ გასცა აპელანტმა პასუხი  
გასაუბრებისას. პალატის აზრით, მხოლოდ ამ გარემოებების ამ-  
სახველი მონაცემები მისცემდა სასამართლოს შესაძლებლობას  
შეეფასებინა, რამდენად კანონიერად მოხდა სადაც ვაკანსია-  
ზე კანდიდატის დასანიშნად წარდგენა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან დავა შე-  
ეხება გასაუბრების ეტაპის ობიექტურობასა და გამჭვირვალო-  
ბას, გასაუბრების შედეგად კანდიდატის შეფასება შესაძლებე-  
ლია ჩაითვალოს საკმაოდ სუბიექტურად, რადგან ის ეფუძნება  
მხოლოდ შემფასებლის მოსაზრებას და შეხედულებას. იმისათ-  
ვის, რომ გასაუბრების შედეგების სუბიექტურობა შემცირდეს  
და გაიზარდოს სანდოობა, იგი უნდა ჩატარდეს წინასწარ შემუ-  
შავებული და დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. საკონ-  
კურსო კომისია კანდიდატებთან გასაუბრებისას უნდა იყენებ-  
დეს წინასწარ შემუშავებულ კითხვარს, რომელსაც თან უნდა  
ახლდეს შეფასების მეთოდი, რაც წარმოადგენს პროცესის გამ-  
ჭვირვალობის, საჯაროობის, ობიექტური და მიუკერძოებელი  
გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას. შეფასების კრიტერი-  
უმების არარსებობის პირობებში კი, ჩნდება ისეთი დასკვნის  
საფუძველი, რომ კონკურსი ჩატარდა შემფასებელთა სუბიექ-

ტური შესედულებების გათვალისწინებით, უსაფუძვლო უპირატესობის მინიჭების გზით.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა ხ. ქ-ისა და საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის მიერ.

ხ. ქ-ის მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ კანონისა“ და მთავრობის დადგენილების შესაბამისად, კომისიას არ ევალებოდა თავისი გადაწყვეტილების დასაბუთება. კომისიას, ასევე, არ ჰქონდა ვალდებულება, წინასწარ შემუშავებული კითხვარი გამოიყენებინა. სახეზეა კოლეგიური ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც დამოკიდებულია კენჭისყრაზე და არა მის ვრცელ დასაბუთებაზე. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფას ფაქტობრივი გარემოებები და საქმე მიკერძოებულად განიხილა.

საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია. კომისიამ კონკურსის ყველა ეტაპი კანონით დადგენილი წესით ჩაატარა. მტკიცებულებებით არ დასტურდება კომისიის მხრიდან დისკრიმინაციის ფაქტი, ან რაიმე ისეთი გადაცდომა, რასაც კანონი ითვალისწინებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ ხ. ქ-ისა და საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შეძეგვ გარემოებათა გამა:

საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს მოცემული დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს:

1. ე. ც-ე მონაწილეობდა საჩხერის მუნიციპალიტეტის ... სამსახურში ... დარგში წამყვანი სპეციალისტის ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში;

2. 2015 წლის 23 ივლისს ე. ც-ემ მონაწილეობა მიიღო საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედ კომისიასთან გასაუბრებაში.

3. გასაუბრების თაობაზე კომისიას სხდომის ოქმი არ შეუდ-

გენია და არც სხდომის მიმდინარეობის ამსახველი რაიმე მტკი-ცებულება არსებობს;

4. საქმეში წარმოდგენილი საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის 2015 წლის 28 ივნისის №10 ოქმით ირკვევა, რომ კომისიამ იმსჯელა საჩხერის მუნიციპალიტეტის ... სამსახურის წამყვანი სპეციალისტის ... დარგში ადგილთან დაკავშირებით და კენჭისყრით მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნულ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად ხ. ქ-ის წარდგენის შესახებ. ოქმში მითითებულია ამ ვაკანტურ თანამდებობაზე ე. ც-ის წარდგენაზე უარის თქმის შესახებ, რომელმაც ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ჯერ საპრეტენზით კომისიაში, ხოლო შემდეგ სასამართლოში.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის თანახმად, პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად, გარდა ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

ამავე კანონის 33-ე მუხლის თანახმად, საკონკურსო-საატესტაციო კომისია აფასებს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან, აუცილებლობის შემთხვევაში ისმენს აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშნის უფლების მქონე პირის აზრს და გამოაქვს თავისი გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, საკონკურსო-საატესტაციო კომისია ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წამოაყენებს ერთ-ერთ კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წამოყენებაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორ ხ. ქ-ის მტკიცებას, რომ კომისიის გადაწყვეტილება კოლეგიური ორგანოს გადაწყვეტილებაა და მთავარია კენჭისყრის შედეგები, არა დასაბუთება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კომისიის ფუნქცია, გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენასთან ერთად, კონკურსში მონაწილე პირების ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენაცაა, ამასთან, კომისიის გადაწყვეტილება, როგორც ადმინისტრაციული აქტი, უნდა აკმაყოფილებდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 18 ივნისის №412 დადგენი-

ლების მე-3 მუხლის მიხედვით, კონკურსის პრინციპებია: კანონიერება, სამართლიანობა, საჯაროობა, გამჭვირვალობა, არადისკრიმინაციულობა, ოპერეტურობა, მიუკერძოებლობა, კოლეგიალურობა, კორექტულობა.

ამავე დადგენილების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, კონკურსის ამოცანებია: ა) საქართველოს მოქალაქეთათვის ვაკანტურ თანამდებობათა თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ბ) ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატების შერჩევის და მათი თანამდებობებზე დანიშვნის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; გ) კონკურსში მონაწილე კანდიდატების კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, ცოდნის, პიროვნული თვისებების, მოტივაციის და უნარ-ჩვევების შეფასება; დ) შერჩეული კანდიდატების ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დონის განსაზღვრა.

დადგენილების მე-14 მუხლი შეეხება კომისიის საქმიანობის წესს. აღნიშნული ნორმის მე-3 პუნქტის მიხედვით, კომისია აფასებს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან, აუცილებლობის შემთხვევაში, ისმენს აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირის აზრს და გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება, დადგენილი წესით, ხოლო შე-4 პუნქტის თანახმად კი, კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მართალია, გასაუბრების მიმდინარეობის რაიმე ტიპის ჩანაწერის (სტენოგრამა, აუდიო/ვიდეო ჩანაწერი) არსებობის სავალდებულობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით ან საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილებით პირდაპირ გათვალისწინებული არ არის, მაგრამ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ დადგენილების შესაბამისად, კონკურსის ჩატარების ერთ-ერთი პრინციპია გამჭვირვალობა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანო – საკონკურსო კომისია ვალდებულია, გასაუბრების ეტაპის ამსახველი რაიმე დოკუმენტი შეადგინოს, რათა სასამართლოს ჰქონდეს შეფასების საშუალება, რამდენად დაცულია №412 დადგენილებით განსაზღვრული კონკურსის პრინციპები.

კონკურსის პრინციპების დაცულობის შეფასებისათვის, პირველ რიგში, უნდა არსებობდეს კონკურსის მიმდინარეობის

პროცესის შემოწმების შესაძლებლობა. იმ პირობებში, როდე-საც არც სხდომის ოქმი და არც გასაუბრების მიმდინარეობის რაიმე ტიპის ჩანაწერი (სტენოგრამა, აუდიო/ვიდეო ჩანაწერი) არ არსებობს, შემოწმების შესაძლებლობა არ გვაქვს, ამრიგად, კონკურსის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი – გამჭირვალობა, დარღვეულია. გამჭირვალობის დარღვევა თავისთავად ეჭვდება აყენებს ყველა დანარჩენ პრინციპის დაცულობას კომისიის მხრიდან, რადგან ბიუქტურ დამკვირვებელს არ აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს და შეაფასოს გასაუბრების მიმდინარეობა.

რაც შეეხება საჩიხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის 2015 წლის 28 ივლის №10 ოქმს, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ ამ ოქმით არ დასტურდება, კომისიამ განიხილა თუ არა გასაუბრების შედეგად ე. ც-ის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი. ასევე არ ირკვევა, ჩატარდა თუ არა მისი და მისი კონკურსტების მიმართ კენჭისყრა ან რა შედეგებით დასრულდა ეს კენჭისყრა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორ ხ. ქ-ეს, რომ საჩიხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების თანახმად, კომისიას არ ევალება, გასაუბრება წინასწარ შემუშავებული კითხვარებით ჩაატაროს. ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებლობა კომისიას შეუზღუდავ უფლებამოსილებას არ ანიჭებს. გასაუბრების შედეგად კანდიდატის შეფასება შესაძლებელია ჩაითვალოს საკმაოდ სუბიექტურად, რადგან ის ეფუძნება მხოლოდ შემფასებლის მოსაზრებას და შეხედულებას. იმისათვის, რომ გასაუბრების შედეგების სუბიექტურობა შემცირდეს და გაიზარდოს სანდონბა, აუცილებელია, გარკვეული საერთო მიდგომების წინასწარ შემუშავება. ისეთ პირობებში კი, როდესაც გასაუბრების მსვლელობის ამსახველი რაიმე დოკუმენტი არ არსებობს, სასამართლოს საერთოდ არ აქვს საშუალება, შეაფასოს გასაუბრების პროცესის შედეგად კონკურსანტებისათვის მინიჭებული ქულები ობიექტურობისა და სამართლიანობის თვალსაზრისით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააემაყოფილებს საკასაციო საჩიგარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დასაბუთებული,

კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ხ. ქ-ისა და საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ ჩატივრდება.

### **კონკურსის შედეგების გასაჩივრება**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახალით**

№ბს-167-166(ქ-16)

2 აგვისტო, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

გ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი აქტის გამოცემის დავალება

#### **აღნერილობითი ნაწილი:**

მ. მ-ემ სარჩელით მიმართა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრი-

ვი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის შედეგების და პროცედურების საპრეტენზიო კომისიის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, რომლითაც მოითხოვა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2015 წლის 23 ივნისის (უნდა იყოს 11 ივნისის) №61 სხდომის ოქმის (გადაწყვეტილების) ბათილად ცნობა და გასაუბრების ხელახლი ჩატარება, საპრეტენზიო კომისიის 2015 წლის 30 ივნისის №3 ოქმის ბათილად ცნობა.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით გ. შ-ე, დ. ე-ე, ვ. ვ-ე, თ. ა-ე, ი. ს-ე, ი. გ-ა, ი. ა-ი, 6. ხ-ე, ხ. გ-ა საქმეში ჩაბმულ იქნენ მესამე პირებად.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2015 წლის 23 ივნისის №61 სხდომის ოქმები (გადაწყვეტილებები) და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა კონკურსის მე-3 ეტაპის გასაუბრების ხელახლა ჩატარება; ბათილად იქნა ცნობილი საპრეტენზიო კომისიის 2015 წლის 30 ივნისის №3 ოქმი მ. მ-ის საპრეტენზიო განცხადების უარყოფის შესახებ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიად და მესამე პირებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიისა და გ. შ-ის, დ. ე-ის, ვ. ვ-ის, თ. ა-ის, ი. ს-ის, ი. გ-ას, ი. ა-ის, ხ. ხ-ის, ხ. გ-ას სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; გაუქმდა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება; მ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებული ვაკანტური თანამდებობების დაკავების მიზნით კონკურსის გამოცხადება, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნა და სხვა პროცედურული საკითხები განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ ვინაიდან არ არსებობს

სხდომის ოქმი და არც გასაუბრების მიმდინარეობის რაიმე ტიპის ჩანაწერი (სტენოგრამა, აუდიო/ვიდეო ჩანაწერი), კონკურსის ჩატარებისას გამჭირვალობის პრინციპის რეალიზების შემოწმების შესაძლებლობა არ არსებობს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებში დაცულია როგორც 2015 წლის 11 ივნისის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის №61 ოქმი, რომლითაც დადგინდა სამტრედიაში (ადმინისტრაციულ ერთეულში) გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში ვაკანსიაზე №27028 – (9 ვაკანსია) სამტრედიის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსის მე-3 ეტაპის გასაუბრების ჩატარება და 2015 წლის 18 ივნისის №63 ოქმი, რომლითაც განხორციელდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა 2015 წლის 18 მარტს გამოცხადებული კონკურსის მე-3 ეტაპის გასაუბრების შედეგების გაცნობა, კონკურსის ჩატარების მოკლე შეჯამება, ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენილი კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და კენჭისყრის შედეგად შესაბამის თანამდებობაზე კანდიდატების დასანიშნად წარდგენა. კანდიდატთა შეფასება აღნიშნულია დებულებით დამტკიცებულ №2 დანართის შეფასების ფორმაში.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, გასაუბრების მიმდინარეობის რაიმე ტიპის ჩანაწერის (სტენოგრამა, აუდიო/ვიდეო ჩანაწერი) არსებობის სავალდებულობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესით და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულებით გათვალისწინებული არ არის.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩევეს სადაცოდ არ გაუხდია და არც სასამართლოს არ უმსჯელია 2015 წლის 18 ივნისის №63 სხდომის ოქმის კანონიერებაზე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის 11 ივნისის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის №61 სხდომის ოქმით განისაზღვრა სამტრედიაში (ადმინისტრაციულ ერთეულში) გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზ-

რუნველყოფის საკითხებში ვაკანსიაზე №27028 – (9 ვაკანსია) სამტრედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსის მე-3 ეტაპის – გასაუბრების ჩატარება, ხოლო 2015 წლის 18 ივნისის №63 ოქმით განხორციელდა კენჭისყრის შედეგად შესაბამის თანამდებობაზე კანდიდატების დასახიშნად წარდგენა, რის შედეგადაც სამტრედის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 7 ივლისის ბრძანებებით სამტრედიაში (ადმინისტრაციულ ერთეულში) გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში №27028 ვაკანსიაზე – (9 ვაკანსია) დაინიშნენ გ. შ-ე, დ. ე-ე, ვ. ვ-ე, თ. ა-ე, ი. ს-ე, ი. გ-ა, ი. ა-ი, ნ. ხ-ე, ხ. გ-ა.

სამტრედის რაიონულმა სასამართლომ ბათილად ცნო სამტრედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2015 წლის 23 ივნისის (მითითებული თარიღით კომისიას ოქმი არ შეუდგენია, უნდა იყოს 11 ივნისის ოქმი) №61 სხდომის ოქმები (გადაწყვეტილებები) და გადაწყვიტა, რომ მოხდეს კონკურსის მე-3 ეტაპის – გასაუბრების ხელახლა ჩატარება, თუმცა მოსარჩელეს სადაცვოდ არ გაუხდია კენჭისყრის შედეგად შესაბამის თანამდებობაზე კანდიდატების დასახიშნად წარდგენის შესახებ 2015 წლის 18 ივნისის №63 ოქმი და სამტრედის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 7 ივლისის ბრძანებები სამტრედიაში (ადმინისტრაციულ ერთეულში) გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის უზრუნველყოფის საკითხებში ვაკანსიაზე №27028- (9 ვაკანსია) გ. შ-ის, დ. ე-ის, ვ. ვ-ის, თ. ა-ის, ი. ს-ის, ი. გ-ას, ი. ა-ის, ნ. ხ-ის და ხ. გ-ას დანიშვნის თაობაზე. ამ აქტების ძალაში არსებობის პირობებში სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ №61 სხდომის ოქმის ბათილად ცნობისა და გასაუბრების ხელახლა ჩატარების თაობაზე; ამდენად, იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები – 2015 წლის 18 ივნისის №63 ოქმი და სამტრედის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 7 ივლისის ბრძანებები წარდგენილ კონკურსანტთა დანიშვნის თაობაზე არ გასაჩივრებულა, მათ კანონიერებაზე მსჯელობა მოცემული დავის ფარგლებში სცილდება სააპელაციო პალატის კომპეტენციის ფარგლებს.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მ. მ-ემ საპრეტენზიო განცხადებით მიმართა სამტრედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის შედეგებისა და პროცედურების საპრეტენზიო კომისიას, რომლის 2015 წლის 30 ივ-

ნისის გადაწყვეტილებით საპრეტენზიო განცხადება არ დაკმაყოფილდა. ოქმში მითითებულია, რომ სხვა კონკურსანტებს მიღებული აქვთ მ. მ-ესთან შედარებით მაღალი შეფასება, რის გამოც საპრეტენზიო კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრების შეფასება იყო ობიექტური, რის გამოც საპრეტენზიო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

საპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება კანონიერია, თავად მოსარჩელეც ვერ მიუთითებს კონკრეტული ნორმის მოთხოვნის დარღვევაზეც, ხოლო რაც შეეხება კანდიდატების ქულათა სისტემით შეფასებას, დადასტურებულია დასანიშნ კანდიდატთა შეფასების ქულათა უპირატესობა და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია მათი დასანიშნად წარდგენა.

საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. მ-ემ საკა-საციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

კასატორის მტკიცებით, საპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ არ არსებობს გასაუბრების ეტაპის ამსახველი ოქმი და გაუგებარია, როგორ მოხდა კანდიდატების შეფასება. დადასტურებულია და მოპასუხე შხარებაც აღიარა, რომ არ არსებობდა გასაუბრების წინასწარ შემუშავებული კითხვარი, რაც ეწინააღმდეგება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №33 დადგენილებით დამტკიცებულ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების მე-17 მუხლს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოები:

1. მ. მ-ე მონანილეობდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსში. კერძოდ: ა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის სპეციალისტის ქ. სამტრედიაში (ადმინისტრაციულ ერთეულში) გამგებლის წარმომადგენლის ... საკითხებში №27028 (9 ვაკანსია);

2. მ. მ-ემ გაიარა ატესტაციის 2 ეტაპი – განცხადებების გადარჩევა, ტესტირება და დაექვემდებარა გასაუბრებას;

3. გასაუბრების თაობაზე კომისიას სხდომის ოქმი არ შეუდ-

გენია და არც სხდომის მიმდინარეობის ამსახველი რაიმე მტკი-  
ცებულება არსებობს;

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვით-  
მმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო  
კომისიის 2014 წლის 11 ივნისის №61 ოქმით დასტურდება, რომ  
2015 წლის 11 ივნისს ჩატარდა საკონკურსო-საატესტაციო კო-  
მისიის სხდომა, რომელსაც კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა  
კომისიის 3 წევრი, ასევე კომისიის სამდივნოს წევრები, გამგე-  
ობის თანამშრომლები და არასამთავრობო ორგანიზაცია „სამარ-  
თლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზო-  
გადოება“ სამტრედიის კოორდინატორი. დღის წესრიგით გათ-  
ვალისწინებული იყო სამტრედიაში (ადმინისტრაციულ ერთე-  
ულში) გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობის ... ვაკანსიაზე  
№27028 – (9 ვაკანსია) სამტრედიის მუნიციპალიტეტის თვით-  
მმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსის მე-3 ეტაპის გა-  
საუბრების ჩატარება.

5. მითითებული ოქმით დასტურდება, რომ მომხსენებელმა  
კომისიის წევრებს გააცნო კონკურსის მე-3 ეტაპის გასაუბრე-  
ბის შესახებ, კერძოდ, აღნიშნულ ვაკანსიაზე დაშვებული იყო  
78 კონკურსანტი (მითითებულია 78 კონკურსანტის პერსონა-  
ლური მონაცემი). გასაუბრება გაიარა 70 კონკურსანტმა. კონ-  
კურსის გასაუბრების ეტაპის თითოეული კონკურსანტის შეფა-  
სება (ქულები) დაფიქსირდა კანდიდატთა პროფესიული უნარე-  
ბის შეფასების ფორმაში, რომელიც ერთვის ოქმს. მ. მ-ის შეფა-  
სების გრაფაში მითითებულია ქულა – 80. კომისიამ კენჭისყრის  
შედეგად (სამი ხმა) გადაწყვიტა, რომ სპეციალისტი სამტრედი-  
აში (ადმინისტრაციულ ერთეულში) გამგებლის წარმომადგენ-  
ლის საქმიანობის ... ვაკანსიაზე №27028 – (9 ვაკანსია), თითოე-  
ული კონკურსანტის (ქულების) მიხედვით, კონკურსანტებს შო-  
რის ყველაზე მაღალი შეფასება მიიღეს: გ. შ-ემ, დ. ე-ემ, ვ. ვ-ემ,  
თ. ა-ემ, ი. ს-ემ, ი. გ-ამ, ი. ა-მა, ნ. ხ-ემ, ხ. გ-ამ. ოქმი ხელმოწერი-  
ლია კომისიის სამი წევრისა და მდივნის მიერ.

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვით-  
მმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო  
კომისიის 2015 წლის 18 ივნისის №63 ოქმით დასტურდება, რომ  
2015 წლის 18 ივნისს ჩატარდა საკონკურსო-საატესტაციო კო-  
მისიის სხდომა, რომელსაც კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა  
კომისიის 3 წევრი, ასევე კომისიის სამდივნოს წევრები. დღის  
წესრიგით გათვალისწინებული იყო სამტრედიის მუნიციპალი-  
ტეტის თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა 2015 წლის 18  
მარტს გამოცხადებული კონკურსის მე-3 ეტაპის გასაუბრების

შედეგების გაცნობა. ოქმში მითითებულია კონკურსის ჩატარების მოკლე შეჯამება, ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენილი კანდიდატების შესახებ ინცორმაცია და კომისიაში კენჭისყრის შედეგად (3 ხმა) მხარი დაუჭირა მითითებული კანდიდატურების შესაბამის თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენას. ოქმი ხელმოწერილია კომისიის სამი წევრისა და მდივნის მიერ.

7. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მუშაობის შესახებ კომისიის ერთმა წევრმა თავისი მოსაზრება დააფიქსირა მოხსენებით ბარათში, რომელიც ერთვის ოქმს.

8. 2015 წლის 24 ივნისის №35-11 მიმართვით სამტრედის მუნიციპალიტეტის გამგებელს სამტრედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარებ გადაუგზვნა თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატთა სია.

9. სამტრედის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით სამტრედის მუნიციპალიტეტი (ადმინისტრაციულ ერთეულში) გამგებლის ნარმომადგენლის ... ვაკანსიაზე №27028 - (9 ვაკანსია) დაინიშნებ გ. შ-ე, დ. ე-ე, ვ. ვ-ე, თ. ა-ე, ი. ს-ე, ი. გ-ა, ი. ა-ი, ხ. ხ-ე, ხ. გ-ა.

10. მ. მ-ემ საპრეტენზიო განცხადებით მიმართა სამტრედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის შედეგებისა და პროცედურების საპრეტენზიო კომისიას, რომლის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით საპრეტენზიო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად არასწორად შეაფასა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის თანახმად პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად, გარდა ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

ამავე კანონის 33-ე მუხლის თანახმად, საკონკურსო-საატესტაციო კომისია აფასებს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან, აუცილებლობის შემთხვევაში ისმენს აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირის აზრს და გამოაქვს თავისი გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, საკონკურსო-საატესტაციო კომისია ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშ-

ნად წამოაყენებს ერთ-ერთ კანდიდატს ან უარს აცხადებს კან-დიდატის წამოაყენებაზე.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საპირისპიროდ, სა-კასაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ კომისიის ფუნქცია, გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენასთან ერთად, კონკურსი მონაწილე პირების ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენაცაა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათ-ვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შე-სახებ“ საქართველოს მთავრობის 18 ივნისის №412 დადგენი-ლების მე-3 მუხლის მიხედვით, კონკურსის პრინციპებია: კანო-ნიერება, სამართლიანობა, საჯაროობა, გამჭვირვალობა, არა-დისკრიმინაციულობა, ოპერეტურობა, მიუკერძოებლობა, კოლე-გიალურობა, კორექტულობა.

ამავე დადგენილების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, კონკურსის ამოცანებია: а) საქართველოს მოქალაქეთათვის ვაკანტურ თანამდებობათა თანაბრად ხელმისაწვდომობის უზ-რუნველყოფა; б) ვაკანტურ თანამდებობაზე დასახიშნი კანდი-დატების შერჩევის და მათი თანამდებობებზე დანიშვნის პრო-ცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; გ) კონკურსში მონა-ნილე კანდიდატების კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, ცოდნის, პიროვნული თვისებების, მოტივაციის და უნარ-ჩვე-ვების შეფასება; დ) შერჩეული კანდიდატების ვაკანტური თა-ნამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დონის განსაზღვრა.

დადგენილების მე-14 მუხლი შეეხება კომისიის საქმიანო-ბის წესს. აღნიშნული ნორმის მე-3 პუნქტის მიხედვით, კომისია აფასებს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური თანამდებო-ბის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან, აუცილებლო-ბის შემთხვევაში, ისმენს აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშ-ვნის უფლების მქონე პირის აზრს და გამოაქვს შესაბამისი გა-დაწყვეტილება, დადგენილი წესით, ხოლო მე-4 პუნქტის თა-ნახმად კი, კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რო-მელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის დამ-სწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვა-ვებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამარ-თლოს მტკიცებას, რომ გასაუბრების მიმდინარეობის რაიმე ტი-პის ჩანაწერის (სტენოგრამა, აუდიო/ვიდეო ჩანაწერი) არსებო-ბის სავალდებულობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართვე-ლოს კანონით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის

№412 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესით და სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული სამტრედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ოფიციალური მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულებით გათვალისწინებული არ არის, ამდენად, მოცემულ საქმეზე პრობლემას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ უშუალოდ გასაუბრების ამსახველი რაიმე დოკუმენტი არ არსებობს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მართალია, გასაუბრების მიმდინარეობის რაიმე ტიპის ჩანაწერის (სტენოგრამა, აუდიო/ვიდეო ჩანაწერი) არსებობის სავალდებულობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილებით პირდაპირ გათვალისწინებული არ არის, მაგრამ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ დადგენილების შესაბამისად, კონკურსის ჩატარების ერთ-ერთი პრინციპია გამჭვირვალობა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანო – საკონკურსო კომისია ვალდებულია, გასაუბრების ეტაპის ამსახველი რაიმე დოკუმენტი შეადგინოს, რათა სასამართლოს ჰქონდეს შეფასების საშუალება, რამდენად დაცულია №412 დადგენილებით განსაზღვრული კონკურსის პრინციპები.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად აღნიშნა, რომ კონკურსის პრინციპების დაცულობის შეფასებისათვის, პირველ რიგში, უნდა არსებობდეს კონკურსის მიმდინარეობის პროცესის შემოწმების შესაძლებლობა. იმ პირობებში, როდესაც არც სხდომის იქმი და არც გასაუბრების მიმდინარეობის რაიმე ტიპის ჩანაწერი (სტენოგრამა, აუდიო/ვიდეო ჩანაწერი) არ არსებობს, შემოწმების შესაძლებლობა არ გვაქვს, ამრიგად, კონკურსის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი – გამჭვირვალობა, დარღვეულია. გამჭვირვალობის დარღვევა თავისთავად ეჭვქვეშ აყენებს ყველა დანარჩენ პრინციპის დაცულობას კომისიის მხრიდან, რადგან ობიექტურ დამკვირვებელს არ აქვს შესაძლებლობა გაეცნოს და შეაფასოს გასაუბრების მიმდინარეობა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული „სამტრედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ოფიციალური მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების“ პირველი მუხლით განისაზღვრა საკრებულოს აპარატისა და გამ-

გეობის მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების საფუძვლები. ამ დებულების მიხედვით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისია იქმნება და საქმიანობს აღნიშნული დებულების საფუძველზე. მე-2 მუხლის „გ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კონკურსის გამჭვირვალობის პრინციპი გულისხმობს, რომ გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათლად ფორმირებული, გასაგები და აღქმადი ყველა პრეტენდენტისათვის. ამავე მუხლის „გ.ა“ ქვეპუნქტის მიხედვით კონკურსის კანონიერების პრინციპი გულისხმობს კონკურსის პროცესის მიმდინარეობას ამ დებულების, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №411 დადგენილების და „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა მხოლოდ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის №33 დადგენილების მე-18 მუხლით და არ გამოიყენა ამავე დადგენილების მე-17 მუხლი, რომლის თანახმადაც, კანდიდატებთან გასაუბრებისას უნდა გამოიყენოს ნინასწარ შემუშავებული კითხვარი, რომელიც საშუალებას მისცემს, მიიღოს ინფორმაცია კანდიდატის უნარ-ჩვევებზე, პროფესიულ კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე, რომელიც საჭიროა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად. კითხვები შეიძლება დაისავას განსაზღვრული თანმიმდევრობით. შესაძლებელია დამატებითი კითხვების დასმაც განსაზღვრული საკითხების ირგვლივ, რაც დამოკიდებულია კანდიდატის მიერ გაცემულ პასუხებზე. მე-3 პუნქტით, თითოეული კანდიდატისათვის გამოიყენება იდენტური შინაარსის ნინასწარ განსაზღვრული კითხვარი. კომისიის წევრები ვალდებული არიან გასაუბრების შედეგების შესაფასებლად გამოიყენონ დანართ №2-ში მოცემული შეფასების სქემა.

დანართ №2 ნარმოადგენს კანდიდატთა პროფესიული უნარების შეფასების ფორმას, რომლითაც შემფასებელი კანდიდატს აფასებს შესაბამისი ქულებით, რომლის მიხედვით 0-50 ქულით შეფასებისას კანდიდატის დონე მიიჩნევა სუსტად, 50-75 ქულა – საშუალოდ და 75-100 ქულა ნარმოადგენს ძლიერს.

ამ სამართლებრივი ნორმების დანაწესიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კანდიდატთა პროფესიული უნარების შეფასება და, ამ თვალსაზრისით, მათი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების დონის ობიექტურად განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ დასაკავებელი თანამდებობების სპეციფიკის გათვალისწინებით წინასწარ შემუშავებული კითხვებისა და ამ კითხვებზე გაცემული პასუხების სისწორის საფუძველზე. ამასთან, რომ არ დაირღვეს სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპები და გამოირიცხოს სუბიექტივიზმი, დებულებით სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს თითოეული კანდიდატისათვის იდენტური შინაარსის წინასწარ განსაზღვრული კითხვარის გამოყენება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა, რამდენად დაცულია მოცემულ საქმეზე ეს მოთხოვნები, რასაც გასაჩივრებულ განჩინებაში ადგილი არ ჰქონია.

სარჩელის დაგმაყოფილებაზე უარის თქმის ერთ-ერთ მიზნებად სააპელაციო სასამართლომ ის გარემოება მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები – 2015 წლის 18 ივნის №63 ოქმი (რომლითაც გამარჯვებული კანდიდატი დასახელდა) და სამტრედიის მუხიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 7 ივლისის ბრძანებები წარდგენილ კონკურსანტთა დანიშვნის თაობაზე არ გასაჩივრებულა, სასამართლო ვერ იმსჯელებდა მათ კანონიერებაზე. მათთვის ბათილად ცნობის გარეშე კი, გასაუბრების ეტაპის ხელახლა ჩატარება შეუძლებელია.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე ცალსახაა მოსარჩელის მოთხოვნის არსი – კონკურსის შედეგების ბათილად ცნობა და გასაუბრების ხელახლა ჩატარება. მართალია, სასამართლო შებოჭილია სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებით, მაგრამ ამ ფარგლებში სარჩელის არასწორი ფორმულირება დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს. ამ მოცემულობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა ზემოაღნიშნული მუხლით, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებოდა მხარეს სარჩელის ტრანსფორმირებაში ან სასარჩელო

მოთხოვნის დაზუსტებაში და საქმე შესაბამისად განეხილა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასა-მართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, გარდა ამისა, საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც, შესაძლოა, გავლენა იქმნია საქმის განხილვის შედეგზე. აღნიშნული დარღვევები, სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 393-ე, 394-ე მუხლების საფუძველზე, გადაწყვე-ტილების გაუქმების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხე-ლახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევი-თად დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწო-რი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულე-ბათა დამატებითი გამოკვლევა ან არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა გან-ხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს წინამდებარე განჩინების დასაბუთებით, დაადგინოს დავის გა-დაწყვეტისათვის საჭირო ფაქტობრივი გარემოებები და საქმე-ზე გადაწყვეტილება ისე მიიღოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. მ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-ტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 დეკემბრის გადაწ-ყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

**2. სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინური  
გადაცდომისათვის ან სამსახურის მოვალეობის  
დარღვევის გამო**

**განჩინება**

№ბს-806-798 (კ-15)

11 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქ-  
ტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაც-  
დურის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ვ. გ-ამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში  
მოპასუხის - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რა-  
იონის გამგეობის მიმართ და მოითხოვა სამსახურიდან განთა-  
ვისუფლების შესახებ საბურთალოს რაიონის გამგეობის 15.09.14წ. №63 ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგე-  
ნა, განაცდური ხელფასის ანაზღაურება. მოსარჩელემ აღნიშ-  
ნა, რომ 2013 წლის 01 მარტიდან ეკავა საბურთალოს რაიონის  
გამგეობის, ტერიტორიული ერთეულის-ვეძისი-ყაზბეგი-გოთუა-  
საბურთალოს ქუჩის უბნის სამსახურის ... თანამდებობა. გამ-  
გებლის 15.09.14წ. №63 ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებუ-  
ლი თანამდებობიდან დისციპლინური გადაცდომისათვის. მო-  
სარჩელემ მიუთითა, რომ 2014 წლის სექტემბერში სამსახურის  
უფროსმა ლ. მ-მა მისცა საკუთარი სურვილით სამსახურიდან  
წასვლის წინადადება, რაზედაც მან უარი განაცხადა. ამის შემ-  
დეგ, 11.09.14წ. სამსახურის უფროსმა საბურთალოს რაიონის  
გამგებლის სახელზე შეადგინა პირველი მოხსენებითი ბარათი,  
რომელშიც აღნიშნავდა, რომ ვ. გ-ამ არ იცოდა კომპიუტერთან  
მუშაობა, აფერხებდა სამსახურის საქმიანობას. ბრძანება დის-  
ციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ არ გამო-  
ცემულა. 15.09.14წ. ლ. მ-მა წარადგინა მეორე მოხსენებითი ბა-  
რათი, რომელშიც მიუთითა, რომ 12.09.14წ. მან შერჩევითი პრინ-  
ციპით გადაამოწმა ვ. გ-ას მიერ 2013 წელს ჩატარებული მოკ-  
ვლევის მასალები მოქალაქეების ა. ა. ო-ის და ე. კ-ის საყოფაც-

ხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ, რომლითაც მათ გაენიათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება და მიიჩნია, რომ ისინი არ საჭიროებდნენ დახმარებას. გარდა ამისა ორ მოქალაქეს, რომელთა საყოფაცხოვრებო მდგომარეობა ასევე ვ. გ-ას მიერ იქნა მოკვლეული, – 6. ს-ასა და 6. კ-ს არ მიუღიათ დახმარება მიუხედავად იმისა, რომ დახმარების მიზნით გამგეობაშ თანხა გადარიცხა. იმავე დღეს 15.09.146. გამოიცა გათავისუფლების შესახებ გამგებლის №63 ბრძანება. მოსარჩელე თვლის, რომ ბრძანება გამოიცა დაჩქარებული წესით, ლ. მ-ის პირადი, მიკერძოებული და არაკალიფიციური შეფასებების საფუძველზე. 15.09.146. მოხსენებით ბარათში უკულებელყოფილია რიგი გარემოება: მისი მოვალეობა იყო მოქალაქეების განცხადებების საფუძველზე მათი საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა და მხოლოდ რეკომენდაციების მომზადება. საქმე სრულად იქნა გამოკვლეული და დოკუმენტაციურად ასახული; გადაწყვეტილებას დახმარების განვითი შესახებ, მასალების შესწავლის საფუძველზე, იღებდა გამგეობა, რომლის წევრი მოსარჩელე არ იყო და არც ხმის უფლება ჰქონდა; მოსარჩელე არ იყო პასუხისმგებელი მოქალაქეებისათვის თანხების გადარიცხვაზე და მათი მოძრაობის კონტროლზე. მოსარჩელე აღნიშნავს აგრეთვე, რომ გამგეობამ არ შეატყობინა მას მიმდინარე წარმოების შესახებ, გააცნო მას მხოლოდ განთავისუფლების ბრძანება, მას არ მიეცა წარმოებაში მონაწილეობისა და კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობის სამუალება. საჯარო სამსახურის პერიოდში დისციპლინური წესით დასჯილი არ ყოფილა არცერთხელ, გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემისას მოსარჩელის მიმართ არ მოქმედებდა დისციპლინური პასუხისმგებლობის რაიმე ზომა. მოსარჩელე თვლის, რომ 15.09.146. ბრძანება დაუსაბუთებელია, ხოლო მოხსენებით ბარათში მოყვანილი გარემოებები უსაფუძვლოა, დარღვეულია სზაკ-ის მე-5, 53-ე, 95-99-ე მუხლების მოთხოვნები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 24.02.156. გადაწყვეტილებით სარჩელი დაქმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგებლის 15.09.146. №63 ბრძანება ვ. გ-ას გათავისუფლების თაობაზე, მოპასუხეს – საბურთალოს რაიონის გამგეობას დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ვ. გ-ას სამსახურში აღდგენის შესახებ, გამგეობას დაევალა აგრეთვე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, მაგრამ არა უმეტეს სამი თვის თანამდებობითი სარგოს ოდენობით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი – გამგეობის სამსახურის უფროსის 15.09.14ნ. მოხსენებითი ბარათი, ეფუძნებოდა შესწავლილ და გამოკვლეულ ფაქტებს, რასაც ადასტურებს თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დასკვნა. სასამართლომ აღნიშნა, რომ სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათი 15.09.14ნ. არის დათარიღებული, იმავე დღესვეა გამოცემული სადაც აქტი, შესაბამისად, დამატებით წარმოებას ადგილი არ ჰქონია, ხოლო მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დასკვნა მოსარჩელის გათავისუფლებიდან 14 დღის შემდეგ, 29.09.14ნ. შედგა. სასამართლომ მიუთითა აგრეთვე, რომ მოქალაქეებს, რომლებსაც გაეწიათ ფინანსური დახმარება, ახსნა-განმარტებები ჩამოერთვა ვ. გ-ას სამსახურიდან გათავისუფლებიდან 9 დღის შემდეგ. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაციები მოძიებულია სადაც აქტის გამოცემის შემდგომ. სასამართლომ აღნიშნა, რომ სზაკ-ის მე-4 თავი ავალებს ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ გამგებელმა ვ. გ-ას მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების, სამსახურიდან გათავისუფლების საკითხი გადაწყვიტა ადმინისტრაციული წარმოების წესების დარღვევით, გამგებელმა ისე გაათავისუფლა მოსარჩელე სამსახურიდან, რომ არ გამოუკვლევია გადაცდომის არსებობის ფაქტი, მისი ჩამდენი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო მოსამსახურის თანამდებობიდან გათავისუფლებისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გამოიყენოს სზაკ-ით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. ადმინისტრაციულ წარმოების პირის მონაწილეობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ დაინტერესებული პირის მოლლოდინს, რომ მის მიმართ გამოიცემა კანონიერი და დასაბუთებული აქტი, არამედ მის უფლებას მიიღოს აქტიური მონაწილეობა აქტის მომზადების სტადიაზე, რათა ობიექტური ზეგავლენა მოახდინოს იმ სამართლებრივ შედეგებზე, რომელიც შესაძლოა მის მიმართ დადგეს. სზაკ-ის 53.5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემობებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ხსენებული მუხლი ცხადჰყოფს, რომ აქტის ფორ-

მალური კანონიერების განსაზღვრის პროცესში აუცილებელია ყურადღება მიექცეს მის დასაბუთებას. ეს ვალდებულება განპირობებულია ადმინისტრაციული ორგანოს სამართლით შებოჭვით და თვითკონტროლის ფარგლებში შებოჭვით. სასამართლომ არ გაიზიარა გამგეობის წარმომადგენლის განმარტება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ჩაატარა ადმინისტრაციული ნარმება, სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საქმის გარემოებების გამოკვლევის გარეშე გაათავისუფლა მოსარჩევე. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ახსნას, განმარტოს მიღებული გადაწყვეტილების მიზეზი და ფაქტები, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია აგრეთვე ადრესატისათვის, რათა შეფასდეს მისი მართლზომიერება, ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით. სასამართლომ მიუთითა სზაკ-ის 60<sup>1</sup>.1 მუხლზე, სასკ-ის 22-ე, 32.1, 33-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სადაცო აქტები და გამგეობას უნდა დაევალოს სამსახურში აღდგენის შესახებ აქტის გამოცემა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.09.15წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით და დამატებით აღნიშნა, რომ გამგეობის სახელით კონკრეტული ფიზიკური პირისათვის სოციალური დახმარების განევის მიზნით ერთჯერადი ფულადი თანხის გადახდის შესახებ საკითხის გამო გადაწყვეტილებებს იღებს არა გამგეობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, არამედ გამგეობა, საკითხის კოლეგიური წესით და ზეპირი მოსმენის გზით განხილვის შედეგად. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შოქალაქებზე ერთჯერადი ფულადი დახმარებების არასწორად გაცემის საკითხი არ წარმოადგენს ისეთი შინაარსის ფაქტს, ხდომილებას, რომლის გამოც დისციპლინური პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს .... პალატამ აღნიშნა აგრეთვე, რომ ლ. მ-ის 15.09.14წ. №12/142581091-47 მოხსენებით ბარათში მოხმობილი ფაქტები, რომლებიც გამოკვლეული იქნა მოცემული საქმის სასამართლო წესით განხილვის ორივე ეტაპზე, არ ქმნის საჯარო სამსახურში დისციპლინური გადაცდომის მაკვალიფიცირებელი ნორმის – „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 99.3 მუხლის შემადგენლობას – ვ. გ-ას არ დაურღვევია

მასზე დაკისრებული სამსახურებრივი ვალდებულებები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გა-  
საჩივრდა სატურთალოს რაიონის გამგეობის მიერ. კასატორი აღ-  
ნიშნავს, რომ 12.09.14წ. საუბნო სამსახურის ხელმძღვანელის  
და ვ. გ-ას უშუალო უფროსის ლ. მ-ის მიერ შესწავლილ იქნა ვ. გ-  
ას მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ფარგლებში შესრულე-  
ბული სამუშაოს მასალები და დადგინდა, რომ მოქალაქეებისათ-  
ვის ფინანსური დახმარების განევის თაობაზე ვ. გ-ას მიერ მომ-  
ზადებული სარეკომენდაციო წერილის საფუძველზე, სადაც  
მოსარჩელე უთითებდა, რომ გამოიკვლია მოქალაქეების სოცი-  
ალური მდგომარეობა და ისინი იმყოფებოდნენ მძიმე სოცია-  
ლურ მდგომარეობაში, გამგეობის მიერ გაცემული იყო ფინან-  
სური დახმარება. ლ. მ-ის მიერ გამოკითხულ იქნა მოქალაქეები  
და დადგინდა, რომ მათ არავითარი ფინანსური დახმარება არ  
მიუღიათ, გარდა ამისა, ისინი კატეგორიულად უარყოფენ მძი-  
მე სოციალურ მდგომარეობაში ყოფნას, გამგეობისაგან რაიმე  
დახმარების მოთხოვნას ან მიღებას. შესაბამისად, კასატორი  
თვლის, რომ ვ. გ-ას მიერ გამგეობისათვის მიწოდებული ინფორ-  
მაცია იყო განზრას ცრუ ინფორმაციის შემცველი, რაც სამსა-  
ხურებრივი მოვალეობის უხეშ დარღვევას წარმოადგენს და „სა-  
ჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 99.3 მუხლის შესაბამისად  
გამგებლის 15.09.14წ. №63 ბრძანებით ვ. გ-ა გათავისუფლდა და-  
კავებული თანამდებობიდან.

კასატორი თვლის, რომ სასამართლომ არასწორი ინტერპრე-  
ტაცია მისცა აუდიტის დასკვნას, გამგეობის მიერ დასკვნა წარ-  
დგენილ იქნა არა როგორც სადაც აქტის გამოცემის საფუძვე-  
ლი, არამედ იმის დასადასტურებლად, რომ არა მხოლოდ საბურ-  
თალოს რაიონის გამგეობას მიაწინდა ვ. გ-ას ქმედება სამსახუ-  
რებრივი მოვალეობის უხეშ დარღვევად, არამედ აგრეთვე მა-  
კონტროლებელ ორგანოსაც. სასამართლოს შეუსაბამო დას-  
კვნამ განაპირობა არასათანადო სამართლებრივი კვალიფიკა-  
ცია.

კასატორი აღნიშნავს, რომ კეთილსინდისიერი ადმინისტრი-  
რება მოითხოვს საჯარო მოხელის სამსახურებრივი მოვალეო-  
ბების მიმართ სუბიექტური განწყობის შეფასებას. სასამარ-  
თლოს შეფასების მიღმა დარჩა ადმინისტრაციული წარმოების  
ეტაპზე და ვ. გ-ას მიერ დაშვებული ხარვეზი, განზრას ცრუ ინ-  
ფორმაციის დიკუმენტში ასახვა, ხელმძღვანელი პირისათვის  
განსახილებელი მიწოდება, დიდი იღენდობით ბიუჯეტის სახსრე-  
ბის გაფლანგვის პირობის შექმნა მაშინ, როდესაც მოხელემ  
იცოდა, რომ ძირითადად მის მიერ მომზადებულ დოკუმენტზე

არის დამოკიდებული გამგეობის გადაწყვეტილება. ზემდგომი ორგანოს მიერ დადასტურდა გადაწყვეტილების მართებულობა, რაც კასატორის აზრით ადასტურებს იმას, რომ ხარვეზის მიუხედავად უფლებამოსილი ორგანოს მიერ მაინც იგივე გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო მიღებული. კასატორი თვლის, რომ სადაც აქტების ბათილად გამოცხადებით სასამართლომ დაარღვია სზაკ-ის 60.1 მუხლი, ვ. გ-ას მიერ წერილობით ახსნა-განმარტების წარდგენის და სამსახურის უფროსის მიერ მოქალაქეებისაგან წერილობითი ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შემთხვევაშიც სხვაგვარი გადაწყვეტილება მიღებული არ იქნება.

კასატორი აღნიშნავს, რომ აქტის ბათილად ცნობით სასამართლო არასწორად განმარტავს ადმინისტრაციული სამართლის ნორმებს. სზაკის მე-60 მუხლის თანახმად, აქტი ბათილია თუ სახეზეა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. ადმინისტრაციული წარმოების შესაძლო ხარვეზის მიუხედავად, მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება იქნებოდა შესაძლებელი. ვ. გ-ას რომც წარმოედგინა წერილობითი სახით თავისა ახსნა-განმარტება (კასატორის მტკიცებით ვ. გ-ა ინფორმირებული იყო წარმოების შესახებ და არ ისურვა მოსაზრებების გამოთქმა) და საუბრო სამსახურის უფროსს რომც შეექმნა წერილობითი სახის დოკუმენტები მოქალაქეების გამოკითხვის თაობაზე, საქმეზე მაინც იგივე გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული, ვინაიდან გამოკითხული მოქალაქეები წერილობით ოქმში ინფორმაციას დადასტურებდნენ, რაც მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ცალსახად იქნა დადასტურებული წარმოდგენილი გამოკითხვის ოქმებით. შესაბამისად, ყველა შემთხვევაში იგივე გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული, სახეზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 99.3 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სამსახურის ფუნქციას შეადგენს უბის ტერიტორიაზე არსებული პრობლემების და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ გამგებლისათვის წინადადების წარდგენა, სტატისტიკური და სხვა მონაცემთა შეგროვება, სხვადასხვა სახის რეკომენდაციის შემუშავება, საჭიროების შემთხვევები წინადადებების მომზადება და გამგებლისათვის წარდგენა. ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი პირები კონკრეტულ საკითხზე მსჯელობენ მათი სამსახურების მი-

ერ მიწოდებული ინფორმაციის ფარგლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ პირებს გადაწყვეტილების მიღებამდე თავად მოუხდებოდათ ყველა იმ ფუნქციის შეთანხმება, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომლებს აკისრიათ და აზრს დაკარგავდა სამსახურების არსებობა. ერთი პირი ვერ შეითავსებს ორგანოს ყველა საქმიანობას, თითოეულ საჯარო მოხელეს კონკრეტულად განსაზღვრული ფუნქცია აკისრია, ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირები მეტნაკლებად დამოკიდებულები არიან თავიანთი თანამშრომლების კეთილსინდისიერებაზე. მოცემულ შემთხვევაში საუბარია ვ. გ-ას მიერ არა ფინანსური დახმარების გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე, არამედ იმაზე, რომ მის მიერ შედგა განზრას ცრუ ინფორმაციის შემცველი სარეკომენდაციო წერილი, რითაც შეცდომაში იქნა შეყვანილი გამგეობის თანამდებობის პირები და არამიზნობრივად განიკარგა ბიუჯეტის სახსრები.

საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივარი სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივარის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკეთოვოს ნაწილობრივ, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სზაუ-ის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე, ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების და გაუქმების მიზნით. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არის დასაბუთებული სააპელაციო პალატის მოსაზრება ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების, საქმის გარემოების გამოკვლევის გარეშე სადაცო აქტის გამოცემის თაობაზე. ადმინისტრაციულ აქტს გამოსაცემს უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირი, აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციულ წარმოებას ატარებს ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული. სადაცო აქტის გამოცემის დროს მოქმედი, ქ. თბილისის მერიის 28.02.13ნ. №11 ბრძანებით

დამტკიცებული „ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის დებულების“ 54-ე მუხლის თანახმად, საბურთალოს რაიონის ტერიტორიული ერთეულის – ვეძისი-ყაზბეგი-გოთუა-საბურთალოს ქუჩის უბინის სამსახურის (განყოფილების) უფროსი არის გამგებლის წარმომადგენელი, რომელიც წარმართავს სამსახურის საქმიანობას, ზედამხედველობას უწევს სამსახურის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, წარუდგენს გამგებელს სამსახურში შემავალ თანამდებობაზე დასანიშნ და თანამდებობიდან გასათავისუფლებელ თანამშრომელთა კანდიდატურებს (დებულების 55-ე მუხლის „ა“, „გ“ „და „ვ“ ქვეპუნქტები), სამსახურის ხელმძღვანელი არის გამგეობის ნევრი (3.1 მუხ.). ხსენებული დებულების 14.5 მუხლი ადგენდა გამგეობის სამსახურის შემადგენლობის (თანამშრომლების) ანგარიშვალდებულებას და პასუხისმგებლობას სამსახურის უფროსის, შესაბამისი დარგობრივი მოადგილისა და რაიონის გამგებლის წინაშე (14.5 მუხ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურის ხელმძღვანელი არის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, მის მიერ გადამოწმდა ვ. გ-ას მიერ ჩატარებული საქმიანობა. სამსახურის უფროსის მიერ შედგა ორი მოხსენებით ბარათი (11.09.14წ., 15.09.14წ.), შესაბამისად არ დასტურდება ადმინისტრაციული წარმოების გარეშე სადაცო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ვ. გ-ას მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით საბურთალოს რაიონის გამგებელს სამსახურის უფროსმა ლ. მ-მა მიმართა 15.09.14წ. მოხსენებითი ბარათით, რომლის ტექსტიდან ირკვევა, რომ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა ვ. გ-ას მიერ 2013 წელს ჩატარებული მოკვლევის მასალები მოქალაქეების ა. ა. ო-ის (... დასახლ. №57) და ე. კ-ის (... დასახლ. №49) საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ, რომელთაც გაეწიათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება. მოხსენებით ბარათის მიხედვით ხსენებული მოქალაქეები არ საჭიროებდნენ დახმარებას. გარდა ამისა, ორ მოქალაქეებს – 6. სასა (... დასახლ. №82) და 6. კ-ს (... დასახლ. №68), რომელთა საყოფაცხოვრებო მდგომარეობა ასევე ვ. გ-ამ მოიკვლია, არ მიუღიათ დახმარება, მიუხედავად იმისა, რომ დახმარების მიზნით გამგეობამ თანხა გადარიცხა. სზავ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ად-

მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა კოდექსის 32-ე და 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება ადმინისტრაციის მიერ სადაც აქტის გამოცემა საქმის გარემოებათა გამოკვლევის, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე, შესაბამისად, არ დასტურდება სზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სადაც აქტის ბათოლად ცნობის აბსოლუტური საფუძველი. რაც შეეხება მოხსენებით ბარათში მოყვანილი გარემოებების სისწორეს, აღნიშნული სასამართლოს მიერ დავის არსებითი განხილვის შედეგად უნდა დადგინდეს.

სზაკ-ის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მარტივი ადმინისტრაციული წარმოება ტარდება, თუ კანონმდებლობით არ განისაზღვრება აქტის გამოცემის მიზნით ჩასატარებელი ადმინისტრაციული წარმოების სახეობა. ვინაიდან წარმოების სახე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით არ არის დადგენილი, გამოყენებული უნდა იქნეს მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. ფორმალური წარმოებისაგან განსხვავებით მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დროს დასაშვებია საკითხის გადაწყვეტა ზეპირი მოსმენის გარეშე. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოსცეს კანონით დადგენილი პროცედურული წესების დაცვით. დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში არ არის სავალდებულო, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ჩააბას ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარე (სზაკ-ის 95.1 მუხ.). ამასთანავე, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა აცნობოს პირს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ, თუ იზლუდება მისი კანონიერი ინტერესი, მას უნდა მიეცეს მისი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა (სზაკ-ის 95.2, მე-13 მუხ.). ვინაიდან სადაც აქტით მოხდა ვ. გ-ას მდგომარეობის გაუარესება, ამდენად საჭირო იყო მისი შეტყობინება ადმინისტრაციული წარმოების შესახებ. მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში ანიჭებს მას წარმოების მასალების გაცნობის, შუამდგომლობის დასმის, მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს კვალიფიციური და ობიექტური აქტის გამოცემას. ამდენად, დაინტერესებული პირის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვის უზრუნველყოფად ზომე-

ბის მიუღებლობა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უდავოდ ადასტურებს ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ხარ-ვეზიანობას. ამასთანავე, საქმეზე არ არის გამოკვლეული ვ. გ-ას ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართულობის ხარისხი, სასარ-ჩელო განცხადებაში ვ. გ-ა აღნიშნავს, რომ სადავო აქტის გამო-ცემამდე, კერძოდ 01.09.14წ. სამსახურის უფროსმა შესთავიზა მას საკუთარი სურვილით სამსახურიდან წასვლა, რაზედაც მან უარი განაცხადა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული წარ-მოების წესის ყოველგვარი, თუნდაც უხეში დარღვევა, დაინ-ტერესებული მხარისათვის წარმოების შესახებ არ შეტყობინე-ბა არ იწვევს უპირობოდ აქტის გაუქმებას. პროცედურის სუბ-სიდარული ხასიათიდან გამომდინარე, სზაკ-ის 60<sup>1</sup>.2 მუხლში აღ-ნიშნული დარღვევებისაგან განსხვავებით, ხსენებული დარ-ღვევა არ არის აბსოლუტური ხასიათის და არ იწვევს უცილობ-ლად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-ტის ბათილად ცნობას. სზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თა-ნახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცე-მულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტი-ლება. სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ უთი-თებს სზაკ-ის 60<sup>1</sup>.2 მუხლით გათვალისწინებული აქტის ბათი-ლად ცნობის საფუძვლებზე, უფრო მეტიც, არც ერთი ინსტან-ციის სასამართლოს არ უმსჯელია მოხსენებით ბარათში მითი-თებულ ფაქტებზე, არ დაუდგენია ამ მიმართებით საქმის გარე-მოებები, არ შეუფასებია მტკიცებულებები, რომელთა მოპო-ვება მოხდა სადავო აქტის გამოცემის შემდეგ (მოქალაქეთა ახ-სნა-განმარტებები, აუდიტორული დასკვნა). სამსახურის უფ-როსის 15.09.14წ. მოხსენებით ბარათში მითითებული გარემოე-ბის საფუძვლიანობის დადგენა საჭიროებდა საქმეზე შეკრები-ლი ყველა მტკიცებულების შეფასებას, მათ შორის, სადავო აქ-ტის გამოცემის შემდეგ მოპოვებული მტკიცებულებების შეფა-სებას, მით უფრო, რომ აღნიშნულ დოკუმენტაციაზე მითითე-ბით ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ ყველა შემთხვევაში მიი-ღებდა იგივე გადაწყვეტილებას, ხოლო სამსახურის უფროსის 14.09.13წ. მოხსენებით ბარათში, რომელიც საფუძვლად დაედო სადავო აქტს, საუბარია მნიშვნელოვან დარღვევებზე, მათი და-დასტურების შემთხვევაში ადმინისტრაციის მიერ მოსარჩევის ჩართვა ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეცვლიდა მიღებულ გადაწყვეტილებას. 29.09.14წ. დასკვნის მიხედვით ის შედგენი-

ლია მოქალაქეების გამოკითხვის, წერილობითი ახსნა-განმარტებების ჩამორთმევის, საუბნო სამსახურის მიერ გაცემული სა-რეკომენდაციო წერილების შესწავლის შედეგად. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის განყოფილების 29.09.146. დასკვნის, დასკვნაზე თანდართული მოქალაქეების ახსნა-განმარტებების შეფასება იძლევა 15.09.146. მოხსნებით ბარათში მოყვანილი გარემოებების სა-ფუძვლიანობის გარკვევის შესაძლებლობას. კასატორი აღნიშნავს, რომ დასკვნის წარდგენა მოხდა იმის დასადასტურებლად, რომ წარმოების სარკეზიანობის მიუხედავად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხზე იგივე გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული. 29.09.146. დასკვნის შედგენის პერიოდში მოქმედი ქ. თბილისის მერიის 27.03.126. №2 ბრძანებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის თანახმად, შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის ძირითად ამოცანას და ფუნქციას შეადგენდა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის, ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის შეფასება, სახსრების ხარჯვის, გამოყენების კანონიერების, მართვის და დაცვის კანონიერების შესწავლა და ანალიზი, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის კოხტროლი. დასკვნის, როგორც შემოწმების შედეგების შემცველი დოკუმენტის, შეფასება ხელს შეუწყობს საქმის გარემოებების სრულყოფილ, ობიექტურ გამოკვლევას. სააპელაციო სასამართლოს საქმის ფაქტობრივი გარემოების დადგენის შედეგად უნდა გაერკვია საქმეზე სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, აუდიტორულ დასკვნაში მითითებული ფაქტების სისწორე. აღნიშნულის ნაცვლად სასამართლომ სადაცო აქტის შემდეგ აუდიტორული დასკვნის შედგენა სადაცო აქტის ბათილად ცნობის და სარჩელის დაკმაყოფილების, სამსახურში აღდგენის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძვლად მიიჩნია.

რაც შეეხება მოქალაქეთა წერილობით ახსნა-განმარტებებს, მათში აღნიშნული ფაქტები ეხება სადაცო აქტების გამოცემამდე პერიოდს, იმ გარემოებებს, რომლებიც საფუძვლად დაედო სადაცო აქტების გამოცემას, რაც აგრეთვე საჭიროებდა სსკ-ის 105-ე მუხლის საფუძველზე ამ მტკიცებულებების შეფასებას სასამართლოს მიერ. ვ. გ-ას მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილების მიხედვით, მოკელევის ჩასატარებლად წერილის ავტორი იმყოფებოდა ე. კ-ის, ნ. კ-ის, ნ. ს-ის ოჯახში, წერილის თანახმად, მათი სოციალური მდგომარეობა მძიმეა, ისინი

საჭიროებენ ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, თითოეული ორი ათასი ლარის ოდენობით. საქმეში დაცული ე. კ-ის, ნ. კ-ის, ნ. ს-ის ახსნა-განმარტებების მიხედვით მოქალაქეები უარყოფენ მათი მდგომარეობის შემოწმებას და აღნიშნავენ, რომ მათი მდგომარეობის შესამოწმებლად გამგეობიდან არავინ ყოფილა მოსული, მათთვის უცნობი იყო ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ. გამგეობა შესაგებელში აღნიშნავდა, რომ სამსახურის უფროსი ლ. მ-ი პირადად შეხვდა მოხსენებით ბარათში აღნიშნულ პირებს და პირადად გაუცნო მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოს მოწმის სახით არ მოუწვევია მოხსენებითი ბარათის ავტორი, პალატას არ მიუცია შეფასება მოქალაქე-თა ახსნა-განმარტებებისათვის, არ მოუწვევია ისინი მოწმის სახით პროცესში. სააპელაციო სასამართლოს შეფასების მიღმა დარჩა მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები იმას-თან დაკავშირებით, რომ მოქალაქეთა განცხადებები დახმარების შესახებ საბურთალოს რაონის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში რეგისტრირებულია 30.12.135., 14:07 საათიდან 14:25 საათამდე, ხოლო გამგეობის №45 სხდომა, რომელზედაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოქალაქეებისათვის დახმარების გაწევის შესახებ, დაიწყო 11:00 საათზე. გაურკვეველია რის საფუძველზე მოხდა ვ. გ-ას მიერ მოქალაქეების საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა და სარეკომენდაციო წერილის შედგენა, სააპელაციო პალატას არ გამოურკვევია რატომ მოხდა საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა და სარეკომენდაციო წერილის შედგენა მოქალაქეთა განცხადების რეგისტრაციამდე, ამასთანავე, მოქალაქეები თავიაზო ახსნა-განმარტებებში საერთოდ უარყოფინ საუბრო სამსახურის თანამშრომელთა მიერ მათი საყოფაცხოვრებო პირობების გადამოწმების ფაქტს. საკასაციო პალატა თვლის, რომ დავის კანონიერი გადაწყვეტის მიზნით, გამოკვლეული უნდა იქნას ყველა გარემოება, შეფასება უნდა მიეცეს ყველა მტკიცებულებას. აქტის გამოცემამდე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვალდებულება არ უკრძალავს ადმინისტრაციულ ორგანოს მოიპოვოს და წარუდგინოს სასამართლოს მტკიცებულებები საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის გარეშე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა იწვევს სასამართლოს მიერ სადაც საკითხის გადაუწყვეტლად სასკ-ის 32-ე

მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას და საქმის გარემოებრის გამოკვლევის, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას. აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინებით უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი სადავო აქტი და გამგეობას დაევალა ვ. გ-ას სამსახურში აღდგენის შესახებ აქტის გამოცემა. სააპელაციო სასამართლომ იმ გარემოებების გამოკვლევის გარეშე, რომლებიც მოყვანილია მოხსენებით ბარათში და საფუძვლად დაედო სადავო აქტის გამოცემას, გამგეობას დაავალა ვ. გ-ას სამსახურში აღდგენა. სააპელაციო სასამართლოს მითითება იმაზე, რომ ორი ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია 15.09.146. №12/142581091-47 მოხსენებით ბარათში აღნიშნული ფაქტები, მოკლებულია რაიმე საფუძველს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქედზე ინსტანციის სასამართლოების მსჯელობის მიღმა დარჩა მოხსენებით ბარათში მითითებული გარემოებები, მოხსენებით ბარათში აღნიშნული პრეტენზიების მართებულობის გარკვევა არც ადმინისტრაციულ ორგანოს დავალებია სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, გამგეობას სასკ-ის 33-ე მუხლის საფუძველზე დაევალა მოსარჩელის სამსახურში აღდგენის შესახებ აქტის გამოცემა. სადავო აქტის ფორმალური ასპექტების გამო გაუქმება საჭიროებდა მის ბათილად ცნობას სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, ფორმალურ კანონიერების დარღვევის არარსებობა საჭიროებდა სადავო აქტის მატერიალური კანონიერების გარკვევას, საამისოდ დავის ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, მათ სამართლებრივ შეფასებას.

გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას არ ასაბუთებს სააპელაციო პალატის მითითება სზაკ-ის 53.5 მუხლზე, რომლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. რამდენადა საქმის გარემოებები გამოკვლეული არის მატერიალური კანონიერების საკითხი, რომლის შესახებ სააპელაციო პალატას არ უმსჯელია.

არ დასტურდება აგრეთვე სააპელაციო პალატის მოსაზრება სადავო აქტის დაუსაბუთებლობის შესახებ. უდავოა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრია მის მიერ გამოცემული აქტის

დასაბუთების ვალდებულება, რომელიც თვითკონტროლის ფუნქციას ასრულებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის, ხოლო აქტის ადრესატს აძლევს მისი კანონიერების შეფასების, აქტის გასაჩივრების შესაძლებლობას. აქტში მოყვანილი დასაბუთება აძლევს მას შესაძლებლობას გაიგოს რა ფაქტებზე და სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციულმა ორგანომ, აღნიშნული თავის მხრივ აძლევს პირს შესაძლებლობას დაუპირისპიროს აქტში მოყვანილ არგუმენტებს თავისი მოსაზრებები. ზემოაღნიშნულთან ერთად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას სადავო აქტის დაუსაბუთებლობის შესახებ, სადავო აქტის ტექსტის შესაბამისად აქტი გამოცემულია საბურთალოს რაიონის გამგეობის ტერიტორიული ერთეულის – ვეძისი – ყაზბეგი – გოთუა – საბურთალოს ქუჩის უბნის სამსახურის უფროსის ლ. მ-ის 15.09.14ნ. №12/142581091-47 მოხსენებითი ბარათის და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 99.3 მუხლის საფუძველზე. სადავო აქტში აღნიშნული მითითება იძლეოდა აქტის გამოცემის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების გარკვევის და მაშასადამე მისი გასაჩივრების შესაძლებლობას, აღნიშნული თავის მხრივ ვალდებულს ხდიდა სასამართლოს ემსჯელა სამსახურის უფროსის მოხსენებით ბარათში მოყვანილ გარემოებებზე, გაერკვია მათი საფუძვლიანობა. მოხსენებით ბარათში აღნიშნულია მნიშვნელოვანი ხასიათის დარღვევები, რომელთა დადასტურების შემთხვევაში არსებობდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 99-ე მუხლის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. ამდენად, დავის გადაწყვეტა საჭიროებდა მოხსენებით ბარათში მითითებული გარემოებების გარკვევას, რასაც ადგილი არ ჰქონია, არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია მოხსენებით ბარათში აღნიშნულ გარემოებაზე, არ დაუდგენია ამ მიმართებით რაიმე ფაქტობრივი გარემოებები.

საკასაციო პალატამ სადავო აქტი ბათოლად ცნო ვ. გ-ას სამსახურებრივი უფლებამოსილების გარკვევის გარეშე. გასაჩივრებულ განჩინებას არ ასაბუთებს სააპელაციო პალატის მითითება იმაზე, რომ ვ. გ-ა არ არის გამგეობის წევრი, გადაწყვეტილებას იღებს არა საბურთალოს რაიონის ტერიტორიული ერთეულის საუბნო სამსახურის მთავარი სპეციალისტი ვ. გ-ა, არამედ ადმინისტრაციული ორგანო – გამგეობა, საკითხის კოლეგიური წესით და ზეპირი მოსმენის გზით განხილვის შედეგად. ქ. თბილისის მერიის 28.02.13ნ. №11 ბრძანებით დამტკიცებული „ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის დებულების“

თანახმად სოციალურ სფეროში გამგეობის კომპეტენციას გა-  
 ნეკუთვნება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის მონი-  
 ტორინგი, ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება, და-  
 მუშავება და ანალიზი (მე-10 მუხ. „ა“ ქვეპუნქტი), აპარატის ძი-  
 რითადი ამოცანაა გამგეობის საქმიანობის საინფორმაციო, ტექ-  
 ნიკური, იურიდიული და ორგანიზაციული უზრუნველყოფა (მე-  
 17 მუხ.), გამგეობისათვის წინადადებების მომზადება (მე-18  
 მუხ.), სამსახური ახორციელებს საბურთალოს რაიონის ტერი-  
 ტორიულ ერთეულში – ვეძისი – ყაზბეგი – გოთუა – საბურთა-  
 ლოს ქუჩის უბანში გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთო-  
 ბის უზრუნველყოფას (51-ე მუხ.), საჭიროების შემთხვევაში გამ-  
 გეობის სხდომისათვის წინადადებების მომზადებას. ქ. თბილი-  
 სის საბურთალოს რაიონის გამგეობის დებულების 8.1 მუხლის  
 „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად გამგეობის უფლებამოსილებებს გა-  
 ნეკუთვნება სოციალური მომსახურების ორგანიზება. „საბურ-  
 თალოს რაიონის ტერიტორიული ერთეულის – ვეძისი – ყაზბეგი  
 – გოთუა – საბურთალოს ქუჩის სამსახურის (განყოფილების)  
 თანამშრომელთა შორის ფუნქციების განაწილების შესახებ“ ვა-  
 კე-საბურთალოს რაიონული გამგეობის 01.03.136. №52 განკარ-  
 გულებით ... ვ. გ-ას ევალებოდა სამსახურში შემოსული სხვა-  
 დასხვა სოციალური დახმარების შესახებ მოქალაქეთა განცხა-  
 დებების შესწავლა, დოკუმენტაციის შემოწმება და პასუხის  
 მომზადება, უბნის ტერიტორიაზე გამგეობის და გამგებლის მი-  
 ერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის  
 შესახებ კონტროლი, სხვადასხვა სახის რეკომენდაციების შე-  
 მუშავება და დარგის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით გამ-  
 გებლისათვის წარდგენა, საჭიროების შემთხვევაში მომზადება  
 წინადადებების გამგეობის სხდომაზე განსახილველად. ამდე-  
 ნად, უფროს სპეციალისტს ვ. გ-ას ევალებოდა საკითხის შეს-  
 წავლის შედეგად ობიექტური, ევალიფიციური დასკვნების (რე-  
 კომენდაციების) მომზადება, სწორედ აპარატის მუშავების მი-  
 ერ მომზადებულ მასალებს ერყარება კოლეგიური ორგანოს –  
 გამგეობის გადაწყვეტილება. საკასაციო პალატა აღნიშნავს,  
 რომ კოლეგიური ორგანო თანხის გადარიცხვაზე გადაწყვეტი-  
 ლებას იღებს მოკვლეული მასალებისა და შემსრულებლის მი-  
 ერ წარდგენილი სარეკომენდაციო წერილის საფუძველზე, ხო-  
 ლო საჯარო მოხელე ვალდებულია იმოქმედოს ობიექტურად და  
 კომპეტენტურად, აღნიშნული არის მისი არა უფლება, არამედ  
 ვალდებულება. ამდენად, ის გარემოება, რომ ქ. თბილისა მე-  
 რიის საბურთალოს რაიონის გამგეობის 30.12.136. №45.3.757  
 დადგენილების მიღებაში უშუალოდ არ იღებდა მონაწილებას

ვ. გ-ა არ ადასტურებს გამგებლის 15.09.14წ. №63 პრძანების უკანონობას.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 93-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პირი შეიძლება განთავისუფლდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშეც სამსახურებრივი მოვალეობების უხეშად დარღვევის შემთხვევაში. 15.09.14წ. მოხსენებით ბარათში აღნიშნულია მძიმე ხასიათის დარღვევები, მათი დადასტურების შემთხვევაში 99.3 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არ არის გამორიცხული. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს იმ გარემოებაზე მითითება, რომ სადავო აქტის გამოცემამდე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა ვ. გ-ას მიმართ გამოყენებული არ ყოფილა, არ ადასტურებს სადავო აქტის უკანონობას, გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის არაადექვატურობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, სახეზეა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა ანუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ამდენად, სახეზეა სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივრი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-

ტრაციულ საქმეთა პალატის 21.09.2015წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა- ჩივრდება.

## სამსახურიდან გათავისუფლება სამსახურებივი მოვალეობის დარღვევის გამო

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-184-183(კ-16)

14 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სხირტლაძე,  
3. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ- თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძუ- ლებითი განაცდეურის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 6 ოქტომბერს შ. ე-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი სხვადასხვა დროს სხვადას- ხვა თანამდებობაზე მუშაობდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბურთალოს რაიონის გამგეობაში. 2014 წლის 15 სექ- ტემბრის №62 ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამ- დებობიდან (საბურთალოს რაიონის გამგეობის ... განყოფილე- ბის წამყვანი სეკციალისტი). გათავისუფლების საფუძვლად მი- თითებული იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბურ- თალოს რაიონის გამგებლის მოადგილის – ლ. კ-ას 2014 წლის 11 სექტემბრის №10-47/14254159 მოხსენებითი ბარათი და „საჯა- რო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99.3 მუხლი.

მოსარჩელის განმარტებით, ზემოაღნიშნული მოხსენებითი ბარათის თანახმად, სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი

იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილის – ლ. კ-ას მიერ შემთხვევითობის შერჩევის პრინციპით მის მიერ შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტების გადამოწმებისას აღმოჩენილი ხარვეზი, კერძოდ, ხმირად მასზე დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება. ამასთან, ხარვეზიანი მუშაობა წარმოებდა სხვადასხვა პერიოდში და მას ერთჯერადი ხასიათი არ ჰქონია. მოსარჩელის მითითებით, აღნიშნული არის მხოლოდ საბაბი, ვინაიდან, როდესაც შესთავაზეს დაეწერა განცხადება და წასულიყო სამსახურიდან, მან განაცხადა უარი და მხოლოდ ამის შემდეგ მომზადდა ბრძანება მისი გათავისუფლების შესახებ, რითაც საჯარო მოხელის უფლებები უხეშად არის დარღვეული.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით აღიარებულია მოქალაქის უმნიშვნელოვანესი სოციალური უფლება – შრომის უფლება, რაც გულისხმობს დასაქმებულ პირთა დასაცავად გარკვეული სამართლებრივი მექანიზმების არსებობას, შრომის კოდექსსა თუ შრომის ურთიერთობის მომწერიგებელ აქტებში დასაქმებულთა უფლების დაცვის მარეგულირებელი საერთაშორისო ნორმების ასახვას. ეპროპის სოციალური ქარტიის 4.4 მუხლის შესაბამისად, შრომის სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლების განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ აღიარონ თითოეული მუშაკის მიერ დასაქმების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წინასწარი მიღების უფლება. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის თანახმად, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილით კი, ამ პაქტით მონაწილე სახელმწიფოთა ღონისძიებანი, ამ უფლების სრულად განხორციელების მიზნით შეიცავენ პროფესიულ-ტექნიკური სწავლებისა და მომზადების პროგრამებს, განუხრელი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისა და სრული სანარმოო დასაქმების გზებსა და მეთოდებს ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ძირითად პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებებს. ადამიანის სოციალურ უფლებებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან დანაწესს ადგენს 10.12.1948 ნლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლი, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოებრივ წევრს აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონა-

ლური მეცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარებისთვის. საგულისხმოა, რომ ევროპის სოციალური ქართია 24-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით ავალდებულებს მხარებს, ალიარონ ყველა მუშაკის უფლება, უარი თქვას დასაქმების შეწყვეტაზე საპატიო მიზეზის გარეშე, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს მისი პროფესიული შესაძლებლობებიდან და/ან მოქცევიდან, ასევე დაწესებულების შინაგანაწესიდან.

მოსარჩელის მითითებით, მოცემული დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია იმ საკითხის შეფასება, მართლაც ჰქონდა თუ არა ადგილი მისი მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის ისეთ უხეშ დარღვევას, რაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99.3 მუხლის შესაბამისად, მოხელის სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარემე გათავისუფლების შესაძლებლობას ითვალისწინებს. ამავე კანონის 78.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება; 79.1 მუხლის მიხედვით, კი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებია: შენიშვნა, გაფრთხილება, არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება; სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისგან ჩამომორება ხელფასის გაცემის შეჩერებით არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა; უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა არა უმეტეს ერთი წლისა; სამსახურიდან გათავისუფლება ამ კანონის საფუძველზე. ამავე კანონის 99.2 მუხლის თანახმად, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა; ხოლო 99.3 მუხლის შესაბამისად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშეც, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომელიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური

კანონიერების განსაზღვრის პროცესში აუცილებელია ყურადღება მიექცეს მის დასაბუთებას, უფრო მეტიც, აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათისაა.

მოსარჩელის მითითებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გაათავისუფლა იგი სამსახურიდან, რომ არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები და ცალმხრივი წების გამოვლენით, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა. ამასთან, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე, რაც კანონსაწინააღმდეგოა, ვინაიდან, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემული წერილობით, აუცილებლად უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წარმოების მინამდევრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოპასუხე მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, ვალდებული იყო გასაჩივრებული აქტის დასაბუთებაში მიეთითებანა იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას. ამასთან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლის დანაწესი მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეცია არ ნიშნავს თანაზომიერებისა და კანონიერების პრინციპის უფლებელყოფას. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქტს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობიდან გამომდინარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 7.2 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

მოსარჩელის მოსაზრებით, მისი სამუშაოდან დათხოვნის გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული წარმოების დროს სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში უნდა შეფასებულიყო მისი მოქმედება, უნდა დადგენილიყო ის ზიანი, რაც მისი მოქმედებით მიადგა ან შესაძლოა მისდგომოდა ადმინისტრაციულ ორგანოს, მისი სუბიექტური დამოკიდებულება ზიანისადმი და ბრალეულობის ხარისხი, მიზეზშედეგობრივი კავშირი მის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ქ. თბილის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგებლის 2014

წლის 15 სექტემბრის №62 ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით შ. ე-ის სარჩელი დაკამაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის თანახმად, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის 2014 წლის 15 სექტემბრის №62 ბრძანება შ. ე-ის გათავისუფლებაზე და მოპასუხეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევლა, ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის განმავლობაში.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შ. ე-ე 2013 წლის 2 აპრილიდან მუშაობდა ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობაში ... განყოფილების წამყვან სპეციალისტად. 2014 წლის 11 სექტემბრის საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილის ლ. კ-ას №10-47/14254159 მოხსენებით ბარათის თანახმად, მის მიერ შემთხვევითობის შერჩევის პრინციპით ... განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოების დოკუმენტაციის გადამოწმებისას აღმოჩნდა შ. ე-ის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების ფაქტი.

2014 წლის 11 სექტემბრის წამყვანი სპეციალისტის შ. ე-ის მოხსენებითი ბარათის თანახმად, აღნიშნული ხარვეზიანი დოკუმენტაციის არსებობის მიზეზი იყო კომპიუტერში ქსელის გათიშვა, რის შედეგადაც ვერ მოხდა აღნიშნული ინფორმაციის სერვერზე გადამოწმება.

ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგებლის 2014 წლის 15 სექტემბრის №62 ბრძანებით შ. ე-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ბრძანების საფუძვლად შეითითა საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილის – ლ. კ-ას 2014 წლის 11 სექტემბრის №10-47/14254159 მოხსენებითი ბარათი.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99.3 მუხლის სწორად შეფარდებისა და მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევის დაკვალიფიცირებისათვის გადამწყვეტია მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევის (ბრალეული ქმედება) დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება, რაც მოპასუხე მხარის მიერ არ იქნა წარმოდგენილი და ვერ იქნა

განმარტებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99.3 მუხლით გათვალისწინებული რა მოთხოვნები იქნადარღვეული და რაში გამოიხატა აღნიშნული ქმედება.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 48-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღმასრულებელი ორგანო და უმაღლესი თანამდებობის პირი არის გამგებელი თვითმმართველ თემში და მერი თვითმმართველ ქალაქში. გამგებელი/მერი ნარმოადგენს მუნიციპალიტეტს და უზრუნველყოფს უფლებამოსილებების განხორციელებას ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების შესაბამისად. ამავე კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გამგებელი/მერი – თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოისცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თანამდებობის პირების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია გამგებლის/მერის ბრძანება. 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, რაიონის გამგებელი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რაიონის გამგეობის თანამდებობის პირებსა და რაიონის გამგეობის სხვა მოსამსახურეებს.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საბურთალოს რაიონის გამგებლის 2014 წლის 15 სექტემბრის №62 ბრძანებით შეე-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ბრძანების საფუძვლად მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტი და საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილის – ლ. კ-ს 2014 წლის 11 სექტემბრის მოხსენებითი ბარათი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრულია საჯარო მოხელის ძირითად პრინციპები, ერთ-ერთ ძირითად პრინციპს ნარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების უზენაესობის დაცვა მოსამსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას. საქართველოს საჯარო სამსახურებში დაწესებულების ხელმძღვანელსა და საჯარო მოსამსახურეს შორის ურთიერთობა-თა ფორმები მკაცრად რეგლამენტირებულ საკანონმდებლო ჩარჩოში უნდა მოექცეს, კეთილსინდისიერი ადმინისტრირების სტანდარტიდან გამომდინარეობდეს და შეესაბამებოდეს მას. საჯარო სამსახურის ხელმძღვანელის მიერ საჯარო მოსამსა-

ხურის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები, არა მხოლოდ ად-მინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე უნდა გამოიცეს, არამედ ეფუძნებოდეს საერთაშორისო სტან-დარტს და უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს სხვა საკა-ნონმდებლო აქტებით განსაზღვრულ სამართლებრივ ინსტიტუ-ტებს და სტანდარტებს.

სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმი-ნისტრაციული კოდექსის შესაბამისად განსაზღვრულ ინდივი-დუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის კა-ნონიერება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა აქტის ადრესატის-თვის, რამდენადაც მძიმე სამართლებრივ შედეგებს იწვევს მის-თვის, შესაბამისად, მისი მომზადება, მიღება და გამოცემა უნ-და პასუხობდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კო-დექსით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ადმინისტრაციული წარ-მოების სრულყოფილი ჩატარება ანუ მხოლოდ სათანადო პრო-ცედურის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება დიდწილად განაპირობებს მის კანონიერებას, დასაბუთებულობასა და მი-ზანშეწონილობას.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ინდივიდუალური ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წანამდღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოი-ცა იგი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქ-მედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებ-ზე, რომლებიც საფუძვლად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწ-ყვეტილებას, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.4 მუხლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმი-ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებ-და დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53.5 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლება-მოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარე-მოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრა-ციული წარმოების დროს.

სასამართლოს შეფასებით, ადმინისტრაციულ ორგანოს ყვე-

ლა შემთხვევაში უნდა ჩაეტარებინა ადმინისტრაციული წარმოება, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ ადგენს რაიმე საგამონაკლისო შემთხვევათა ნუსხას, რომელთა თაობაზე გამოსაცემი აქტი შესაძლოა მიღებულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით უნდა პასუხობდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, კერძოდ, 51-52-ე მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო მისი გამოცემა უნდა მოხდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ძირითად პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ეს უმნიშვნელოვანესი იმპერატიული ხასიათის დანაწესი ემსახურება საჯარო მმართველობის კანონიერების პრინციპს, რამდენადაც ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს განსახილველი საკითხის გარემოებისა და ფაქტების ობიექტურ შესწავლა-გამოკვლევას, რომლის შეფასებიდან უნდა გამომდინარეობდეს საკითხის გადასაწყვეტად ჩამოყალიბებული დასკვნა.

ამ ვალდებულების შესრულება ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს ასევე უმნიშვნელოვანეს – მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას. ადმინისტრაციულმა

ორგანომ უნდა ახსნას, განმარტოს, დაასაბუთოს, თუ რატომ რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება, გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს შეფასებით სადაცო ბრძანება გამოიცა საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკლევისა და შეფასების გარეშე, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის განხილვასთან დაკავშირებით ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება, გამოიკვლია რაში გამოიხატა მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევა, რა მოთხოვნები იქნა დარღვეული, რაში გამოიხატა მისი ბრალეული ქმედება და ამ ქმედებით რა ზიანი მიადგა ადმინისტრაციულ ორგანოს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის. 2. სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა. 3. მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშეც, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ არის დასაბუთებული გამოყენებული პასუხისმგებლობის ზომა – სამსახურიდან გათავისუფლება, საჯარო სამსახურის დასახული კანონიერი მიზნის რამდენად თანაზომიერი და ქმედების პროპორციული იყო.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე; იმავე მუხლის მე-2 ნაწილით, დაუშვებელია ადმინისტრა-

ციული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შედეგად პირის კანონით დაცულ უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად არ უნდა აღემატებოდეს იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. აქტის დასაბუთების ვალდებულება განპირობებულია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების მიზნით. დასაბუთებაში უნდა აღნიშნულიყო შეხედულებები, მოსაზრებები და გარემოებები, რომლებსაც ადმინისტრაციული ორგანო დაეყრდნო გადაწყვეტილების მიღებისას, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასაბუთების, როგორც თვითნებობისაგან დაცვის ვალდებულების, იგნორირება ნარმოდგენს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში შეცდომის დადგენისა და აქტის გაუქმების საფუძველს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, წერილობით მტკიცებულებას წარმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმიანობის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. რაც მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან არ იქნა წარმოდგენილი.

სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმიანობის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადაცვო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

რაც შეხება სამსახურში აღდგენასა და იძულებით განაცდურის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნებს, საქა-

ლაქო სასამართლოს მითითებით, ეს უკანასკნელები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან, მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.

ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სასამართლომ სადაც ბრძანება ბათილად ცნო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თავად სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს გადაწყვეტილება მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენისა და ამ აღდგენის თანმდევი იძულებით განაცდურის ანაზღაურების თაობაზე; მოპასუხე ვალდებულია, რომ გამოიკვლიოს და შეაფასოს მოსარჩელის საქმესთან დაკავშირებული გარემოებები ისე, როგორც ეს მითითებულია გადაწყვეტილებაში და გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელის სამსახურში აღდგენის/განაცდურის ანაზღაურების ან აღდგენაზე/განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. ე-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბურთალოს რაიონის გამგეობაშ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შ. ე-ის სააპელაციო საჩივრი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შ. ე-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის 2014 წლის 15 სექტემბრის №62 ბრძანება შ. ე-ის გათავისუფლების შესახებ; თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობას დაე-

ვალა შ. ე-ის აღდგენა საბურთალოს რაიონის გამგეობის ... განყოფილების წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე; თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობას დაევალა შ. ე-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2014 წლის 15 სექტემბრიდან სამსახურში აღდგენამდე, სრული მოცულობით; თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივარი არ დაემაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის შესაბამისად, იმ თანამდებობის პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც აქცს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დისციპლინური გადაცდომისათვის მის მიმართ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები: а) შენიშვნა; ბ) გაფრთხილება; გ) არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება; დ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით – არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა; ე) უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა – არა უმეტეს ერთი წლისა; ვ) სამსახურიდან გათავისუფლება ამ კანონის საფუძველზე.

სასამართლოს მითითებით, სადაც არ არის ის გარემოება, რომ შ. ე-ის მხრიდან წარსულში რაიმე გადაცდომას და შესაბამისად, მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენებას ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება სამსახურის ხელმძღვანელის დისკრეციაზე და მიუთითა, რომ გადაწყვეტილება არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ მოსაზრებას, რომ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციის ფარგლებში, სასამართლოს მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს სწორედ იმ საკითხის განსაზღვრა, მოხდა თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ამ უფლების კანონიერების ფარგლებში გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში აქტის კანონიერებაზე სასამართლო კონტროლს ეძლევა ფორმალური ხასიათი, რაც გამორიცხავს თანაზომიერი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. სასამართლოს მოსაზრებით, ნებისმიერ შემთხვევაში დისკრეცია ადმინისტრაციულ ორგანოს არ აძლევს უფლებას, მოხელე გაათავისუფლოს თანამდებობიდან ადმინისტრაციული წარმოების პროცედურული წესების უარყოფით და საქმის გარემოებათა არასწორი შეფასების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალურ

ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით სა-სამართლოს შეუძლია იქონიოს მსჯელობა სადაც აქტის კანონ-მდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხზე ანუ მის კანონიერებაზე, დავის გადაწყვეტისას სასამართლო ხელ-მძღვანელობს კანონმდებლობის მოთხოვნებით და არა მიზან-შეწონილობის მოსაზრებებით, უკანასკნელს არა აქტს პრიორი-ტეტული მნიშვნელობა კანონმდებლობის ნორმატიული მოთ-ხოვნების დაცვასთან. სასამართლო ვერ იქონიებს მსჯელობას სადაც გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის ასპექტებზე, აქ-ტის მიზანშეწონილობის გადამოწმება სცილდება სასამართლო კონტროლის ფარგლებს, რაც ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპით არის განპირობებული, სასამარ-თლო ვერ იქცევა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოდ და თა-ვად ვერ განახორციელებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, ვერ შეცვლის ადმინისტრაციულ მიხედულებას სასამართლოს მიხედულებით.

ზემოაღნიშნულთან ერთად, სასამართლო იცავს რა ადმინის-ტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, იმავდროულად, თვითნებობის ფაქტების აცილების მიზნით, აქვს შესაძლებლო-ბა მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვი-ნაიდან არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლება-მოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო გან-საზღვრულობა, უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, მიზნის ლეგიტიმურობას, იმ ფაქტობრივი გარემოებების დად-გენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტი-ლებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას. ხსენებული კრიტერიუმების სინთეზი შე-საძლებლობას აძლევს სასამართლოს ადმინისტრაციული ორ-განოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გა-მოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრი-ვი აქტის კანონიერების შეფასებისას გარკვეულწილად გაით-ვალისწინოს მიზანშეწონილობის, რაციონალობის ასპექტები. მოქმედი კანონმდებლობა ანიჭებს ადმინისტრაციას უფლება-მოსილებით გაათავისუფლოს სამსახურიდან მოხელე შემცირე-ბასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამო-სილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემო-ებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე,

რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. როგორც ზემოაღნიშნული მუხლის შინაარსი ცხადყოფს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების განსაზღვრის პროცესში აუცილებელია ყურადღება მიექცეს მის დასაბუთებას, უფრო მეტიც, მითითებული წორმა ატარებს იმპერატიულ ხასიათს და დაუშვებლად მიიჩნევს აქტის მიღებას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტებისა და მტკიცებულებების შესწავლის გარეშე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, შ. ე-ის სამსახურიდან გათავისუფლებას საფუძვლად დაედო 2014 წლის 11 სექტემბრის საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილის – ლ. კ-ას № 10-47/14254159 მოხსენებითი ბარათი, რომლის თანახმად, მის მიერ შემთხვევითობის შერჩევის პრინციპით ... განცოფილების მიერ შესრულებული სამუშაოების დოკუმენტაციის გადამოწმებისას აღმოჩნდა შ. ე-ის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების ფაქტი.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ასევე 2014 წლის 11 სექტემბრის წამყვანი სპეციალისტის – შ. ე-ის მოხსენებით ბარათზე, სადაც განმარტებულია, რომ აღნიშნული ხარვეზიანი დოკუმენტაციის არსებობის მიზეზი კომპიუტერში ქსელის გათიშვა იყო, რის შედეგადაც ვერ მოხდა აღნიშნული ინფორმაციის სერვერზე გადამოწმება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ენინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩიტრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც დაკმაყოფილდა კონსტიტუციური სარჩელი №630 და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის მე-2 წინადაღება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით. იმ პირობებში, როდესაც ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის გამგებლის 2014 წლის 15 სექტემბრის №62 ბრძანება, შ. ე-ის გათავისუფლების შესახებ შესაბამისად, დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა იძულებით გაცდენილი პერიოდის მისი თანამდებობიდან გადაყენების დღიდან – 2014 წლის 15 სექტემბრიდან სამსახურში აღდგენამდე (სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძლაში შესვლასა და მის აღსრულებამდე) სრული მოცულობით ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩიროა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, გამგეობის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნის შემდგომ საქმეთა გადაბარების და შესწავლის პროცესში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ხარვეზების მქონე დოკუმენტაცია, რომელიც ქ. თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 დეკემბრის №14-78 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესის“ დარღვევით მიღებულ იქნა საქმისწარმოებისათვის, რის შემდეგაც დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება და საქმეთა კონკრეტული შესწავლა, გამოვლინდა დიდი რაოდენობით დარღვევის ფაქტები, რასაც ადასტურებს ... განყოფილების უფროსის მოხსენებითი ბარათი და მასზე თანდართული კონკრეტული საქმეები. მასზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ... განყოფილების წამყვან სპეციალისტს – შ. ე-ეს, რადგან საბურთალოს რაიონის გამგებლის 2013 წლის 2 აპრილის განკარგულებით დამტკიცებული „საბურთალოს რაიონის გამგეობის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების განყოფილების თანამშრომელთა შორის ფუნქციების განაწილების შესახებ“ №99 განკარგულების შესაბამისად, ... განყოფილების წამყვანი სპეციალისტის – შ. ე-ის თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბა-

მისად, მოსარჩელის უშუალო მოვალეობებში შედიოდა პინათ-მესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარებებისათვის კონ-სულტაციის განევა, შემოსული განცხადებების მიღება და მა-თი პირველადი შემოწმება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დოკუმენტაციის შემოწმება და მომზადება, მოთხოვნილი დო-კუმენტაციის დამუშავება და გაცემაზე უზრუნველყოფა და ა.შ. რაც განსაზღვრულია ქ. თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 დეკემბრის №14-78 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბინათ-მესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგ-რამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესით“. რასაც თავად მოსარჩელეც ადასტურებს ადმინისტრა-ციული წარმოების ეტაპზე მიცემულ თავის ახსნა-განმარტება-შიც.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილე-ბა იურიდიულად არ არის დასაბუთებული და რიგ შემთხვევაში იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძ-ვლების შემოწმება შეუძლებელია. გადაწყვეტილების სამარ-თლებრივ დასაბუთებაში სასამართლო ვრცლად განმარტავს როგორც დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების ფარ-გლებს, ისე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კა-ნონის და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გარკვეულ მუხ-ლებს, თუმცა აღნიშნული განმარტებები ზოგადი ხასიათისაა და კონკრეტულად რა კავშირშია მოცემულ საქმესთან არ ირ-კვევა. მართალია, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებ-ზე, ფაქტებზე და მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომ-ლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაცი-ული წარმოების დროს, თუმცა კანონის ეს პუნქტი მოცემულ საქმეზე არ შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო და ამას ადას-ტურებს საქმეში წარმოდგენილი მთელი რიგი მტკიცებულებე-ბი, რომლებსაც სააპელაციო სასამართლო ყურადღების გარე-შე ტოვებს და არანაირ განმარტებებს არ აკეთებს საქმეში წარ-მოდგენილ იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გარემოებების ყო-ველმხრივი გამოკვლევისა და ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილად ჩატარების ფაქტს.

კასატორის მითითებით, გაუგებარია თუ რატომ მიიჩნია საა-პელაციო სასამართლომ, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილე-ბა დაფუძნებული იყო მხოლოდ იმ მოსაზრებაზე, რომ ადმინის-ტრაციულ იურიდიულ მოსაზრებაზე აქვს დისკრეციული უფლებამოსილების

განხორციელების უფლება, მაშინ როდესაც სასამართლოში წარდგენილ იქნა მთელი რიგი წერილობითი მტკიცებულებებისა, რომლებიც ადასტურებენ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოხდა საქმის ყოველმხრივი შესწავლა და გადაწყვეტილება გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიღეს, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, ვინაიდან, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება მაშინ აქვს, როდესაც სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობასა და ფაქტის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, მას რჩება შესაძლებლობა, აირჩიოს მისაღები ღონისძიება. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო აღჭურვილია უფლებამოსილებით, თვითონ განსაზღვროს სამართლებრივი შედეგი. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას ადგენს კანონმდებელი და ამით ის ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი პასუხისმგებლობით გაითვალისწინოს კანონის ნორმის მიზანი და კონკრეტული გარემოებები. როდესაც დადგენილ იქნა დისკიპლინური გადაცდომის ფაქტი (რასაც ადასტურებს ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, როგორც თავად მოსარჩელის მიერ მიცემული ახსნა-განმარტება, ასევე მისი უშუალო უფროსისა და გამგებლის მოადგილის მოხსენებითი ბარათები), ანუ კანონსაწინააღმდეგო ქმედება, ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობისა და ფაქტის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში ჰქონდა შესაძლებლობა აერჩია მისაღები ღონისძიება.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას ასევე იგნორირება გაუკეთა საქმეში არსებულ მთელ რიგ მტკიცებულებებს და მიუთითა, რომ შ. ე-ის სამსახურიდან გათავისუფლებას საფუძვლად დაედო ქ. თბილის საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილის ლ. კ-ას მოხსენებითი ბარათი და საერთოდ არაფერს ამბობს სასამართლოში წერილობითი სახით წარდგენილ მთელ რიგ მტკიცებულებაზე, რომელიც შესწავლილ იქნა ადმინისტრაციული წარმოების დროს და რაც თავისთავად ამ მოხსენებითი ბარათის საფუძველი იყო, კერძოდ, შ. ე-ის უშუალო უფროსის – ნ. ა-ის მოხსენებით ბარათზე. ასევე სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შ. ე-ის მოხსენებითი ბარათის მხოლოდ იმ ნაწილზე, სადაც მის მიერ განმარტებულია, რომ ხარვეზიანი დოკუმენტის არსებობის მიზეზი იყო კომპიუტერული ქსელის გათიშვა, რის შედეგადაც ვერ მოხდა აღნიშნული ინფორმაციის სერვერზე გადამოწმება და სააპელა-

ციონ სასამართლო იგნორირებას უკეთებს მოხსენებითი ბარათის იმ ნაწილს, სადაც შ. ე-ე თავადვე ადასტურებს მისი მხრიდან სამსახურებრივ მოვალეობათა არაერთგზის დარღვევის ფაქტს. ამასთან, შ. ე-ის უშუალო სამსახურებრივ მოვალეობაში შედიოდა მიღებული დოკუმენტაციის შემომზება, აღნიშნული დოკუმენტაცია კი გამგეობაში შედის მატერიალური სახით ანუ ფურცლად და არა ელექტრონული ფორმით და შესაბამისად, სერვერის მუშაობა ან არ მუშაობა ვერანაირად ვერ შექმნიდა დაბრკოლებას დოკუმენტაციის მიღებისას.

სააპელაციო სასამართლო აბსოულტურად უგულებელყოფს საჯარო სამსახურის ისეთ მნიშვნელოვან პრიციპებს, როგორიცაა საჯარო მოხელის კეთილსინდისიერება და ენინააღმდეგება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ მუხლებს, რომელიც არეგულირებენ საჯარო მოხელის ვალდებულებებს.

კასატორის განმარტებით, ასევე არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლთან მიმართებაში. საკონსტიტუციო სასამართლოს დასაბუთებიდან იყვეთება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს ინდივიდუალურად მიყენებული ზიანის გახსაზღვრა, რაც ყოველ კონკრეტულ მოხელესთან შესაძლებელია განსხვავებული იყოს. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, როდესაც დააკმაყოფილა სარჩელი იძულებით გაცდენილი პერიოდის სრული მოცულობით ანაზღაურების თაობაზე, ისე რომ საერთოდ არ უმსჯელია რა კონკრეტული ოდენობის ზიანი მიადგა მოსარჩელეს.

ამასთან, კასატორის მითითებით, განხორციელდა ქ. თბილის მუნიციპალიტეტის მერიის რაიონული გამგეობების რეორგანიზაცია, რის შედეგადაც თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბურთალოს რაიონის გამგეობამ განიცადა სტრუქტურული ცვლილებები, გაუქმდა და შეიცვალა უმრავლესობა სტრუქტურული ერთეულებისა, მათ შორის, გაუქმდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების განყოფილება და ქ. თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ იქნა განახლებული სამტატო ნუსხა. რეორგანიზაციის შედეგად გამგეობაში არსებული ვაკანტური თანამდებობები შეივსო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საკონკურსო წესით. შესაბამისად, სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებამ შეიძლება გამოიწვიოს, ერთი მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივ ჩიხში მოქცევა და მეორე მხრივ, კეთილსინდისიერი საჯარო მოხელეების, რომ-

ლებიც ამ ეტაპზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით საკონკურსო წესით უვადოდ არიან დანიშნული თანამდებობაზე, კანონიერი უფლებების შეღახვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისს განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შ. ე-ის სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემონტებზე: შ. ე-ე 2013 წლის 2 აპრილიდან მუშაობდა ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობაში ... განყოფილების წამყვან სპეციალისტად.

2014 წლის 11 სექტემბრის საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილის – ლ. კ-ას №10-47/14254159 მოხსენებითი ბარათის თანახმად, მის მიერ შემთხვევითობის შერჩევის პრინციპით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოების დოკუმენტაციის გადამოწმებისას აღმოჩნდა შ. ე-ის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების ფაქტი.

2014 წლის 11 სექტემბრის წამყვანი სპეციალისტის შ. ე-ის მოხსენებითი ბარათის თანახმად, აღნიშნული ხარვეზიანი დოკუმენტაციის არსებობის მიზეზი იყო კომპიუტერში ქსელის გათიშვა, რის შედეგადაც ვერ მოხდა ინფორმაციის სერვერზე გა-

დამოწმება.

ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგებლის 2014 წლის 15 სექტემბრის №62 ბრძანებით შ. ე-ე განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების უხეშად დარღვევის გამო, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილის ლ. კ-ას 2014 წლის 11 სექტემბრის №10-47/14254159 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე:

განსახილველი დავის საგანს შ. ე-ის განთავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგებლის 2014 წლის 15 სექტემბრის №62 ბრძანების კანონიერების დადგენა, სამსახურში აღდგენა და მთელი გაცდენილი პერიოდისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით შ. ე-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივი; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის თანახმად, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბურთალოს რაიონის გამგების 2014 წლის 15 სექტემბრის №62 ბრძანება შ. ე-ის გათავისუფლებაზე დამოკასუებს დაევალა საქმისთვის არსებით მნიშვნელობის გარემობის გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვეის განმავლობაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შ. ე-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შ. ე-ის სარჩევი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის 2014 წლის 15 სექტემბრის №62 ბრძანება შ. ე-ის გათავისუფლების შესახებ; თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობას დაევალა შ. ე-ის აღდგენა საბურთალოს რაიონის გამგეობის ... განყოფილების წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე; თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობას დაე-

ვალა შ. ე-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2014 წლის 15 სექტემბრიდან სამსახურში აღდგენამდე, სრული მოცულობით; თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში შეფასების საგნად უნდა იქცეს შ. ე-ის მიმართ გამოყენებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობიდან დათხოვნის შესაბამისობა პროპორციულობისა და თანაზომიერების პრინციპთან.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საჯარო სამსახურში საქმიანობა საჯარო სამსახურის სპეციულიკიდან გამომდინარე ეს არის საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით დაგენილი მოვალეობებისა და დაკისრებული ვალდებულებების შესრულება. საჯარო მოსამსახურე საჯარო სამსახურში განხორციელებული საქმიანობის პროცესში ანგარიშვალდებულია სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე და შესაბამისად, საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობამ ან არაჯეროვანმა შესრულებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, რომელიც არის საჯარო მოსამსახურისათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში გამოვლენილი დარღვევებისათვის დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმა და რომლის მიზანია საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ფუნქციების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფა და საქმიანობის პროცესის გაუმჯობესება. დისციპლინური ზომის გამოყენება, როგორც ადმინისტრაციის ცალმხრივი ნების გამოვლენა, მართლზომიერად უნდა განხორციელდეს, დისციპლინური ზომის გამოყენება მიზნად უნდა ისახავდეს დარღვევის პრევენციას. ადმინისტრაციის მხრიდან ნებისმიერ დარღვევაზე რეგაგირება უნდა განხორციელდეს პროპორციულობის მოთხოვნის დაცვით, საჯარო მოსამსახურისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი შესაბამისობაში უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან და თვალისწინებდეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას არსებულ გარემოებებს. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება ხდება დამდგარი შედეგის სიმძიმის, ვალდებულების დარღვევის მიზეზის, დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საჯარო მოხელის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებია: а) შენიშვნა; ბ) გაფრთხილება; გ) არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება; დ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით – არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა; ე) უფრო დაბალი თანრივის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა – არა უმეტეს ერთი წლისა; ვ) სამსახურიდან განთავისუფლება ამ კანონის საფუძველზე. თავის მხრივ, დისციპლინური გადაცდომისათვის სამსახურიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლით, კერძოდ, აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა; ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშეც, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, სამსახურებრივი მოვალეობების უხეშ დარღვევას კანონი არ განმარტავს, მაგრამ სამსახურებრივი მოვალეობების უხეშ დარღვევად უნდა იქნეს მიჩნეული ისეთი შემთხვევები, როდესაც დაწესებულებას მნიშვნელოვანი მატერიალური თუ სხვა სახის ზიანი ადგება ან/და ამით მნიშვნელოვნად ექლება ხელი ადმინისტრაციულ ორგანოს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში, მნიშვნელოვნად ილახება მოქალაქეთა უფლებები, სამსახურის პრესტიული, დარღვევა გამოიხატება მოხელის მხრიდან მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შეგნებულ უგულებელყოფაში ან უხეშ დაუდევრობაში და სხვა.

ადმინისტრაციული ორგანოს პრეროგატივაა მის კომპეტენციაში შემავალი საკითხი გადაწყვიტოს არა მხოლოდ კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი კანონის მოთხოვნებს, არამედ ადმინისტრაციულმა ორგანომ აქტის გამოცემისას უნდა იხელმძღვანელოს მიზანშეწონილობის კრიტერიუმებითაც. სამართლებრივი აქტი უნდა პასუხობდეს მიზანშეწონილობისა და კანონიერების მოთხოვნებს. მიზანშეწონილობა გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს შესაძლებლობას საჯარო ინტერესე-

ბის გათვალისწინებით ოპტიმალურად გადაწყვიტოს სადაც საკითხი და განახორციელოს შესაბამისი მმართველობითი ორნისძიება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, იმისათვის, რომ შესრულდეს კანონის მოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს კანონშესაბამისი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მნიშვნელოვანი და სავალდებულო წინაპირობაა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზება, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება ამ გარემოებათა შეფასების შედეგად, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ადმინისტრაციული ორგანოს დაუსაბუთებელი დასკვნის გაეთება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშედარების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია აქტის გამოცემის საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობის აუცილებლობა, კერძოდ, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. დასაბუთება წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე წორჩატიული აქტი ან მისი შესაბამისი წორჩა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკი-

ცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. დარღვევისა და გამოყენებული ზომის ადეკვატურობის თვალსაზრისით ბრძანების დასაბუთების მნიშვნელობა იზრდება მით უფრო მაშინ, როდესაც პირი სამსახურიდან თავისუფლდება დისციპლინური გადაცდომის საფუძვლით.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოება წარმოადგენს პროცედურას – წესების ერთობლიობას, თუ რა უფლება-მოვალეობებით სარგებლობენ მისი მონაწილენი. ადმინისტრაციულ წარმოებაში პირის მონაწილეობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ დაინტერესებული პირის მოლოდინს, რომ მის მიმართ გამოიცეს კანონიერი და დასაბუთებული აქტი, არამედ მის უფლებასაც, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მისი მომზადების სტადიებზე, რათა ობიექტური ზეგავლენა მოახდინოს იმ სამართლებრივ შედეგზე, რომელიც შესაძლოა მის მიმართ დადგეს. განსახილველ შემთხვევაში, შ. ე-ის სამსახურიდან გათავისუფლების უპირობო საფუძველი გახდა 2014 წლის 11 სექტემბრის საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილის – ლ. კ-ას №10-47/14254159 მოხსენებით ბარათი (რომელიც თავის მხრივ ეფუძნება საბურთალოს რაიონის გამგების ბინათმესაკუთრეთა ამსახავობის განყოფილების უფროსის 6. ა-ის მოხსენებით ბარათს), რომლის თანახმად, შემთხვევითობის შერჩევის პრინციპით ... განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოების დოკუმენტაციის გადამოწმებისას აღმოჩნდა შ. ე-ის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანად შესრულების ფაქტი. კერძოდ, მიღებულ დოკუმენტაციაში რამოდენიმე დეფექტურ აქტზე და ხარჯთალრიცხვაზე არ არსებობს ამხანაგობის თავმჯდომარის ხელმოწერები, რაც მოცემულ დოკუმენტაციას არასრულფასოვანს ხდის. ბინათმესაკუთრეთა ამსახავობის საერთო კრების ოქმი მიღებულია ხარვეზებით. ასევე მითითებულია, რომ აღნიშნული ხარვეზები დროის სხვადასხვა პერიოდში მოხდა და არ ჰქონია ერთჯერადი ხასიათი. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მართალია საქმეში წარმოდგენილია ასევე შ. ე-ის 2014 წლის 9 სექტემბრის ახსნა-განმარტება, რომ-

ლის მიხედვითაც მოსარჩელე არ უარყოფს მის მიერ ჩადენილ დარღვევებს და აღნიშნავს, რომ 2014 წლის 2 სექტემბრის ამ-სანაგობის თავმჯდომარის – რ. ჩ-ის მიერ წარმოდგენილი საერთო კრების ოქმის გადამონმება ვერ შეძლო, ვინაიდან, გათიშული იყო ქსელი და არ მუშაობდა სერვერი, რის გამოც ვერ შევიდა ბაზაში, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ დარღვევებს გამორჩა მხედველობიდან მოქალაქეთა სიმრავლის გამო და აღნიშნული უდავოდ დასტურია შ. ე-ის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებისა, მაგრამ საკასციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისას სრულყოფილად უნდა გამოეკვლია საქმის გარემოებები, მოეწვია ადმინისტრაციულ წარმოებაში თავად მოსარჩელე და კიდევ ერთხელ მოესმინა მისი ახსნა-განმარტებისათვის, გამოეკვლია ადრეც ჰქონდა თუ არა მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას ადგილი. საქმის მასალებით ასევე დადასტურებულია, რომ შ. ე-ის მიმართ ადრე არ ყოფილა გამოყენებული რაიმე სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანო შ. ე-ის მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის არა-ჯეროვნად შესრულებისათვის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელის შეფარდებისას დისკრეციული უფლებამოსილებით სარგებლობს, თუმცა დისკრეციული უფლებამოსილება არ უნდა იქცეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების ერთადერთ საზომად; დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების მტკიცება მხოლოდ დისკრეციული უფლებამოსილების არსებობაზე მითითებით. მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებისას გამოსარკვევია არა მარტო ის, ჰქონდა თუ არა ადმინისტრაციულ ორგანოს კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება, არამედ ის, თუ როგორ განახორციელა მან აღნიშნული უფლებამოსილება. სასამართლოს კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს გააკონტროლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერება. ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების დადგენა კი უპირველესად მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებიდან ხდება შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებუ-

ლება ძალზედ მნიშვნელოვანია, რამდენადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამორიცხოს თვითნებური, მიკერძოებული, არაკვალიფიციური გადაწყვეტილება და უნდა დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობა და კონკრეტული გადაწყვეტილება კანონიერი გადაწყვეტილების წინაპირობას წარმოადგენს. დასაბუთებაში კი არგუმენტირებულად უნდა მიეთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლის შესაბამისადაც მიღებულ იქნა ზუსტად ეს კონკრეტული გადაწყვეტილება და უარი ეთქვა სხვა სახის გადაწყვეტილებას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სადავო ბრძანება არ შეიცავს დასაბუთებას შ. ე-ის მიმართ ყველაზე მძიმე დისკიპლინური სახდელის – სამსახურიდან გათავისუფლების გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე.

ნორმაში ალტერნატიული სანქციის არსებობა მიუთითებს უფრო მეტად მეტად სახის სახდელის გამოყენების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ ნაკლებად მეტად სახის სანქცია ვერ უზრუნველყოფს სახდელის მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში დაუსაბუთებელია შ. ე-ის მიმართ უფრო მსუბუქი სახდელის გამოყენება რატომ ვერ უზრუნველყოფდა მოსარჩელის მიერ ჩადენილი გადაცდომისთვის სახდელის მიზნის მიღწევის შესაძლებლობას. სამსახურიდან გათავისუფლება, როგორც უკიდურესი ღონისძიება, უნდა იყოს ადეკვატური და დარღვევის სიმძიმის პროპორციული. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე სარჩელში მიუთითებს, რომ სადავო აქტის გამოცემამდე, 2014 წლის 12 სექტემბერს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელმა საბურთალოს რაიონის გამგებლის მოადგილის – ლ. კ-ას მეშვეობით შესთავაზა საკუთარი სურვილით სამსახურიდან წასვლა, რაზედაც მან უარი განაცხადა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, რა დროსაც იგი ყველა შესაძლებლობას უნდა იყენებდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საუკეთესო გადაწყვეტილების მისაღებად. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლი იმპერატიულად ადგენს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის ვალდებულებას. შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში შ. ე-ის მი-

მართ დისციპლინური სახდელის შეფარდებისას, აუცილებელია ყურადღება მიექცეს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპს. საგულისხმოა, შ. ე-ის ქმედებამ რა ზიანი მიაყენა სახელმწიფოსა და საჯარო წესრიგს; დაცულია თუ არა შ. ე-ის მიმართ ყველაზე მკაცრი დისციპლინური სახდელის გამოყენებით თანაზომიერების პრინციპი. განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოყენებული დისციპლინური სახდელის თანაზომიერება უნდა შეაფასოს იმის გათვალისწინებით, რომ შ. ე-ის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობიდან დათხოვნის საფუძვლად ქცეული სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება, რამდენად ქმნიდა მისი სამსახურიდან გათავისუფლების უპირობო საფუძველს, რა სახის ზიანი მიადგა ადმინისტრაციულ ორგანოს ან სხვა პირს აღნიშნული ქმედების შედეგად.

ამდენად, საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგებლის 2014 წლის 15 სექტემბრის №62 ბრძანება შ. ე-ის გათავისუფლების შესხებ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობას უნდა დაევალოს საკასაციო სასამართლოს მიერ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, თანაზომიერებისა და პროპორციულობის პრინციპის დაცვით, კანონით დადგენილი წესით გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნულზე გავლენას არ ახდენს ის გარემოება, რომ სასამართლოებში საქმის განხილვისას თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბურთალოს რაიონის გამგეობამ განიცადა სტრუქტურული ცვლილებები, გაუქმდა და შეიცვალა უმრავლესობა სტუქტურული ერთეულებისა, მათ შორის, გაუქმდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების განყოფილება და ქ. თბილისის საკერძულოს მიერ დამტკიცებულ იქნა განახლებული საშტატო ნუსხა. რეორგანიზაციის შედეგად გამგეობაში არსებული ვაკანტური თანამდებობები შეივსო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საკონკურსო წესით. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეორგანიზაცია არ არის მოხელის გათავისუფლების საფუძველი, მით უმეტეს, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის ფუნქციას ისევ ახორ-

## ციელებს.

ამასთან, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127.6 მუხლზე, რომლის თანახმად, „სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ, სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს სამსახურიდან განთავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება“. აღნიშნული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ვალდებულება პირდაპირ კავშირშია აღდგენასთან. ვინაიდან, მოცემული გადაწყვეტილებით სადაცო აქტი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი და არ მომხდარა შ. ე-ის სამსახურში აღდგენა, საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგების საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შ. ე-ის სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ.

## სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

## გ ა დ ა ნ ყ 3 ი ტ ა:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის

- გამგეობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება;
3. შ. ე-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი შ. ე-ის გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგებლის 2014 წლის 15 სექტემბრის №62 ბრძანება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგებას დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ კანონით დადგენილ ვადაში გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

### განხილვა

№ბს-776-768(2კ-4კს-15)

14 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ადვოკატის ხარჯის ანაზღაურება

### აღნერილობითი ნაწილი:

11.09.2014წ. ლ. ხ-მა, ნ. ქ-ამ და გ. ბ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და მესამე პირის გ. ა-ის მიმართ, რომლითაც ლ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 22.08.2014 წ. №274 ბრძანების,

6. ქ-ას გათავისუფლების შესახებ 22.08.2014 №273 ბრძანებისა და გ. ბ-ას გათავისუფლების შესახებ 22.08.2014 №275 ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ბათილად ცნობა, მოსარჩელეთა გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა, სამსახური არყოფნის მთელი პერიოდის მანძილზე იძულებითი განაცდური ხელფასის სრული ანაზღაურება და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა მოითხოვეს.

საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას მოსარჩელეებმა გაზარდეს სასარჩელო მოთხოვნა და დამატებით მოთხოვეს: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ლ. ხ-ის, 6. ქ-ასა და გ. ბ-ას აგვისტოს თვის მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.01.2015წ. გადაწყვეტილებით ლ. ხ-ის, 6. ქ-ას და გ. ბ-ას სარჩელი დაქმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი ლ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 22.08.2014წ. №274 ბრძანება, 6. ქ-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 22.08.2014წ. №273 ბრძანება და გ. ბ-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 22.08.2014წ. №275 ბრძანება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა ლ. ხ-ის გათავისუფლებამდე ლ. ხ-ის დაკავებულ თანამდებობაზე მისი აღდგენა, 6. ქ-ას გათავისუფლებამდე 6. ქ-ას დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა და გ. ბ-ას გათავისუფლებამდე გ. ბ-ას დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა აგრეთვე მოსარჩელებისათვის – ლ. ხ-ისთვის, 6. ქ-ასთვის და გ. ბ-ასთვის 3 თვის იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომის ანაზღაურების გადახდა, ხოლო აგვისტოს თვის ხელფასის ანაზღაურებაზე მოსარჩელეებს ეთქვათ უარი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... სამსახურის უფროსის ა. ს-ას და ამავე სამსახურის ... განყოფილების მთავარი სპეციალისტის ი. თ-ას, აგრეთვე ააიპ „...“ იურისტის გ. ი-ის ახსნა-განმარტებებზე დაყრდნობით სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს უტყუარად არ დაუდგენია მოსარჩელების სამსახურში გამოუცხადებლობა, სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ 6. ქ-ა და გ. ბ-ა 2014წ. 1 აგვისტოს შემდეგ სამსახურში არ გამოცხადებულან, ვინაიდან საწინააღმდეგო გარემოებანი დასტურ

დება მოწმეთა ჩვენებებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ სამსახურში შესვლის და გამოსვლის აღმრიცხველი ელექტრონული მოწყობილობიდან ამონაწერის სახით წარმოდგენილი ინფორმაცია არ შეიძლება საფუძვლად დაედოს მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღებას, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც წარმოდგენილია თანამშრომლების ახსნა-განმარტებები, რითაც საწინააღმდეგო ფაქტი დასტურდება. მოპასუხემ ვერ შეძლო სამსახურებრივი მოწმობის მიხედვით მოსარჩელების შენობაში შესვლის და გამოსვლის ამსახველი ინფორმაციის წარმოდგენა, არ იქნა წარმოდგენილი აგრეთვე ვიდეო აპარატურის მონაცემები. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელეთა მოსაზრებები მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო ადმინისტრაციის არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულების შესახებ მოითხოვდა აქტის დასაბუთების მაღალ სტანდარტს, მით უფრო, რომ საკითხი ეხება უხეშ დარღვევას, დისკრეციას, რაც ქმნის უხეში დარღვევის დასაბუთების, სხვა სახის დისციპლინური სახდელის გამოყენების დაუშებლობის დასაბუთების ვალდებულებას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 99-ე მუხლის დანაწესი (სამსახურის 5 დღეზე მეტი ხნით მიტოვება) ლ. ხ-ის მიმართ არ დასტურდება მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების გაზიარების შემთხვევაშიც. ზაკ-ის 53.5, 95.2, 96.2 მუხლებზე მითითებით სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული წარმოება ჩატარებულია არასრულყოფილად.

სასამართლომ აღნიშნა აგრეთვე, რომ სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის რეორგანიზაციას შტატების შემცირება არ მოჰყოლია, ასეთი რეორგანიზაცია სამსახურში აღდგენაზე უარის თქმის საფუძველი ვერ გახდება. მოსარჩელეთა თანამდებობაზე აღდგენა უნდა მოხდეს ახლად ჩამოყალიბებული სამი საქალაქო სამსახურიდან რომელიმეში, მათი ფუნქციონალური დატვირთვის გათვალისწინებით.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხემ უნდა აუნაზღაუროს მოსარჩელებს 3 თვის განაცდური ხელფასი, ხოლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე სრული მოცულობით განაცდუროს ანაზღაურებაზე მოსარჩელებს უარი ეთქვათ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.01.2015წ. განჩინებით განისაზღვრა ლ. ხ-ის, ნ. ქ-ას და გ. ბ-ას გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღ-

სრულება, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ.

საქალაქო სასამართლოს 24.03.2015წ. განჩინებით ლ. ხ-ის, 6. ქ-ასა და გ. ბ-ას შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.01.15წ. განჩინების აღსრულების წესის შეცვლისა და განჩინების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც გასაჩივრდა ლ. ხ-ის, 6. ქ-ასა და გ. ბ-ას მიერ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა აგრეთვე მოსარჩელების მიერ, რომლებმაც მოითხოვეს: საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება გათავისუფლებიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში იძულებითა განაცდურის სრული მოცულობით მერიისათვის დაკისრება, აგრეთვე 2014 წლის აგვისტოს თვის კუთვნილი ხელფასის სრულად ანაზღაურება. აპელანტებმა მოითხოვეს აგრეთვე გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელები აღდგენილი არ იქნენ გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის არსებულ თითოეულის შესაბამის თანამდებობაზე და მათი აღდგენის საკითხი ახალი აქტის გამოცემის დავალებით სასამართლომ განახორციელა გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე. აპელანტებმა მოითხოვეს აგრეთვე 20.10.14წ. საოქმო განჩინებების გაუქმება, რომლითაც უარყოფილი იქნა შუამდგომლობა გ. ი-ის და ს. თ-ას მოწმეთა სახით დაკითხვა, 20.10.14წ. საოქმო განჩინების გაუქმება თანამდებობრივი და სამუშაო აღწერილობის თაობაზე ინფორმაციის გამოთხოვაზე უარის თქმის შესახებ, 20.10.14წ. და 17.11.14წ. საოქმო განჩინების გაუქმება, რომლითაც არ იქნა განხილული მტკიცებულებების წარმოუდგენლობის გამო მერიის შესაბამისი თანამდებობის პირის დაჯარიმების თაობაზე შუამდგომლობა, 16.09.14წ. საოქმო განჩინება, რომლითაც უარყოფილ იქნა შუამდგომლობა სარჩელის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ, აპელანტებმა მოითხოვეს მერიის უფლებამოსილი პირების დაჯარიმება, აპელანტებმა მოითხოვეს აგრეთვე 16.09.14წ., 20.10.14წ. განჩინების, 20.10.14წ. საოქმო განჩინების იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც სასკ-ის 16.2 მუხლის სა-

ფუძველზე გ. ა-ე ჩაბმული იქნა აუცილებელი წესით მოსაწვევი მესამე პირის სახით, აპელანტებმა მოითხოვეს სასამართლოს-გარეშე პროცესის ხარჯების ანაზღაურების დაკისრება მერიი-სათვის.

საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას აპელანტებმა დამატებით მოითხოვეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.07.2015წ. გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილ-და ნაწილობრივ, ლ. ხ-ის, ნ. ქ-ასა და გ. ბ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.01.2015წ. გა-დაწყვეტილების შეცვლით საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გა-დაწყვეტილება, ლ. ხ-ის, ნ. ქ-ასა და გ. ბ-ას სარჩელი დაკმაყო-ფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი ლ. ხ-ის თანამდე-ბობიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 22.08.2014წ. №274 ბრძანება, ნ. ქ-ას თანამდებო-ბიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტე-ტის მერიის 22.08.2014წ. №274 ბრძანება და გ. ბ-ას თანამდებო-ბიდან გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... სამსახურის უფროსის მოადგილედ, ნ. ქ-ას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... სამსახურში ... განყო-ფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე აღდგენა, მე-რიას დაევალა გ. ბ-ასათვის შრომითი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მხარეთა შორის შეთანხმებული სახელფასო სარგოს ოდენობით 2014 წლის 22 აგვისტოდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე, გ. ბ-ას მოთხოვნა თავდაპირველ თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაე-ვალა ლ. ხ-ისათვის და ნ. ქ-ასათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 3 თვის სახელფასო სარგოს ოდენობით, მოსარჩელების მოთხოვნა გათავისუფლებიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში იძულებითი განაცდურის ანაზღაურებისა და აგვისტოს თვის ხელფასის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაე-კისრა მოსარჩელეთა – ლ. ხ-ის, ნ. ქ-ასა და გ. ბ-ას სასარგებლოდ

ადვოკატისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება 2000 ლარის ოფენობით, დანარჩენი ხარჯების ანაზღაურებაზე მოსარჩელე-ებს ეთქვათ უარი. ამასთანავე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კერძო საჩივარი, გაუქ-მდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 27.01.2015წ. განჩინება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებ-ლად გადაცემის თაობაზე, განიმარტა, რომ გადაწყვეტილება ამ ნაწილში საბოლოო იყო და არ საჩივრდებოდა, მოსარჩელეთა შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრუ-ლებლად გადაცემის თაობაზე დაკმაყოფილდა და თბილისის სა-აპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.07.2015წ. გადაწყვეტილება გადაეცა დაუყოვნებლივ აღსას-რულებლად. მხარეებს განემარტათ გადაწყვეტილების დაუ-ყოვნებლივ აღსრულებისათვის გადაცემის ნაწილში მისი კერ-ძო საჩივრით გასაჩივრების შესაძლებლობა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამსახურში გამო-უცხადებლობის გამო სამსახურიდან გათავისუფლების სადაც აქტების გამოცემის კანონიერების ერთადერთ მტკიცებულე-ბას ნარმოადგენს ამონანერი საშვების ელექტრონული სისტე-მიდან. დამატებითი მტკიცებულებების შესწავლა-შეფასების შედეგად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. შ-ას, ზ. შ-ის, ზ. ჩ-ის ახსნა-განმარტებები ამყარებენ არა ადმინისტრაცი-ული ორგანოს, არამედ მოსარჩელეთა პოზიციას. ამასთანავე, საქმეში დაცულია მოსარჩელეთა პოზიციის დამადასტურებე-ლი მტკიცებულებები - ს. თ-ას და გ. ი-ის ახსნა-განმარტებები. ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო ვერ ადასტურებს გადაც-დომის არსებობის ფაქტს, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებოს დამდგარი შედეგის - სამსახურიდან გათავისუფ-ლების - მართლზომიერების დადასტურების შესაძლებლობა, მერიამ თავი ვერ გაართვა მტკიცების ტვირთს და ვერ დაასა-ბუთა მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება. აქტის არა-კანონიერად აღიარება ინვენს მის სამსახურში აღდგენას. ლ. ხ-ის და ნ. ქ-ას თანამდებობაზე აღდგენა უნდა მოხდეს დაუყოვ-ნებლივ. იმავდროულად გაზიარებულ იქნა მერიის მოსაზრება, რომ გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე მოსარ-ჩელეთა აღდგენა არ არის კანონიერი, თუმცა პალატამ არ გაი-ზიარა მერიის მოსაზრება სამსახურში მოსარჩელეთა აღდგე-ნის შეუძლებლობის შესახებ, ვინაიდან გატარებული რეორგა-ნიზაციის მიუხედავად, მერიაში შენარჩუნებულია იმავე ფუნ-ქციისა და დატვირთვის მატარებელი თანამდებობები, ხოლო

შტატების რაოდენობა გაიზარდა. თანამდებობების ფუნქციონალური დატვირთვის შესწავლის შედეგად სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ლ. ხ-ი უნდა აღდგეს მერიის ... სამსახურში, სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე, ხოლო ნ. ქ-ა ამავე სამსახურში ... განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. გაზიარებულ იქნა მერიის მოსაზრება გ. ბ-ას სამსახურში აღდგენის კანონშეუსაბამობის შესახებ, ვინაიდან გ. ბ-ა მერიასთან იმყოფებოდა სახელშეკრულებო-შრომით ურთიერთობაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2014 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 94-ე მუხლის თანახმად, თანამდებობაზე გარკვეული ვადით არჩეული ან დანიშნული პირი სამსახურიდან თავისუფლდება, შესაბამისად გ. ბ-ას უარი უნდა ეთქვას სამსახურში აღდგენაზე. ვინაიდან ხელშეკრულების შეწყვეტა ვადაზე ადრე უკანონოდ მოხდა, დადგინდა, რომ გ. ბ-ას უნდა აუნაზღაურდეს ზიანი 2014 წლის 22 აგვისტოდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდზე მხარეთა შორის ხელშეკრულებით შეთანხმებული სარგოს ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მოსაზრების იძულებითი განაცდურის სრული მოცულობით ანაზღაურების თაობაზე და კანონის ფარგლებში მოქმედების პრინციპიდან გამომდინარე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლზე მითითებით შესაძლებლად მიიჩნია იძულებითი განაცდურის 3 თვეის სახელფასო სარგოს ოდენობით ანაზღაურება.

შუალედური განჩინების გაუქმების მოთხოვნასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ დასტურდება მოწმეთა დაკითხვაზე უარის თქმით მხარის უფლებების შელახვა, არ დასტურდება, რომ მოთხოვნილი მოწმეების დაკითხვა გამოიწვევდა დადგენილი გარემოებებისაგან განსხვავებული გარემოებების დადგენას. რაც შეეხება დაჩქარებული წესით საქმის განხილვასა და მტკიცებულებათა წარუდგენლობის გამო თანამდებობის პირის დაჯარიმებას, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ აღნიშნული არის მოსამართლის უფლება და არა ვალდებულება, მისი მიზანშენონილობის განსაზღვრის პროცესში მოსამართლე სარგებლობს ფართო დისკრეციით და არ არის შეზღუდული მხარის მოთხოვნით. მესამე პირად სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში ჩაბმასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელიც ჩაბმული იქნა საქმეში. სსკ-ის 53.1 და 47.2 მუხლების საფუძველზე საა-

პელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ადგომატის მომსახურებისათვის განეული ხარჯი 2000 ლარით უნდა განისაზღვროს, ხოლო სხვა სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურებაზე მოსარჩევებს უარი ეთქვათ.

ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს 29.06.15წ. გადაწყვეტილებით შეიცვალა აღსრულების წესი, სააპელაციო სასამართლოს 29.06.15წ. განჩინებით ლ. ხ-ის, ნ. ქ-ასა და გ. ბ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა საქალაქო სასამართლოს 24.03.15წ. განჩინება და ლ. ხ-ს, ნ. ქ-ასა და გ. ბ-ას შუამდგომლობაზე მოსარჩევეთა სამსახურში აღსაღვენ თანამდებობების განსაზღვრის შესახებ საქმის წარმოება შეწყდა, დავის საგრის არარსებობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.07.2015წ. გადაწყვეტილების ნაწილი კერძო საჩივრით და ნაწილი საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის მიერ კერძო საჩივრით გაასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც განისაზღვრა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრით კასატორმა მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მერიის სააპელაციო საჩივარი და რომლითაც დაკმაყოფილდა ლ. ხ-ის, გ. ბ-ას და ნ. ქ-ას სააპელაციო საჩივარი. კასატორმა მოითხოვა ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.07.2015წ. გადაწყვეტილება ასევე საკასაციო საჩივრით გაასაჩივრეს ლ. ხ-მა, ნ. ქ-ამ და გ. ბ-ამ. კასატორები თვლიან, რომ დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის განჩინება შათთვის 2014 წლის აგვისტოს თვის კუთვნილი ხელფასის სრულად ანაზღაურებაზე უარის ნაწილში, გადაწყვეტილება ამ ნაწილში არ პასუხობს სზაქ-ის 58-ე მუხლის მოთხოვნებს. დაუსაბუთებელია გადაწყვეტილება სასამართლოსგარეშე საპროცესო ხარჯების ნაწილში. კასატორი არ ეთანხმება შუალედური (წინმსწრები) განჩინებების უცვლელად ძალაში დატოვებას. საკასაციო პრეტენზია ეხება აგრეთვე 3 თვის სახელფასო სარგოს მიკუთხნებას და გათავისუფლებიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში იძულებითი განაცდუ-

რის ანაზღაურებაზე უარის თქმას. კასატორი არ ეთანხმება კომპანიის ზედა ზღვარის დადგენას. ზიანის ანაზღაურება უკავშირდება უკანონო ქმედებას, რომელშიც თავად გათვავისუფლებული პირი არ მონაწილეობს, მას არ შეუძლია რაიმე ქმედებით ზიანის შემცირება. უფლება ზიანის ანაზღაურებაზე გათვალისწინებულია რიგი საერთაშორისო აქტებით. საკასაციო საჩივარში მოყვანილია აგრეთვე მოსაზრებები მოპასუხისათვის აქტის გამოცემის დავალებასთან, მერიის კერძო საჩივრის დაკამაყოფილებასთან, გ. ბ-ას სამსახურში აღდგენაზე და განაცდურის ანაზღაურებაზე უართან, ადვოკატის მიერ სასამართლოში მოცდენილი დროის ანაზღაურებასთან და სხვ. საკითხებითან დაკავშირებით. კასატორებმა მოითხოვეს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმება და იმ განჩინების გაუქმება, რომლებიც წინ უსწრებდა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვები იყო თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

სააპელაციო პალატის 24.09.15ნ. განჩინებით დაქმაყოფილდა მოსარჩევეთა წარმომადგენლის განცხადება სააპელაციო პალატის 29.07.15ნ. გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტის მესამე წინადადების შინაარსი, განიმარტა, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში გამოყენებული ტერმინი „სახელფასო სარგო“ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე უნდა განიმარტოს როგორც „თანამდებობრივი სარგო“. სააპელაციო სასამართლოს 24.09.2015ნ. და 12.10.2015ნ. განჩინებებით აპელანტებს — ლ. ხ-ს, ნ. ქ-ასა და გ. ბ-ას უარი ეთვათ პალატის 29.07.2015ნ. გადაწყვეტილებაში უსწორობის გასწორებაზე, რაც კერძო საჩივრებით გასაჩივრდა ლ. ხ-ის, ნ. ქ-ასა და გ. ბ-ას მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 17.12.2015ნ. განჩინებებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ლ. ხ-ის, ნ. ქ-ას და გ. ბ-ას კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდა საკასაციო სასამართლოს 17.12.2015ნ. განჩინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ლ. ხ-ის, ნ. ქ-ას და გ. ბ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად გარდა ლ. ხ-ისა და ნ. ქ-ასათვის იძულებითი განაცდურის სრულად ანაზღაურების მოთხოვნის ნა-

წილისა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.07.2015წ. გადაწყვეტილება გარდა ლ. ხ-ისა და ნ. ქ-ასათვის იძულებითი განაცდური ხელფასის სრულად ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ ნაწილისა და ქ. ქ-ასათვის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მოსარჩელეთა მიერ განეული ადვოკატის ხარჯის – 2000 ლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილისა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი ლ. ხ-ის, ნ. ქ-ასა და გ. ბ-ას სასარგებლოდ ადვოკატის ხარჯების – 2000 ლარის მისთვის დაკისრების ნაწილში და ლ. ხ-ისა და ნ. ქ-ას საკასაციო საჩივარი იძულებითი განაცდურის სრულად ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. ამავე კანონის 127.5 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე გამოცემული აქტის არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას. სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც ეხება მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტების ბათილად ცნობას და სამსახურში აღდგენას კანონიერ ძალაშია შესული, ვინაიდან სააპელაციო პალატის 17.12.15წ. განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში არ იქნა დაშვებული. ამდენად, უკანონოდ გათავისუფლებული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს იძულებითი განაცდური („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხ.), გათავისუფლების აქტის ბათილად ცნობა იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ლ. ხ-ისათვის, ნ. ქ-ასათვის განაცდურის ნაწილობრივ, კერძოდ სამი თვის იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომის ანაზღაურება ეფუძნება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლის მე-2 წინადადების

დანაწესს იმის შესახებ, რომ იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომის გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 31.07.2015წ. №2/3/630 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლის მე-2 ნინადადება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის გადაწყვეტილების გამოცხადებიდან („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხ.). ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა საერთო წესის მიხედვით არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე საერთო სასამართლოების მიერ ადრე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ძალაში არ შესულა, ის საკასაციო წესით გასაჩივრდა მხარეების მიერ, მოსარჩევები სარჩელის აღდერისთანავე სასამართლოსგან მოითხოვდნენ სადაც სამართალურთიერთობის მიმართ კონსტიტუციის პირდაპირი მოქმედების ძალის გამოყენებას, ამასთანავე სასამართლო პრაქტიკაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციის შესაბამისი განმარტება, საერთო სასამართლოები არ არიან უფლებამოსილი მოახდინონ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამო განმარტება. ამდენად, ის გარემოება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, არ ადასტურდებს მის მართლზომიერებას. საჯარო მოხელის სამსახურიდან უკანონო გათავისუფლება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად იწვევს ზიანის სრული ანაზღაურების ვალდებულებას. იგივე დანაწესს შეიცავს სზაკ-ის 208.2 მუხლი. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ზარალის ანაზღაურების ვალდებულება გულისხმობს არა კონკრეტული სუბიექტის მიერ ნინასნარ დადგენილი ზღვრული ოდენობით, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პირისათვის რეალურად მიყენებული ზარალის სრული მოცულობით ანაზღაურების ვალდებულებას (სუს 10.12.1015წ. №ბს-161-158(კ-15)). შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ლ. ხ-ისა და ნ. ქ-ას იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო, უნდა აუნაზღაურდეს არა 3 თვის იძულებითი განაცდურის, არამედ სრული მოცულობით, კერძოდ სამსახურიდან განთავისუფლების პერიოდიდან სამსახურში აღდგე-

ნამდე. საჯარო მოხელის მიერ შრომითი გასამრჯელოს მიღება მჭიდროდ არის დაკავშირებული სამსახურებრივ უფლებამოსი-ლებათა შესრულებასთან. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37.1. მუხლის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათვალისწინებულ დღემდე მიღოლოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურეს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ საარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატს. თანამდებობრივი სარგო არ არის დამოკიდებული სამუშაოს შესრულების ხარისხზე, მის შედეგებსა თუ სხვა ფაქტორებზე. ეს შემოსავალი პირისათვის გარანტირებულია საჯარო მოხელის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, მისი მხრიდან სამსახურებრივი ფუნქციების ბრალეული შეუსრულებლობის არარსებობისას. შესაბამისად, საჯარო მოხელეს სამსახურში დანიშვნისას წარმოეშობა გონივრული მოლოდინი, რომ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მოხელე უზრუნველყოფილია სამსახურებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე გალდებულებათა შესრულების სანაცვლო ანაზღაურებით. სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ნაწილით, საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეების – ლ. ხ-ის და ნ. ქ-ას მხრიდან ადგილი არ ჰქონდა არამართლზომიერ ქმედებას. აღნიშნულის გათვალისწინებით მათ უნდა აუნაზღაურდეთ გათავისუფლებიდან სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე სამსახურში იძულებითი არყოფნის პერიოდის განმავლობაში იძულებითი განაცდური. საქმეში დაცული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მ.შ. 16.09.2015წ. №532 და 16.09.2015წ. №535 ბრძანებებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 117-ე მუხლის მე-5 პუნქტის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 29.07.15წ. გადაწყვეტილების საფუძველზე, ნ. ქ-ა აღდგენილ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... სამსახურის ... განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო ლ. ხ-ი მერიის ... სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იძულებითი განაცდური მოიცავს ხელფასის ისეთ განაკვეთებს, რომლის მიღება გარანტირებულია საჯარო მოხელის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში და არ არის დამოკიდებული შრომის შედეგებზე, სხვა ფაქტორებზე. საჯარო მოხელის თანამდებობრივი სარგო არის გასაცემელი, რომელსაც სახელმწიფო გასცემს საჯარო მოხელის ინდივიდუალური მახასიათებლების ან/და კვალიფიკაციის მიუხედევად. აღნიშნულისაგან განსხვავებულია კანონმდებლობით განსაზ-

ლვრული ხელფასის შემადგენელი პრემიებისა და დანამატების ბუნება, რომლებიც მოხელეზე გაიცემა კანონით გათვალისწინებული პირობების და საფუძვლის არსებობის შემთხვევაში და მათი გაცემა კონკრეტულ გარემოებებზეა დამოკიდებული (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 31.07.2015წ., №2/3/630 გადაწყვეტილება, პ.11). აღნიშნულის და სამსახურში აღდგენის მომენტის გათვალისწინებით, დასადგენია 6. ქ-ას და ლ. ხ-ის იძულებითი განაცდურის ოდენობა, რომელიც განისაზღვრება ფუნქციური დატვირთვის და სხვ. ფაქტორების გათვალისწინებით. საჯარო მოხელე შრომის ანაზღაურებას იღებს მის მიერ შესრულებული სამუშაოსათვის. იძულებითი გაცდენის დროს არ ხდება პირის მიერ სამუშაოს შესრულება და ამ დროს მიყენებული ზარალი შეიძლება ყოველთვის არ იყოს იძულებითი განაცდურის პერიოდში მისაღები ხელფასის იდენტური. შესაბამისად თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში განსაზღვრული უნდა იქნეს უკანონოდ განთავისუფლებით პირისათვის მიყენებული ზარალის კონკრეტული ოდენობა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 31.07.2015წ., №2/3/630 გადაწყვეტილება, პ. 14). სააპელაციო პალატას არ დაუდგენია ლ. ხ-ის და 6. ქ-ას ხელფასის შემადგენლობა, არ შეუსწავლია ხელფასის განმსაზღვრელი აქტები.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დაგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს შეიქუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაემაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის ნარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალის-

წინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით (სსკ-ის 47.2 მუხ.).

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სსკ-ის 53-ე მუხლი ითვალისწინებს პროცესის ხარჯების განაწილების წესს, რადგანაც ადვოკატის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების პრინციპი ამავე მუხლის პირველი ნაწილითაა განსაზღვრული. პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყვდეს სასამართლო გადაწყვეტილებით, რომლითაც საქმე წყდება არსებითად. ეს დასკვნა გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის შინაარსიდან, რომლის მიხედვით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი შეიძლება დადგეს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმის წარმოება მთავრდება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე (სსკ-ის 272-ე და 275-ე მუხლები). ასეთ დროს სასამართლო შესაბამისი განჩინებით გადაწყვეტს პროცესის ხარჯების განაწილების საკითხს.

საპროცესო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის ხდება თითოეული ინსტანციის სასამართლოში ცალ-ცალკე ზემდგომ ინსტანციაში დამდგარი შედეგის მიხედვით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელეთა – ლ. ხ-ის, ნ. ქ-ასა და გ. ბ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ადვოკატისათვის განეული ხარჯის ანაზღაურება 2000 ლარის ოდენობით. დანარჩენი ხარჯების ანაზღაურებაზე მოსარჩელებს ეთქვათ უარი. საკასაციო პალატის 17.12.15ნ. განჩინებით მერიის საკასაციო საჩივარი დაშვებულია მხოლოდ ადვოკატისათვის განეული ხარჯის – 2000 ლარის მისთვის დაკისრების ნაწილში.

საქმეში წარმოდგენილი არ არის ადვოკატის დახმარების საფაურის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება. სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემობაზი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ისეთ პირობებში, როდესაც არ დასტურდება კონკრეტული ხარჯის განევა, მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს (სუს 26.04.16ნ., №ძს-397-391 (2კ-4კს-15)).

სსკ-ის 9.1 მუხლის თანახმად, სოციალური დავები გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, რაც არ გამორიცხავს საჭიროების შემთხვევაში საქმის განხილვის პროცესში დავასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯების საკითხის გადაწყვეტის საჭიროებას. მართლმსაჯულების განხორცი-

ელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოსგარეშე ხარჯებთან. ადვოკატისათვის განეული ხარჯი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს (სსკ-ის 37.3 მუხ.). ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილ ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკაცებულებების საფუძველზე. ამასთანავე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების არსებობა, მხარის მიერ ადვოკატისათვის თანხის გადახდის ქვითრის არარსებობა იმთავითვე არ გამორიცხავს განეული მომსახურების ანაზღაურების შესაძლებლობას (ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „დადაევა რუსეთის წინააღმდეგ“, ჭ 145, 146). საქმის მასალებით დასტურდება მოსარჩევებისათვის ადვოკატის მიერ იურიდიული მომსახურების განევა, რის გამოც სასამართლომ უნდა განიხილოს არა ადვოკატისათვის განეული ხარჯის ანაზღაურება, რაც საქმის მასალებით არ დასტურდება, არამედ საქმის მასალებით დადასტურებული ადვოკატის მიერ მოსარჩევებისათვის განეული მომსახურების ღირებულების მოპასუხისათვის დაკისრების შესაძლებლობა. მოსარჩევებსა და ადვოკატს შორის იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების, გადახდის ქვითრის, საგადახდო დავალების შესრულების ღოკუმენტის წარუდგენლობა, არ გამორიცხავს საქმის განიხილვასთან დაკავშირებით განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების შესაძლებლობას (სუს 09.02.2012წ., №ძს-1330-1315 (კ-11); 30.10.15წ. №ას-444-423-2015; 25.03.2016წ. №ას-12-12-2016წ. გადაწყვეტილებები). მოსარჩევებსა და ადვოკატს შორის წარმოშობილი ურთიერთობის მატერიალური საფუძველია დავალების ხელშეკრულება (სკ-ის 709-ე მუხ.). მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში (სკ-ის 710-ე მუხ.). განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოცემულ შემთხვევაში პრეზიუმირებულია, ვინაიდან სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულება შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი, ხოლო ადვოკატის მომსახურების ღირებულება საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, წარეზიუმირებულია, ვინაიდან სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულება შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი, ხოლო ადვოკატის მომსახურების ღირებულება საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, წარეზიუმირებულია, ვინაიდან სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულება შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი, ხოლო ადვოკატის მომსახურების განევის შემთხვევაში ივარაუდება მხარეთა შორის სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულების არსებობა, სანინააღმდეგო დამტკიცებას საჭიროებს. ამდენად, ხარჯების განსაზღვრა ხდება სასამართლოში მხარის მიერ წარდგენილი ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამა-

დასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე, ამგვარი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს თავადაც შეუძლია განსაზღვროს იურიდიული დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა (სუს 11.02.086. №ას-792-1114-07 განჩინება), თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის ალევეთის მიზნით ხარჯი გაღებულია (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „პინკოვი და პინკი ჩეხეთის წინააღმდეგ“). სასამართლომ მხარეს ხარჯების ანაზღაურება უნდა დააკისროს მხოლოდ იმ მიზნით, რომ აღკვეთილიყო უფლების დარღვევა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“). სასამართლომ ხარჯების განსაზღვრისას უნდა მოახდინოს მხარის სამართლიანი დაკმაყოფილება. სასამართლოს მიერ ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას, დავის საგნის ღირებულებიდან გამომდინარე, პროცენტული ზღვარის დადგენა გამორიცხავს ხარჯების ხელოვნურად გაზრდას, და უზრუნველყოფს იმ მხარის ინტერესების დაცვას, რომელსაც ხარჯების გადახდა უნდა დაეკისროს (სუს 11.02.086. №ას-792-1114-07). სსკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული პროცენტული ცენზი და თანხა წარმოადგენს იმ მაქსიმალურ საკანონმდებლო ზღვარს, რომელიც წაგებულ მხარეს შესაძლოა დაეკისროს მოგებული მხარის სასარგებლოდ, ამასთანავე, სასამართლომ ადვოკატის მომსახურების ღირებულების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მიიღოს იძულებითი განაცდურის ოდენობა, საქმის სირთულე, უფლების დარღვევის აღსაკვეთად წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების ინტენსივობა, ხანგრძლივობა, ინსტანციურობა და სხვ. სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს მოპასუხეზე სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის ოდენობის რაომე დასაბუთებას. განჩინებაში არ არის ახსნილი თუ რა გათვლას, საქმის გარემოებების რაშეფასებას ეფუძნება მოპასუხისათვის დაკისრებული თანხა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეებმა პროცესის ხარჯების დაბრუნების (მეორე მხარისათვის მათ სასარგებლოდ დაკისრების) შესახებ უნდა მიუთითონ ძირითად სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში ივარაუდება, რომ მათ პრეტენზია პროცესების ხარჯებთან დაკავშირებით არ გააჩნიათ. ამასთან, მხარეებს არ ეზღუდებათ პროცესის ხარჯების მოთხოვნის უფლება საქმის მომზადების დასრულების შემდგომ ან საქმის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, თუკი ხარჯების საკითხი სწორედ

საქმის განხილვის ამ სტადიაზე წარმოიშვა (სუს 30.10.15წ. №ას-444-423-2015 განჩინება). მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის მომსახურების ღირებულების მოპასუხისათვის დაკისრების საკითხი სააპელაციო საჩივარში დაისვა. სამოქალაქო კოდექსის დავალების ხელშეკრულების მომწერიგებელ მუხლებში (სკ-ის 709-722) გათვალისწინებული არ არის სპეციალური მოთხოვნა ხელშეკრულების ფორმის თაობაზე, ამდენად, შესაძლებელია მისი დადება როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. ამასთანავე, დაცული უნდა იქნეს სკ-ის 709-ე მუხლის მოთხოვნა მარწმუნებლის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელების მინდობილობის გაცემის შესახებ, რათა წარმომადგენელმა შეძლოს წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელება. საქმეში დაცულია სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობები, რომლებითაც განისაზღვრა ადვოკატის უფლებამოსილება და ვალდებულება დაიცვას მოსარჩევების ინტერესი. საქმეში დაცული მინდობილობები ადასტურებენ, რომ მოსარჩელების საკუთარი ინტერესების დაცვა მინდეს ი. პ-ს. ვინაიდან მინდობილობის შინაარსი და დავალების შინაარსი არ არის ურთიერთგამომრიცხავი დოკუმენტი, არ გამოირიცხება მათი ერთ დოკუმენტში – მინდობილობაში მოქცევა. დავალების ხელშეკრულება შეიძლება იყოს როგორც უსასყიდლო, ისე სასყიდლიანი. გასამრჯელი ჩაითვლება უსიტყვილ შეთანხმებულად, თუ გარემოებათა მიხედვით მოქმედების შესრულება მხოლოდ გასამრჯელოთი არის მოსალოდნელი. საქმეში დაცული ნ. ქ-ას, გ. ბ-ას, ლ. ხ-ის მიერ გაცემული რწმუნებულებების მიხედვით რწმუნებული მარწმუნებელს იურიდიულ დახმარებას უწევს უსასყიდლოდ (იხ. 09.09.14წ., №140970849; 09.09.14წ. №140970787; 09.09.14წ. №140970715 რწმუნებულებები). იურიდიული დახმარება მოიცავს სამართლებრივი დოკუმენტების შედგენას, წარმომადგენლობას სასამართლოში და ადმინისტრაციულ ორგანოებში („იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). სწორედ ხსნებული მინდობილობების საფუძველზე ხორციელდებოდა მოსარჩევების – ლ. ხ-ის, ნ. ქ-ას, გ. ბ-ას ინტერესების დაცვა სააპელაციო სასამართლოში წარმომადგენლის მიერ. აღნიშნული გარემოებების შეფასების გარეშე სააპელაციო პალატამ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელების სასარგებლოდ დააკისრა ადვოკატი-სათვის განეული ხარჯის ანაზღაურება 2000 ლარის ოდენობით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს 29.07.2015წ. გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ 01.09.2015წ. წარდგენილ იქნა სანოტარო წესით დამოწმებული

რწმუნებები, ამასთანავე გ. ბ-ას მიერ გაცემული რწმუნებულება (26.08.2015წ. №150916245) კვლავინდებურად უთითებს, რომ რწმუნებული მარწმუნებელს იურიდიულ დახმარებას უწევს უსასყიდლოდ, ნ. ქ-ას მიერ გაცემული რწმუნებულება (26.08.15წ. №150917549) არ შეიცავს რაიმე მითითებას ანაზღაურების საკითხზე, დავალების შესასრულებლად გასამრჯელოს გადახდის ვალდებულებაზე მითითებას შეიცავს მხოლოდ ლ. ხ-ის მიერ გაცემული რწმუნებულება, რომლის მიხედვით გასამრჯელოს ოდენობა დაგინდება მარწმუნებლისა და რწმუნებულის ურთიერთშეთანხმებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაშვებულ ნაწილებში არის დაუსაბუთებელი, განჩინება მოკლებულია ამ ნაწილში სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ზემოაღნიშნული თავის მხრივ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახლი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. ხ-ის და ნ. ქ-ას საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.07.2015წ. გადაწყვეტილება ლ. ხ-ისა და ნ. ქ-ას იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

4. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.07.2015წ. გადაწყვეტილება ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ლ. ხ-ის, ნ. ქ-ას და გ. ბ-ას სასამართლოდ ადვოკატისათვის გაწეული ხარჯების – 2000 (ორი ათასი) ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

5. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირების გამო

### და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

#### განხილვა

№ბს-95-94(2\_ქ-16)

12 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. თ. გ-მა თელავის რაიონულ სასამართლოში თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა, რომლითაც მოითხოვა თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 29 აპრილის №7/2-157 ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებით განაცდურის ანაზღაურება.

2. მოსარჩელის განმარტებით, 2011 წლის 14 სექტემბრიდან მუშაობდა თელავის გამგეობის ... სამსახურის სპეციალისტად. თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 21 იანვრის ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

2013 წლის 11 აპრილის წერილით უარი ეთქვა დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენაზე. სადაცო საკითხზე ოთხჯერ იმსჯელა სასამართლომ და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად ცნო სადაცო აქტები. მიუხედავად ამისა, მოპასუხებ სამსახურში არ აღადგინა.

3. თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკავებული და; სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 29 აპრილის №7/2-157 ბრძანება და თელავის მუნიციპალიტეტის გამგებას დაევალა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; სამსახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ დაკავშირდება.

4. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ორივე მხარემ გაასჩივრა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით თ. გ-ის და თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის გამგების სააპელაციის საჩივრები ნაწილობრივ დაკავშირდება; გაუქმდა თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა არსებითად განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

6. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიზნია:

6.1. თ. გ-ი მუშაობდა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის სპეციალისტის თანამდებობაზე. თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 21 იანვრის №7/1-75 ბრძანებით თ. გ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან შტატების შემცირების გამო და მიეცა ორი თვის თანამდებობრივი სარგო.

6.2. თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 11 აპრილის №გ/28 პასუხით მოსარჩელეს უარი ეთქვა დასაქმების მოთხოვნაზე მუნიციპალიტეტის გამგებაში შესაბამისი ვაკანსიის არარსებობის გამო.

6.3. თელავის მუნიციპალიტეტის გამგების ... სამსახურის უფროსის დახასიათება-რეკომენდაციის მიხედვით, მოსარჩელე ხსაიათდებოდა დადგებითად.

6.4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 21 ნოემბრის №220 ბრძანებით დამტკიცებული და მის მიზნით გადაწყვეტილი და გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; სამსახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ დაკავშირდება.

ლი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2012 წლის საშტატო ნუსხის თანახმად, ... სამსახურში არსებობდა სამსახურის უფროსის 1 შტატი, მთავარი სპეციალისტის 1 შტატი და სპეციალისტის 10 შტატი – სულ 12 საშტატო ერთეული. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 21 იანვრის №09 ბრძანებით დამტკიცებული თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის საშტატო ნუსხის თანახმად, ... სამსახური მოიცავდა შემდეგ საშტატო ნუსხას: სამსახურის უფროსის 1 შტატი, მთავარი სპეციალისტის 2 შტატი და სპეციალისტის 7 შტატი – სულ 10 საშტატო ერთეული. აღნიშნული საშტატო ნუსხით სპეციალისტის შტატი შემცირდა 3 ერთეულით, ხოლო მთავარი სპეციალისტის შტატი გაიზარდა 1 ერთეულით. 2013 წლის 21 იანვარს – ერთიდაიმავე დღეს მოხდა მოსარჩევის სამსახურიდან განთავისუფლება შტატების შემცირების გამო და იმავე სამსახურში მთავარი სპეციალისტის შტატის ერთი ერთეულით გაზრდა, რომელზეც დაინიშნა თელავის მუნიციპალიტეტში არამომუშავე სხვა პირი, რაც მხარეებს სადაცოდარ გაუხდიათ.

6.5. თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 21 იანვრის №7/1-75 ბრძანება თ. გ-ის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ და თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 11 აპრილის №გ/28 პასუხი თ. გ-ისათვის დასაქმებაზე უარის თქმის თაობაზე მოსარჩევის მიერ გასაჩივრდა თელავის რაიონულ სასამართლოში.

6.6. თელავის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით (მიღებული №3/26-13 საქმეზე) თ. გ-ის სარჩევი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადაც საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. სამსახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების ნაწილში მოსარჩევეს უარი ეთქვა სარჩევის დაკმაყოფილებაზე. თელავის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილება ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით და შესულია კანონიერ ძალაში.

6.7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 26 სექტემბრის განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მოსარჩევის წარმომადგე-

ნელმა 2013 წლის 13 ნოემბერს განცხადებით მიმართა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობას და მოითხოვა თ. გ-ის სამსახურში აღდგენა, რაზეც მოპასუხეს პასუხი არ გაუცია.

6.8. მოსარჩელის წარმომადგენელმა 2013 წლის 11 დეკემბერს კვლავ მიმართა განცხადებით თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობას და მოითხოვა თ. გ-ის სამსახურში აღდგენა, რაზეც მოპასუხემ 2013 წლის 19 დეკემბერს გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი თ. გ-ის სამსახურში აღდგენაზე უარის თქმის შესახებ.

6.9. თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 1 ნოემბრის №7/1-375 ბრძანებით დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლდა ის პირი, რომელიც დანიშნული იყო თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... მთავარი სპეციალისტის იმ შტატში დროებითი მოვალეობის შემსრულებლად, რომელიც დაემატა 2013 წლის 21 იანვარს. დამატებულ საშტატო ერთეულზე 2013 წლის 20 ნოემბრის თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის №7/1-398 ბრძანებით დაინიშნა არა მოსარჩელე, არამედ ისევ სხვა პირი – ე. ა-ი.

6.10. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მოპასუხის მიერ არ მომხდარა იმ გარემოებების შესწავლა, რომელთა შესწავლის ვალდებულებაც თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა თელავის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 26 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით. ალნიშნული გარემოებების გაუთვალისწინებლად, მოპასუხემ ე. ა-ი დანიშნა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... მთავარი სპეციალისტის ვაკანსიაზე დროებითი მოვალეობის შემსრულებლად და მოსარჩელესა უარი უთხრა იმავე საშტატო ერთეულზე დანიშნაზე.

6.11. თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის 19 დეკემბრის №7/2-459 ბრძანების გამოცემას, რომლითაც უარი ეთვეა თ. გ-ს სამსახურში აღდგენაზე, საფუძვლად დაედო თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის 2013 წლის 19 დეკემბრის მოხსენებითი ბარათი, რომლის თანახმადაც, სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, განმეორებით შესწავლილი იქნა თ. გ-ის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ადმინისტრაციული წარმოების მასალები და გამოირევა, რომ მისი განთავისუფლების მომენტში არ ყოფილა სამართლებრივი გადაცდომა.

6.12. თ. გ-მა კვლავ მიმართა თელავის რაიონულ სასამარ-

თლოს სარჩელით, რომლითაც მოითხოვა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის დეკემბრის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის და თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 19 დეკემბრის №7/2-459 ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

6.13. თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით თ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის დეკემბერში გამოცემული ბრძანება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმის შესახებ, თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 19 დეკემბრის №7/2-459 ბრძანება და თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სამსახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მაისის განჩინებით.

6.14. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, კანონიერ ძალში შესული თელავის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2014 წლის 29 აპრილს გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – №7/2-157 ბრძანება თ. გ-ის სამსახურში აღდგენაზე უარის თქმის შესახებ. ბრძანებას საფუძვლად დაედო თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის და თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ზ. ლ-ის 2014 წლის 28 აპრილის მოხსენებითი ბარათები, რომელთა თანახმადაც „სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, განმეორებით შესწავლილი იქნა თ. გ-ის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ადმინისტრაციული წარმოების მასალები და გამოირკვა, რომ მისი განთავისუფლების მომენტში არ ყოფილა სამართლებრივი გადაცდომა. ამასთან, სასამართლოს გამგეობისათვის არ დაუვალებია თ. გ-

ის სამსახურში აღდგენა. თელავის მუნიციპალიტეტის გამგებ-ლის 2013 წლის 20 ნოემბრის №7/1-398 ბრძანებით გამგეობის ... სამსახურში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე დროები-თი მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ე. ა-ი, რომელიც მა-ნამდე მუშაობდა შსს თელავის რაიონულ სამმართველოში, ჰქონდა დიდი გამოცდილება, ხასიათდება დადგებითად. ე. ა-ის დანიშვნის შემდეგ გამგეობის მიერ არაერთხელ იქნა შეთავა-ზებული თ. გ-ისათვის სამსახურში მოწყობა, მაგრამ იგი უარს აცხადებს და ითხოვს ყოფილ სამსახურში აღდგენას, რაც შე-უძლებელია, რადგან იგი უკანონოდ არ ყოფილა სამსახურიდან გათავისუფლებული".

6.15. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ 2014 წლის 23 მაისს თელავის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა თ. გ-მა, რომლითაც მოითხოვა თელავის მუნიციპალიტეტის გამ-გეობის 2014 წლის 29 აპრილის №7/2-157 ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება. თე-ლავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 13 ოქტომბრის გა-დაწყეტილებით თ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი თე-ლავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 29 აპრილის ბრძანება №7/2-157 და თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-თლებრივი აქტი; სამსახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზ-ღაურების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

6.16. კანონიერ ძალაში შესული თელავის რაიონული სასამარ-თლოს 2014 წლის 21 მაისის გადაწყვეტილების საფუძველზე თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობაშ 2015 წლის 15 ივნისს გამოსცა ინდივიდუალური ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივი აქტი – №639 ბრძანება თ. გ-ის სამსა-ხურში აღდგენაზე უარის თქმის შესახებ. მითითებული ბრძა-ნების გამოცემას საფუძვლად დაედო თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახუ-რის უფროსის და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპა-ლიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბა-რათები.

7. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, პროცესუალუ-რი ეკონომიკის მიზნით, დაუშვებელია, ერთსა და იმავე საკით-ხზე რამდენჯერმე იქნეს გამოყენებული საქართველოს ადმი-ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და სადაც საკითხის გადაუწყვეტლად რამდენჯერმე დაევა-

ლოს ადმინისტრაციულ ორგანოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების ხელახალი შესწავლა და გამოკვლევა. თუ სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სადაც საკითხის გადაწყვეტილად, ბათილად ცნობს გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ აქტებს, ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების ხელახლა შესწავლას და გამოკვლევას, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანო არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს სასამართლოს დავალებას და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების ხელახალი შესწავლა-გამოკვლევის გარეშე იღებს სადაც საკითხზე პრაქტიკულად იმავე გადაწყვეტილებას, მაშინ სასამართლომ აღარ უნდა გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი მოთხოვნა და საქმეზე თავად უნდა მიიღოს არსებითი გადაწყვეტილება სარჩელის დაკამაყოფილების ან დაკამაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

8. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, თუ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეასრულა კანონიერ ძალაში შესული ორი სასამართლო გადაწყვეტილება და არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, მაშინ რაიონულ სასამართლოს მესამედ აღარ უნდა მიეღო გადაწყვეტილება ისევ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, არამედ არსებითად უნდა განხეხილა სადაც საკითხი – თ. გ-ის მოთხოვნა სამსახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების თაობაზე და საქმის არსებითად განხილვის შემდეგ უნდა მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკამაყოფილების ან დაკამაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

9. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

10. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგება საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმის ნარმოება უნდა შეწყვიტოს, ვინაიდან თელავის მუნიციპალიტეტის გამგება აღარ არსებობს, ხოლო თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგება მისი სამართალმემკვიდრე არ არის. 2014 წლის 2 აგვიტოს მოხდა თელავის მუნიციპალიტეტის გამგების ლიკვიდაცია, რომლის ბაზაზე შეიქმნა ორი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტე-

ტი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის შესაბამისად, გაუქმებული მუნიციპალიტეტის შტატით გათვალისწინებულმა ყველა საჯარო მოხელემ აიღო 2 თვის თანამდებობრივი სარგო. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტებში – თვითმმართველ ქალაქსა და თვითმმართველ თემში. მე-2 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ქალაქი არის ქალაქის კატეგორიის დასახლება, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი, მე-3 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი თემი არის რამდენიმე დასახლების ერთობლიობა, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია, რომ თვითმმართველი ქალაქის სტატუსი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 2005 წლის საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებული აქვთ და ამ კანონით ენიჭებათ ქალაქებს: თბილისს, რუსთავს, ქუთაისს, ფოთს, ბათუმს, თელავს, ოზურგეთს, ზუგდიდს, გორს, ამბროლაურს, მცხეთას და ახალციხეს. მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ მუნიციპალიტეტის (გარდა თვითმმართველი ქალაქისა) ადმინისტრაციულ ცენტრად განისაზღვრება 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგ არჩევნებამდე არსებული მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი. მე-3 ნაწილით დადგენილია, რომ ამ კანონის 152-ე მუხლის საფუძველზე შექმნილი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრები განისაზღვრება ამ კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად. თელავის მუნიციპალიტეტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ სამართლებრივ აქტებში არსად არ არის ნახსენები სამართლებრივი დოკუმენტის/უფლებამონაცვლეობის საკითხი, თუ რომელი მუნიციპალიტეტია უკვე გაუქმებული თელავის მუნიციპალიტეტის სამართლებრივი დოკუმენტი. ან/და უფლებამონაცვლე. გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელია, ვინაიდან თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის – როგორც თვითმმართველი ერთეულის რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მოხდა 2014 წლის 12 აგვისტოს, მიენიჭა ახალი საიდენტიფიკაციო კოდი და ხელახლა მოხდა ბანკში ანგარიში გახსნა.

11. თ. გ-ი საკასაციო საჩიგარში მიუთითებს, რომ 2013 წლიდან დავობს სასამართლო წესით, მაგრამ არც ერთ სასამარ-

თლოს არ მიუღია გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. სააპელაციო სასამართლო მიუთითებს პროცესუალური ეკონომიის პრინციპზე, მაგრამ თავად უფლებელყოფს ამ პრინციპს. სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია, რატომ იყო აუცილებელი საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

12. კასატორის მტკიცებით, ადმინისტრაციული ორგანოს გასაჩივრებული აქტები სცდება დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებს. ადმინისტრაციული ორგანოს შიდგომა დისკრიმინაციულია, ვინაიდან არ ხდება სამსახურში აღდგენაზე უარის თქმის მიზეზების დასაბუთება. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები საკმარისი იყოთ. გ-ის სარჩელის დასაკმაყოფილებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

13. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და თ. გ-ის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

14. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მტკიცებას, რომ ეს უკანასკნელი არ არის თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამონაცვლება და თ. გ-ის სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება ვერ აღსრულდება.

15. 2014 წლის 2 აგვიტოს მოხდა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ლიკვიდაცია, რომლის ბაზაზე შეიქმნა ორი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი. მართალია, შესაბამისი დოკუმენტებით არ არის განსაზღვრული უფლებამონაცვლეობის საკითხი, მაგრამ საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს ფაქტი არ წარმოადგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების აღსრულების არიდების საშუალებას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უფლებამონაცვლეობის საკითხი უნდა გადაწყვდეს „მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დაგენილებით განსაზღვრული ზოგადი პრინციპების შესაბამისად.

„წესის“ მე-4 მუხლი შეეხება ვალდებულებების განაწილების წესს. აღნიშნული მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები შეეხება უფლებამონაცვლეობის დადგენის წესს უძრავ ქონებასა და მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე, მე-3 პუნქტის თანახმად კი, გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სხვა ვალდებულებების უფლებამონაცვლეს წარმოადგენს ახალი მუნიციპალიტეტი – თვითმმართველი თემი, თუ შეუძლებელია უფლებამონაცვლის განსაზღვრა, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თვითმმართველობის მოხელეთა შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხებზე უფლებამონაცვლეობა ამ წესის შესაბამისად უნდა გადაწყდეს.

16. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

17. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევითაა განხილული, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი აქვს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი.

18. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ზემომითითებული ნორმა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლი არ გულისხმობს, რომ სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუბრუნოს ყოველთვის, როდესაც აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია. ასეთი მიდგომა ენინააღმდეგება რაციონალური მართლმსაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიკის პრინციპებს.

19. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ, მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასა-

მართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, ამასთან, მიიჩნევს, რომ გასახივრებული განჩინებით არ არის დასაბუთებული, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის დაბრუნების აუცილებლობა.

20. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თავად რეალურად გაუჭირდება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე შესრულებული წარმოების გაგრძელება, ფაქტობრივი გარემოებების დადგენა ან პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე ისეთი პროცესუალური დარღვევებით განიხილა, რისი გამოსწორებაც სააპელაციო ინსტანციაში შეუძლებელია ან კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით მართლაც მიზანშეწონილია საქმის დაბრუნება.

21. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის გონივრულ ვადაში, ეფექტიანად განხილვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი ასპექტია (იხ. მაგ. AFFAIRE KIDZINIDZE c. GEORGIE, §39). საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმის განხილვის ვადების დაცვის გარდა, აუცილებელია, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გამოყენებული ვადა იყოს გონივრული. საქმის განხილვის ვადის გონივრულობის შეფასებისას სასამართლოს მიერ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რამდენიმე ობიექტური კრიტერიუმი, მათ შორის საქმის სირთულე, მოდავე მხარეების და შესაბამისი კომპეტენტური უწყებების ჩართულობა, ასევე საქმის განხილვის შედეგი დაინტერესებული მხარეებისათვის (იხ. AFFAIRE KØ I Ž. RÉPUBLIQUE TCHEQUE, §72).

22. სამართლიანი სასამართლოს უფლებით დადგენილი სტანდარტის ჭრილში, სსსკ-ის 394-ე მუხლით გათვალისწინებული, სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლების განხილვა, თვალსაჩინოს ხდის, რომ რამდენიმე მათგანი, კერძოდ: а) საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობაში; ბ) სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით

იყო გათვალისწინებული; გ) გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც უწყებრივად სასამართლოს არ ექვემდებარება; დ) გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯარობის წესები; ე) გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნული; ვ) გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლების მიერ, რომლებიც საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ; ზ) საქმეში არ არის სასამართლოს სხდომის ოქმი – პირდაპირ გამომდინარეობს მართლმსაჯულების სწორად განხორციელების პრინციპიდან, მათ შორის, საქმის განხილვაში მხარის მონაწილეობის და სამართლიანი და საჯარო განხილვის ფუნდამენტური უფლებიდან და ქმნის იმ შემთხვევას, როდესაც ცალსახაა, რომ საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმ სასამართლოს, სადაც მოხდა აღნიშნული დარღვევა.

23. თუმცა სსსკ-ის 394-ე მუხლით გათვალისწინებული კიდევ ორი საფუძველი, კერძოდ: ა) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საქმარისად დასაბუთებული; და ბ) გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია – წარმოადგენს ისეთ საფუძვლებს, რომლებიც, საკასაციო სასამართლოს აზრით, იძლევა სსსკ-ის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებების სრულყოფილი ანალიზის შედეგად და სამართლიან სასამართლოს უფლების ჭრილში, საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების მართებულობა-არამართებულობის შეფასების საშუალებას.

24. სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის საქმის უკან დაბრუნების მართებულობის შეფასებისას, სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს: (1) რა პროცესუალური გარემოებები მიუთითებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის უკან დაბრუნებაზე; (2) ამ გარემოებების გათვალისწინებით, რამდენად მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება, და (3) ხომ არ გამოიწვევს ეს საქმის უსაფუძვლოდ გაჭიანურებას.

25. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამონშებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. მითითებული ნორმით განსაზღვრულია რა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის ზუსტი ფარგლები, კანონმდებელი ამ ფარგლებში სააპელაციო სასამართლოს ფაქ-

ტობრივი გარემოების დადგენისა და მტკიცებულებათა შეფა-  
სების მიზნით, რაიმე შეზღუდვას არ უწესებს, უფრო მეტიც, ამ  
ინსტანციის სასამართლოში, გარკვეული გამონაკლისების გათ-  
ვალისწინებით (სსსკ 380-ე მუხლი) დასაშვებია ახალი მტკიცე-  
ბულების მიღება.

26. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ,  
განსახილვებს შემთხვევაში, საპელაციო სასამართლომ დავის  
გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებე-  
ბი დაადგინა (იხ. აღნერილობითი ნაწილის 6.1-6.16 პუნქტები),  
ამასთან, გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებული არ არის,  
პირველი ინსტანციის სასამართლომ რა ფაქტობრივი გარემოე-  
ბები უნდა დაადგინოს ან რომელი საპროცესო მოქმედება უნ-  
და შეასრულოს დავის გადაწყვეტის მიზნით. სააპელაციო სასა-  
მართლოს გადაწყვეტილება საქმის ხელახლა განსახილველად  
დაბრუნების თაობაზე გამყარებულია მხოლოდ იმ მოსაზრებით,  
რომ თუ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეასრულა  
კანონიერ ძალაში შესული ორი სასამართლო გადაწყვეტილება  
და არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქო-  
ნე გარემოები, მაშინ რაიონულ სასამართლოს მესამედ აღარ  
უნდა მიეღო გადაწყვეტილება ისევ საქართველოს ადმინისტრა-  
ციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის სა-  
ფუძველზე.

27. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასა-  
მართლოს, რომ მოცემულ დავასთან მიმართებით ადმინისტრა-  
ციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამო-  
ყენება არაგონივრულია და სასამართლომ თავად უნდა მიიღოს  
გადაწყვეტილება თ. გ-ის სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყო-  
ფილება-არდაკმაყოფილების თაობაზე, მაგრამ სააპელაციო სა-  
სამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დამაბრკოლებელ  
გარემოებებსა და საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში  
დაბრუნების აუცილებლობას ვერ ხედავს.

28. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სააპელაციო სასამარ-  
თლომ დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოებე-  
ბის დიდი ნაწილი დადგენილად მიიჩნია, ამასთან, საპროცესო  
კანონმდებლობა არ ზღუდავს სააპელაციო სასამართლოს, გა-  
მოკვლიოს მტკიცებულებები, ისარგებლოს ადმინისტრაციუ-  
ლი საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით გათვალისწინებული შე-  
საძლებლობებით (ბუნებრივია, საჭიროების შემთხვევაში), და-  
ადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივად შეაფა-  
სოს და შესაბამისი სუბსუმციის გზით მიიღოს გადაწყვეტილე-  
ბა სადავო საკითხზე, ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩ-

ნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, გარემოებები, რომლებიც სა-აპელაციო სასამართლომ საქმის უკან დაბრუნების საფუძვლად დაუდო, არ განეკუთვნება იმგვარ ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებს, რაც სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას ართმევდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, თავად გადაეწყვიტა საქმე და არ დაებრუნებინა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ხე-ლახლა განსახილველად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ადგინდეთ:**

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამ-გეობის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. თ. გ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-დეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-ტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ოქტომბრის განჩი-ნება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

## სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირების გამო

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-166-165(კ-16)

14 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 24 მარტს ნ. გ-ამ სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - ქ. თბილისის საკრებულოს მი-  
მართ.

მოსარჩელემ ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის  
მოადგილის - ნ. გ-ას განთავისუფლების შესახებ ქ. თბილისის  
საკრებულოს აპარატის უფროსის 2013 წლის 17 სექტემბრის  
№703 განკარგულების ბათილად ცნობა, მოპასუხისათვის მისი  
სამსახურში აღდგენის თაობაზე ახალი ინდივიდუალურ ადმინის-  
ტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება და იძუ-  
ლებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება მოთხოვა.

მოსარჩელის მტკიცებით, მისი დაკავებული თანამდებობი-  
დან განთავისუფლება კანონისაწინააღმდეგო იყო, რადგან მიუ-  
ხედავად აპარატის უფროსის მოადგილების შტატების ერთი  
ერთეულით შემცირებისა (სამი საშტატო ერთეულის ნაცვლად  
დარჩა მოადგილის ორი შტატი), მისი განათლების (ცენზის, პრო-  
ფესიული მომზადების დონისა და სამსახურებრივი საქმიანო-  
ბის ხასითის გათვალისწინებით მას კოლეგიანი (ორ სხვა მო-  
ადგილესთან) შედარებით აშკარა უპირატესობა გააჩნდა.

მოსარჩელის მითითებით, იმისათვის, რომ შეექმნათ მისი  
განთავისუფლების ფორმალური საფუძველი, „ქ. თბილისის საკ-  
რებულოს აპარატის უფროსის მოადგილეებს შორის ფუნქცია-  
თა გადანაწილების შესახებ ქ. თბილისის საკრებულოს აპარა-  
ტის უფროსის 2009 წლის 25 მაისის №73 განკარგულებაში ცვლი-

ლებების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს აპარატის უფროსის 2013 წლის 16 სექტემბრის №667 განკარგულებით მისი საკურატორ სფეროები გადანაწილდა აპარატის უფროსის დანარჩენ თრ მოადგილეს შორის, რამაც მისი უფუნქციოდ დარჩენა გამოიწვია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით 6. გას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი 6. გ-ას განთავისუფლების შესახებ ქ. თბილისის საკრებულოს 2013 წლის 17 სექტემბრის №703 განკარგულება და მოპასუხე ქ. თბილისის საკრებულოს მოსარჩელის საქმესთან დაკავშირებით გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში და წესით, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; მოსარჩელეს უარი ეთქვა სამსახურში აღდგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცილ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 23 დეკემბრის განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 23 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ივნისის განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 23

დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის 2008 წლის 13 აგვისტოს №796 განკარგულებით 6. გ-ა დაინიშნა ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე.

ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 16 აგვისტოს №68 განკარგულების (ქ. თბილისის საკრებულოს აპარატში სტრუქტურული რეორგანიზაციის დაწყების, სტრუქტურული ერთეულის/ერთეულების შესაძლო გაუქმების, შერწყმის, შექმნისა და სამტატო ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობათა შესაძლო შემცირების შესახებ) თანახმად, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 97-ე და 108-ე მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის, ქ. თბილისის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის №2-14 გადაწყვეტილების 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „პ“ ქვეპუნქტების, ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 13 ოქტომბრის №1-4 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამტკიცებული №1 დანართის პირველი მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატში დაიწყო სტრუქტურული რეორგანიზაცია და ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის სტრუქტურული რეორგანიზაციის, სტრუქტურული ერთეულის/ერთეულების შესაძლო გაუქმების, შერწყმის, შექმნის და სამტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობათა შესაძლო შემცირებისა და სამსახურიდან მოსალოდნელ გათავისუფლებასთან დაკავშირებით დაევალა ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსს უზრუნველყოფით ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურე-

თა გაფრთხილება და ამ განკარგულების თვალსაჩინოდ განთავსება ქალაქ თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატში დასაქმებული ყველა მოსამსახურისათვის საჯაროდ გაცნობის მიზნით, ასევე საკრებულოს აპარატის უფროსს დაევალა უზრუნველყოფის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების გატარება.

2013 წლის 26 აგვისტოს, ქალაქ თბილისის საკრებულოს № 117 დადგენილების თანახმად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის საკრებულომ დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 28 დეკემბრის № 72 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდა თანდართული რედაქციით.

2013 წლის 26 აგვისტოს № 117 დადგენილებით დამტკიცებული დანართის თანახმად, ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა განისაზღვრა შემდეგნაირად: აპარატის უფროსი – 1 საშტატო ერთეული, აპარატის უფროსის მოადგილე – 3 საშტატო ერთეული, ჯამში – 4 საშტატო ერთეული.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩევე ნ. გ-ა „ქ. თბილისის საკრებულოს აპარატში სტრუქტურული რეორგანიზაციის დაწყების, სტრუქტურული ერთეულის/ერთეულების შესაძლო გაუქმების, შერწყმის, შექმნის და საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობათა შესაძლო შემცირების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის განკარგულებას გაეცნო 2013 წლის 16 აგვისტოს.

ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 17 სექტემბრის № 127 დადგენილებით ცვლილება შევიდა „ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 28 დეკემბრის № 72 დადგენილებაში და დამტკიცდა საშტატო ნუსხა, რომლითაც ქ. თბილისის საკრებულოს საშტატო ერთეული განისაზღვრა 210 ერთეულით, მათ შორის, აპარატის უფროსის მოადგილები შემცირდა ერთით და ნაცვლად 3 მოადგილისა განისაზღვრა 2 საშტატო ერთეული.

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის 2013 წლის 17 სექტემბრის № 703 განკარგულებით ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე ნ. გ-ა 2013 წლის 17

სექტემბრიდან განთავისუფლდა სამსახურიდან და კომპენსაციის სახით მიეცა 2 თვის თანამდებობრივი სარგო, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, 109-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტაციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ხოლო აპელანტის მიერ ვერ იქნა გაბათილებული გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნები.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონსტიტუციით გარანტირებულია რა შრომის უფლება, ასევე ითვალისწინებს რა, რომ კერძო სამართლებრივი ურთიერთობებისგან განსხვავებით, საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციულ ორგანოსა და საჯარო მოსამსახურეს სამართლებრივი ურთიერთობა ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვერტიკალური ხასიათის მატარებელია, სათუთა რეორგანიზაციის შედეგად პირის გათავისუფლება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებიდან, ამიტომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს მყარ არგუმენტებს და ან უკვე ყოფილ და თუნდაც რეორგანიზაციის შედეგად დასაქმებულ მოხელეს, სულმცირე უნდა უტოვებდეს იმის განცდას, რომ საკრებულომ, უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, მასთან მიმართებაში გაითვალისწინა და შეაჯამა მისი როგორც პროფესიული, ასევე პიროვნული უნარ-ჩვევები, რასაც მოცემულ შემთხვევაში თბილისის საკრებულოს მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სადავო განკარგულების (გათავისუფლების შესახებ) გამოცემისას სამართლებრივ საფუძვლებზე, კერძოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტებზე, აღნიშნული კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტზე, 109-ე მუხლის პირველი პუნქტზე და „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტზე და განმარტა შემდეგი:

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრებულო ითვლება ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებუ-

ლების საჯარო სამსახურად, მაშასადამე მასზე მოქმედებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრინციპები, საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივი საფუძვლები, კანონით განსაზღვრული მოსამსახურის სამართლებრივი მდგომარეობის მომწერიგებელი ნორმები; აღნიშნული კანონის 96-ე მუხლის თანახმად, მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან დაწესებულების ლიკვიდაციის გამო; მაგრამ დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციის თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება განთავისუფლედეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე; კერძოდ, მოხელე შეიძლება გაანთავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას, მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გათვალისწინების ვადის გასვლიდან პირველივე დღეს; ამავე კანონის 108-ე მუხლის მიხედვით კი მოხელეს 1 თვით ადრე უნდა ეცნობოს დაწესებულების ლიკვიდაციის, თანამდებობის შემცირების ან ატესტაციის არადამატაყოფილებელი შედეგების გამო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ საკრებულოს აპარატში ადგილი ჰქონდა რეორგანიზაციის ფაქტს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს; ადმინისტრაციულ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით; ქალაქ თბილისის საკრებულოს 2013 წლის 17 სექტემბრის №127 დადგენილების თანახმად, იგი ძალაში შევიდა ხელმოწერისთანავე.

სადაც ურთიერთობის დროს მოქმედი „საქართველოს დეაქალაქის-თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის №2-14 გადაწყვეტილების „ქალაქ თბილისის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 52-ე მუხლის თანახმად, საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა ქალაქ თბილისის თავმჯდომარის ინი-

ციატივით. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეული 2013 წლის 17 სექტემბერს მოიწვია ქალაქ თბილისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, სადაც დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად განისაზღვრა ცვლილება ქალაქ თბილისის აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ საკრებულოს დადგენილებაში, რასაც მოჰყვა საკრებულოს აპარატში საშტატო ერთეულის რაოდენობის განსაზღვრა 210 საშტატო ერთეულით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, სადაც განმარტებულია, რომ დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტრესების დაცვის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ამდენად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს დისკრეციული უფლებამოსილების რეალიზების დროს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის დაცვა, რომლის შინაარსი მდგომარეობს საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერ განვითარებასა და მათ მართლზომიერ დაბალნებაში. ამასთან, დაუშვებელია სხვა ნებისმიერი ორგანიზაციული მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, რასაც შეიძლება საბოლოო ჯამში შედეგად მოჰყვეს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოსათვის მინიჭებული თავისუფალი მოქმედების შეზღუდვა და აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებაში მისთვის დაბრკოლების შექმნა. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, რამდენადაც როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური თვალსაზრისით სახეზე არ არის ქალაქ თბილისის საკრებულოს 2013 წლის 17 სექტემბრის №127 დადგენილების გაუქმების საფუძვლები, ქალაქ თბილისის საკრებულოში 2013 წლის 16 აგვისტოს №68 განკარგულებით დაწყებული რეორგანიზაციის შედეგად სახეზეა ქალაქ თბილისის საკრებულოს მხრიდან მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების

განხორციელების საფუძველი, ასეთ ვითარებაში კი, სასამართლოს კონტროლი მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად კანონიერად იქნა გამოტანილი ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის 17 სექტემბრის №703 განკარგულება ნ. გ-ას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლო უფლებამოსილი არ არის, ჩაერიოს თბილისის საკრებულოს არჩევანში, რაც დაკავშირებულია შესაბამისი ორგანოს დისკრეციის მიკუთვნებულ ისეთ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებასთან, როგორიც არის ვაკანტურ საშტატო ერთეულზე ამა თუ იმ პირის დანიშვნა, რამეთუ მხოლოდ შესაბამისი თანამდებობის პირისა და ორგანოს გადასაწყვეტია ვაკანტურ თანამდებობაზე ამა თუ იმ პირის მიღება და დანიშვნა. მაგრამ აღნიშნული მსჯელობა არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით მიღებულია რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის ფარგლებში, არ უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, პირიქით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომელიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს; აქტის დასაბუთებისას მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წინამდვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი; ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გადაწყვეტილებების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკენა, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის იმ გარემოების დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ შტატების შემცირების მოტივით მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ განკარგულების გამოცემისას გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები მოხელეების კვალიფიკაციის, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და რეორგანიზაციამდე შრომის დისციპლინისადმი თითოეული მათგანის და-

მოკიდებულების შესახებ და მხოლოდ ყველა ამ მონაცემის ურთიერთშედარების და ანალიზის პირობებში, უკეთესის/საუკეთესოს, უპირატესის ამორჩევის პრინციპზე დაყრდნობით, მიიღო გადაწყვეტილება ცალკეულ მოხელეთა განთავისუფლებისთვის სამსახურში დატოვებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ აქტის გამოცემის დროისათვის აპარატის უფროსმა მიიღო გადაწყვეტილება იმ მოადგილის გათავისუფლების თაობაზე, რომელსაც იმ დროისათვის ყველაზე ნაკლები დატვირთვა ჰქონდა, ამასთან, რეორგანიზაციის შემდეგ, ნ. გ-ას აღარ ჰქონდა საკურატორო სფერო, აღნიშნული ვერ გახდებოდა რეორგანიზაციის შედეგად ნ. გ-ას სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი, რადგან რეორგანიზაციის დროს მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება ვერ მოხდება, რეორგანიზაციამდე მცირე ხნით ადრე მისთვის დაკისრებული მოვალეობების ხელოვნურად შემცირება. რეორგანიზაციის პროცესი არ უნდა გაიგივდეს ლიკვიდაციის პროცესთან, როცა სრულად ხდება სამსახურების გაუქმება. პალატამ განმარტა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მარაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტამდე, ანუ სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია აღრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში, ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს, რა არგუმენტებით დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა აადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშენონილობის გადამოწმების პროცესს.

შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, რომ არჩევანის გასაკეთებლად, ანუ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მისაღებად, მოხელეთა უპირატესობების გამოვლე-

ნის მიზნით ჩატაროს სხვა საჯარო მოხელებისა და მოსარჩეულების კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შედარებითი (ანალიტიკური) კვლევა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იმისთვის, რომ შემოწმდეს შეზღუდვის კანონიერება, ლეგიტიმურობა, შეზღუდვა უნდა იყოს დასაბუთებული; დასაბუთების ფაქტორი გადამწყვეტი როლს თამაშობს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული აქტის კანონიერების შემოწმებისას, რადგან დასაბუთება იძლევა ამ აქტში გამოხატული ადმინისტრაციული ორგანოს შემზღუდველი ხსიათის გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობის შემოწმების აპსოლუტურ საფუძველს; თუ აქტიდან გამომდინარე შეზღუდვა (ანუ თავად აქტი) სრულიად დაუსაბუთებელია, ითვლება, რომ აქტი უკანონოა, რადგან იგი ენინააღმდეგება პროცედურულ ნორმას – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილს, აგრეთვე მატერიალური სამართლის ნორმებს – „საჯარო სამსახურის მესახებ“ კანონის 96-ე, 97-ე მუხლებს; თუ აქტის დასაბუთებაზე არ ზრუნავს თავად აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, მის ნაცვლად ამ ვალდებულებას სხვა სუბიექტი ვერ შეასრულებს; დასაბუთების გარეშე აქტის გამოცემის პირობებში ადმინისტრაციული ორგანო კარგავს მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობის, კანონიერების მტკიცების, ხოლო დავის გადამწყვეტი ორგანო – სასამართლო ასეთი აქტის კანონიერების შემოწმების შესაძლებლობას. ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციის ფარგლებში ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სადავო ბრძანება გამოცემულია საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე დარამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ნარმოების ჩატარების დროს საქმის ფაქტორივი გარემოებები არ იქნა გამოკვლეული ჯეროვნად, შესაბამისად, სამსახურებრივი მოკვლევა ჩატარებულია არასრულყოფილად. საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ჩატარა ადმინისტრაციული ნარმოება მოსარჩელის საქმიანობასა და უნარ-ჩვევებთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მართებულად იქნა გამოყენებული საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლი, რამდენადაც ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულ იქნა საქმის გარემოებათა და შეფასების გარეშე, ასევე, არსებითად არის დარღვეული მისი მომზადების კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს; შესაბამისად, საკითხის ხელახალი განხილვისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო სრულფასოვნად გამოყენებინა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილება და ადმინისტრაციული წარმოებისას გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიეღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე; სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პპელანტმა ისე გამოსცა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, რომ ობიექტურად არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები და საკითხის გადაწყვეტილებისას დაეყრდნო მხოლოდ 2013 წლის 16 აგვისტოს №68 განკარგულებასა და 2013 წლის 17 სექტემბრის №127 დაგენილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის განჩინება საკასაციონ წესით გაასაჩინოა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკასაციოსად დასაბუთებული და დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემონმება შეუძლებელია; სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდენილ მტკიცებულებებს და არასწორად განმარტა კანონი.

კასატორის მითითებით, სადავო აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. აპარატის უფროსმა გადაწყვეტილება მიიღო იმ მოადგილის განთავისუფლების თაობაზე, რომელსაც იმ დროისათვის ყველაზე ნაკლები დატვირთვა ჰქონდა. ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის 2009 წლის 25 მაისის №73 განკარგულებაში შევიდა ცვლილება და თავიდან გადანაწილდა მოადგილეებს შორის ფუნქციები და მოადგილეებს განესაზღვრათ საკურატორო სფეროები. სადავო აქტის გამოცე-

მის მომენტისათვის 6. გ-ას საკურატოროდ აღარ ჰქონდა არც ერთი განყოფილება.

კასატორის მითითებით, საპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საკასაციო სასამართლოს მითითებები. ამასთან, ეჭვქვეშ დააყენა ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის 2013 წლის 16 სექტემბრის №677 განკარგულება, რომლითაც ცვლილება შევიდა „ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილებს შორის ფუნქციათა გადანაწილების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის 2009 წლის 25 მაისის №73 განკარგულებაში. საპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება, სადაც სადავო იყო სწორედ აღნიშნული განკარგულება.

კასატორის მითითებით, არ არსებობს სადავო აქტის ბათილობის საფუძვლები. სასამართლომ ვერ დაასაბუთა, თუ რომელ კანონს ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული აქტი. სასამართლოს არ მიუთითებია კონკრეტულად რა გარემოებები არ იყო გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რომლის გამოკვლევისა და დადგენის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება. არც საქალაქო და არც საპელაციო სასამართლოებს არ შეუსწავლიათ და სამართლებრივი შეფასება არ მიუციათ საქმეში წარმოდგენილ ადმინისტრაციული წარმოების მასალებისათვის.

კასატორი მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ჩატარებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება, გამოკვლეულ და შესწავლილ იქნა საქმეში არსებული მტკიცებულებები და სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეფუძნება სწორედ საქმის მასალებში დაცულ მტკიცებულებებს და ამ მტკიცებულებებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ივნისის განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა

დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკა-საციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შე-დეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრე-ბულოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასა-მართლო არასწორად მიუდგა სადავო საკითხს და არასათანა-დო სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკი-ცებულებებს; სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალების ობიექტური შე-ფასებიდან.

განსახილველი დავის საგანს ქ. თბილისის საკრებულოს აპა-რატის უფროსის მოადგილის – ნ. გ-ას განთავისუფლების შესა-ხებ ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის 2013 წლის 17 სექტემბრის №703 განკარგულების კანონიერების დადგენა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურე-ბა ნარმოადგენს.

საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 17 ივნისის გადაწყვე-ტილებით ნ. გ-ას სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ და სა-ქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სადავო საკითხის გადაუწ-ყვეტლად ბათილად ცნო ნ. გ-ას განთავისუფლების შესახებ ქ. თბილისის საკრებულოს 2013 წლის 17 სექტემბრის №703 გან-კარგულება და მოპასუხე ქ. თბილისის საკრებულოს მოსარჩე-ლის საქმესთან დაკავშირებით გარემოებებისა გამოკლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში და წესით, ახა-ლი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაავალა; მოსარჩელეს უარი ეთქვა სამსახურში აღ-დგენასა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე. აღნიშ-ნული გადაწყვეტილება გაიზიარა და უცვლელად დატოვა საა-პლაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო მიუთითებს სა-ქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა პალატის 2015 წლის 25 ივნისის განჩინებაზე, რომლითაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივა-რი დაქმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპლა-ციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 23 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილვე-

საკასაციონ სასამართლომ არ გაიზიარა სააქელაციო სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, კანონით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში, სადაც აქტის გამოცემა, ისე რომ შტატების შემცირების მოტივით მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ განკარგულების გამოცემისას გამოკვლეული არ იქნა ფაქტობრივი გარემოებები მოხველების კვალიფიკაციის, პროფესიული უნან-ჩვევებისა და რეორგანიზაციამდე შრომის დისციპლინისადმი თითოეული მათგანის დამოკიდებულების შესახებ, რადგან საქმეს მტკიცებულების სახით თან ერთვოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალები და სხვა მტკიცებულებები.

ბაზე, რასაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიუ-  
თითებდა, კერძოდ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებუ-  
ლოს პოზიციაზე, რომ აქტის გამოცემის მომენტისათვის პა-  
რატის უფროსმა გადაწყვეტილება მიიღო იმ მოადგილის გან-  
თავისუფლების თაობაზე, რომელსაც იმ დროისათვის ყველაზე  
ნაკლები დატვირთვა ჰქონდა, ამასთან, რეორგანიზაციის შემ-  
დეგ 6. გ-ას აღარ ჰქონდა საკურატორო სფერო.

აღნიშნულის მიუხედავად, ნაცვლად იმისა, რომ საქმეში წარ-  
მოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე სააპელაციო სა-  
სამართლოს თავად მიეღო გადაწყვეტილება, კვლავ გაიზიარა  
საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს ად-  
მინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნა-  
წილის გამოყენების თაობაზე და უცვლელად დატოვა საქალა-  
ქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობდა ქვე-  
და ინსტანციის სასამართლოების მიერ საქართველოს ადმინის-  
ტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის  
გამოყენების წინაპირობები. საკასაციო სასამართლო კვლავ მი-  
უთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კო-  
დექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულ პროცესუა-  
ლურ შესაძლებლობაზე და განშარტავს, რომ აღნიშნული ნორ-  
მის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალუ-  
რი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქ-  
მისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლე-  
ვის და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკით-  
ხის გადაუწყვეტილად ბათილად ცნოს იგი და დაავალოს ადმი-  
ნისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შე-  
ფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს თუ  
ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბა-  
თილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონი-  
ერი ინტერესი.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქარ-  
თველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხ-  
ლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მა-  
შინ, როდესაც სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტორივი  
გარემოებების დადგენა და შეფასება, შესაბამისად შეუძლებე-  
ლი ხდება სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კო-  
დექსის 32.4 მუხლს სასამართლო იმ შემთხვევაშიც იყენებს, რო-

დესაც აშკარაა და სასამართლოს დასაბუთებიდან ცალსახად გამომდინარეობს ადმინისტრაციული აქტის უკანონობა და დარღვეული უფლებების ფაქტი, მაგრამ იმის გამო, რომ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს და სასამართლო კომიტეტის საცილდება დისკრეციას მიკუთხნებულ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, სასამართლო ეყრდნობა 32.4 მუხლს და ადმინისტრაციულ ორგანოს უტოვებს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით განსაზღვრული პროცესუალური შესაძლებლობა ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებულ მმართველობის კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის სრულფასოვან რეალიზაციას და მართლმსაჯულების ეფექტიან განხორციელებას.

საკავაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე დაგის გადაწყვეტილისათვის დადგენილია საკმარისი ფაქტობრივი გარემოებები, საქმეში არსებული მტკიცებულებები საკმარის საფუძველს იძლევა სადავო ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილის – ნ. გ-ას განთავისუფლების შესახებ ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის 2013 წლის 17 სექტემბრის №703 განკარგულების სამართლებრივი საფუძვლის გასარკვევად, შესაბამისად, სახეზე არ არის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენების ნინაპირობა.

დადგენილია, რომ ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 16 აგვისტოს №68 განკარგულებით ქ. თბილისის საკრებულოს აპარატში დაიწყო სტრუქტურული რეორგანიზაცია. ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელე ნ. გ-ა „ქ. თბილისის საკრებულოს აპარატში სტრუქტურული რეორგანიზაციის დაწყების, სტრუქტურული ერთეულის/ერთეულების შესაძლო გაუქმების, შერწყმის, შექმნის და საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობათა შესაძლო შემცირების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის განკარგულებას გაეცნო 2013 წლის 16 აგვისტოს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნ. გ-ას განთავისუფლებამდე ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 17 სექტემბრის №127 დადგენილებით ცვლილება შევიდა „ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 28 დეკემბრის №72 დადგენილებაში და დამტკიცდა საშტატო ნუსხა, რომ-

ლითაც ქ. თბილისის საკრებულოს საშტატო ერთეული განისაზღვრა 210 ერთეულით, მათ შორის, აპარატის უფროსის მოადგილები შემცირდა ერთით და ნაცვლად 3 მოადგილისა განისაზღვრა 2 საშტატო ერთეული.

ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის 2013 წლის 17 სექტემბრის №703 განკარგულებით ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე ნ. გ-ა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, 109-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, 2013 წლის 17 სექტემბრიდან განთავისუფლდა სამსახურიდან და კომპენსაციის სახით მიეცა 2 თვის თანამდებობრივი სარგო.

უდავოდ დადგენილია ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ შემცირდა ნ. გ-ას შტატი, კერძოდ, მისი საკურატორო სფეროები გადანაწილდა დარჩენილ მოადგილეზე და ნ. გ-ა დარჩა უფუნქციოდ. კერძოდ, „ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილების შორის ფუნქციათა გადანაწილების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის 2009 წლის 25 მაისის №73 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის 2013 წლის 16 სექტემბრის №677 განკარგულებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება შევიდა აღნიშნულ განკარგულებაში, რის საფუძველზეც ნ. გ-ას საკურატორო სფეროები გადანაწილდა სხვა მოადგილეზე, ხოლო ნ. გ-ა დარჩა უფუნქციოდ. ნ. გ-ას განთავისუფლების საფუძველიც სწორედ მისი უფუნქციოდ დარჩენა და მისი საშტატო ერთეულის გაუქმება გახდა. უფუნქციოდ დარჩენას თავად მოსარჩელეც ადასტურებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი საქართველოში დეკლარირებულია საქართველოს კონსტიტუციური ნორმებით, ხოლო კონკრეტიზირებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის დანაწესებით. საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობების თაობაზე გადაწყვეტილებათა მომზადების, მიღებისა და გამოქვეყნების წესები, პროცედურები კი დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებებით.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავი-

სუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება ნარმომადგენლობითი ორგანოს – ქალაქ თბილისის საკრებულოს და აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქალაქ თბილისის მერიის მეშვეობით. ამავე კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირები კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ სამართლებრივ აქტებს, ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად, ქ. თბილისის თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების: საკრებულოსა და მთავრობის დადგენილებების, საკრებულოს თავმჯდომარის, მერის, საკრებულოს აპარატისა და მერიის ადმინისტრაციის უფროსებისა და გამგებლების განკარგულებების, საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელთა ბრძანებების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს დედაქალაქის – თბილისის საკრებულოს რეგლამენტით, ქ. თბილისის მერიის დებულებით და სხვა აქტებით.

„ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 13 ოქტომბრის №1-4 გადაწყვეტილების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აპარატის უფროსი თავის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს – განკარგულებას, ხოლო მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აპარატის უფროსი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აპარატის საჯარო მოსამსახურებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დაწესებულების რეორგანიზაციის გამო სამსახურიდან განთავისუფლების შესაძლებლობას ითვალისწინებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტი და ამავე კანონის 97-ე მუხლი იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება. 97-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაწესებულების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებისას ან არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გაფ-

რთხილების ვადის გასვლიდან პირველივე დღეს. ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელეს 1 თვით ადრე უნდა ეცნობოს დანესებულების ლიკვიდაციის, თანამდებობის შემცირების ან ატესტაციის არადამაქმაყოფილებელი შედეგების გამო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

ამდენად, რეორგანიზაცია შტატების შემცირებით საკანონმდებლო რეგულაციის დონეზე იძლევა თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველს. შტატების შემცირება არის დაწესებულების საქმიანობის ოპტიმიზაციის, მისი კვალიფიციური კადრით დაკომპლექტების ერთ-ერთი ღონისძიება. შტატების შემცირების გამო მოხელის სამსახურიდან დათხოვნა უკავშირდება მუშაქთა უნარ-ჩვევების შეფასების უფლებამოსილებას, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს უქმნის დისკრეციის, შეფასების თავისუფლების ფართო არეალს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი დაწესებულებაში შტატების შემცირების პირობებში, ადმინისტრაციას ანიჭებს დისკრეციას, მოახდინოს თანამშრომელთა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინის და ა.შ ადეკვატური, ობიექტური შეფასება და მიიღოს შესაბამისი მოტივირებული გადაწყვეტილება.

ამასთან, განსახილველი სამართალურთიერთობის შეფასებისას საკასაციო სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ერთი მხრივ შემთხვევა, როდესაც დაწესებულებაში განხორციელებულ რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო უკეთესის/საუკეთესოს, უპირატესის ამორჩევის პრინციპზე დაყრდნობით უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას ცალკეულ მოხელეთა განთავისუფლების თუ სამსახურში დატოვებასთან დაკავშირებით (რაც არაერთგზის განუმარტავს საკასაციო სასამართლოს), ხოლო მეორე მხრივ შემთხვევა, როდესაც რეორგანიზაციის დროს უქმდება კონკრეტული საშტატო ერთეული. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში ნარმოდგენილი ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 17 სექტემბრის №127 დადგენილებისა და ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის 2013 წლის 16 სექტემბრის №677 განკარგულების ერთობლიობაში შეფასებით საკასაციო სასამართლო უდავოდ დადგენილად მიიჩნევს, რომ საკრებულოში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა სწორედ ნ. გ-ას საშტატო ერთეული, შესაბამისად, სახეზე არ გვაქვს შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს აპარატის უფროსის მოადგილეთა

კვალიფიკაციის, პროფესიული უნარ-ჩვევების და უკეთესის/საუკეთესოს, უპირატესის ამორჩევის პრინციპზე დაყრდნობით ევალებოდა გადაწყვეტილების მიღება ერთი მოადგილის გან-თავისუფლების და შედარებით უკეთესი მონაცემებისა და კონ-კრეტული უპირატესობების მქონე 2 მოადგილის სამსახურში დატოვების თაობაზე. განსახილველი დავის გადაწყვეტისათ-ვის უმნიშვნელოვანებია ის გარემობა, რომ ქ. თბილისის საკუ-რებულოს აპარატის უფროსის 2013 წლის 16 სექტემბრის №677 განკარგულების საფუძველზე გაუქმდა სწორედ 6. გ-ას საშტა-ტო ერთეული.

მოცემული დავის საგანს ქ. თბილისის საკრებულოს აპარა-ტის უფროსის მოადგილის – 6. გ-ას განთავისუფლების შესახებ ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის 2013 წლის 17 სექტემბრის №703 განკარგულების კანონიერების დადგენა წარ-მოადგენს. ხოლო ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 17 სექტემბრის №127 დადგენილების (რომლითაც ცვლილება შევიდა „ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის საშტა-ტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 28 დეკემბრის №72 დადგენილებაში და დამტკიცდა საშტატო ნუსხა, რომლითაც ქ. თბილისის საკრებულოს საშტა-ტო ერთეული განისაზღვრა 210 ერთეულით, მათ შორის, აპარა-ტის უფროსის მოადგილეები შემცირდა ერთით და ნაცვლად 3 მოადგილისა განისაზღვრა 2 საშტატო ერთეული) და ქ. თბილი-ისის საკრებულოს აპარატის უფროსის 2013 წლის 16 სექტემ-ბრის №677 განკარგულების (რომლითაც ცვლილება შევიდა „ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილეებს შო-რის ფუნქციათა გადანაწილების შესახებ“ ქ. თბილისის საკრე-ბულოს აპატარის უფროსის 2009 წლის 25 მაისის №73 განკარ-გულებაში და 6. გ-ას საკურატორო სფეროები გადანაწილდა სხვა მოადგილეზე, ხოლო 6. გ-ა დარჩა უფუნქციოდ.) შეფასება სცდე-ბა განსახილველი დავის ფარგლებს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქარ-თველოს კონსტიტუციით დადგენილი ხელისუფლების დანაწი-ლების პრინციპის რეალიზაცია მნიშვნელოვნად არის განპირო-ბებული სასამართლო ხელისუფლების როლით, სასამართლოს მიერ ობიექტური, მიუკერძოებელი და კვალიფიციური მარ-თლმსაჯულების განხორციელებით, ვინაიდან სასამართლო ახორციელებს რა სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრე-ბულ ფუნქციას – მართლმსაჯულებას, ადმინისტრაციულ სა-მართალნარმოებაში ეს მოიცავს არა მხოლოდ კონკრეტული კონფლიქტების (დავები) გადაწყვეტას, არამედ – სახელმწიფო

და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა საქმიანობაზე სასამართლო კონტროლის განხორციელებას. მოქმედი კანონმდებლობით შესაძლებელია ადმინისტრაციულ ორგანოთა გადაწყვეტილებების, ხელშეკრულებების, ქმედებების /მოქმედება, უმოქმედობა/ გასაჩივრება საერთო სასამართლოში, რა დროსაც სასამართლოს ობიექტურობას, მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას განუზომელი მნიშვნელობა აქვს, რათა აღადგინოს დარღვეული წონასწორობა პირსა და ოფიციალურ სტრუქტურას შორის. სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებებზე უზრუნველყოფს დარღვეული უფლების აღდგენას, კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ნორმებით მკაცრად რეგლამენტირებულ ჩარჩოში მოქცევას, ეფექტური დაცვის რეალიზაციას და ა.შ. სახელმწიფო გარანტირებული უნდა იყოს ადმინისტრაციული აქტების კონტროლით, სრულად ემორჩილებოდეს კანონს და იმავდროულად, უზრუნველყოფდეს ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოების ეფექტურ მუშაობას.

თუმცა, მმართველობის არსი არასწორად არ უნდა იქნეს გაგებული, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობაზე სასამართლო კონტროლი არ უნდა ლახავდეს ადმინისტრაციული ორგანოს დამოუკიდებლობის ხარისხს, უნდა ჯდებოდეს მათი უფლებამოსილების ფარგლებში და შეესაბამებოდეს ხელისუფლების დანაწილებისა და ურთიერთგანონასწორების კონსტიტუციურ პრინციპს. ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ჰქონდეს საშტატო ერთეულის ოპტიმიზაციის შესაძლებლობა. ხელი არ უნდა შეეშალოს ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონირებას.

ამდენად, საქმეში არსებული მტკიცებულებები საქმარისი იყო იმის დასადგენად, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ადმინისტრაციულმა ორგანომ შეაფასა საქმის გარემოებები და ისე მიიღო გადაწყვეტილება 6. გ-ას სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს სადავო ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილის – 6. გ-ას განთავისუფლების შესახებ ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსის 2013 წლის 17 სექტემბრის №703 განკარგულების ბათილად ცნობის საფუძველი.

ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენება არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, შესა-

ბამისად არ არსებობს სადაც საკითხის გადაწყვეტლად აქტის ბათილად ცნობის და ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქმის გარემოებების შესწავლის შემდეგ ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი. საქმეზე დადგენილი გარემოებები იძლევა დავის არსებითი გადაწყვეტის შესაძლებლობას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს საქმეში საკრებულოს მიერ წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებზე. საკრებულოს მტკიცებით, სამსახურიდან განთავისუფლების შემდგომ 6. გ-ასა და საკრებულოს შორის რამდენჯერმე გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, რაც გამორიცხავს მოსარჩელის მიმართ ადმინისტრაციული ორგანოს უარყოფით დამოკიდებულებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც 6. გ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. 6. გ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სამსახურიდან გათავისუფლება სამსახურის ვალის გასვლის გამო

## განხილვა

№პს-653-645(ჯ-15)

5 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენეველი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება

### აღნერილობითი ნაწილი:

ე. ბ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს  
პრეზიდენტის ადმინისტრაციის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა  
და მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის  
უფროსის 2013 წლის 20 დეკემბრის №406/1 ბრძანების ე. ბ-ის  
თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში და 2014 წლის 20  
მარტის №03/20-07/1 ბრძანების ბათილად ცნობის, ე. ბ-ის ორ-  
სულობისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებუ-  
ლების 2014 წლის 12 მარტიდან 2014 წლის 7 მაისის ჩათვლით  
მიცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2014 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით  
ე. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ე. ბ-მა სააპელაციო წესით გა-  
ასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით ე.  
ბ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქ-  
მდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიის 2014 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება და  
საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ე. ბ-ის შუამ-  
დგომლობა სარჩელის ნაწილზე უარის თქმის თაობაზე დაკმა-  
ყოფილდა; ე. ბ-ის სარჩელზე, მოპასუხე საქართველოს პრეზი-  
დენტის ადმინისტრაციისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სა-  
მართლებრივი აქტის, კერძოდ ე. ბ-ისათვის ორსულობისა და

ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების მიცემის ნაწილში, შეწყდა საქმის ნარმოება, ე. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილ-და ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 2013 წლის 20 დეკემბრის №406/1 ბრძანება, ე. ბ-ის საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ... სამსახურის ... თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში; ე. ბ-ს უარი ეთქვა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 2014 წლის 20 მარტის №03/20-07/1 ბრძანების ბათილად ცნობაზე და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. ე. ბ-ი მუშაობდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ... სამსახურის ... თანამდებობაზე.

2. 2013 წლის 4 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის №498/3 ბრძანებით ე. ბ-ს ორსულობისა და მშობიარობის გამო მიეცა შვებულება 126 კალენდარული დღე 2013 წლის 6 ნოემბრიდან 2014 წლის 11 მარტის ჩათვლით.

3. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 2013 წლის 20 დეკემბრის №406/1 ბრძანებით ე. ბ-ი გათავისუფლდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ... სამსახურის ... თანამდებობიდან და დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ... დეპარტამენტის ... განყოფილების ... თანამდებობაზე 3 თვით.

4. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 2014 წლის 20 მარტის №03/20-07/1 ბრძანებით 2014 წლის 21 მარტიდან სამსახურის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ე. ბ-ი გათავისუფლდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ... დეპარტამენტის ... განყოფილების ... თანამდებობიდან.

სააპელაციო სასამართლო იმთავითვე ყურადღება მიაქცია, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ბრძანება 20.12.2013 №406/1 სადავოდ იყო გამხდარი მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც ე. ბ-ი გათავისუფლდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ... სამსახურის ... თანამდებობიდან. მოსარჩელე სადავოდ არ ხდის ბრძანების იმ ნაწილს, რომლითაც ის დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ... დეპარტამენტის ... განყოფილებაში ... თანამდებობაზე 3 თვის ვადით, თუმცა, მისი მხრიდან სადავოდაა გამხდარი 2014 წლის 20 მარტის №03/20-07/1 ბრძანება, რომლითაც ის თანამდებობიდან გათავისუფლდა სამსახურის ვადის – 3-თვითი პერიოდის გასვლის გამო.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელეს არა-ერთხელ შესთავაზეს დაეზუსტებინა მოთხოვნა, რა მიზნითაც სააპელაციო სასამართლოს მიერ პროცესზე მოწვეული იქნა უშუალოდ ე. ბ-ი, რომელმაც, სასამართლოს შეთავაზების მიუხედავად №406/1 ბრძანებასთან დაკავშირებით მოთხოვნა დატოვა უცვლელი, მოითხოვა ბრძანების ბათილად ცნობა მხოლოდ გათავისუფლების ნაწილში, ხოლო რაც შეეხება მოთხოვნაზე, რომლითაც ის ითხოვდა კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების მიცემას (გაგრძელებას) 2014 წლის 12 მარტიდან 2014 წ. 7 მაისის ჩათვლით, განაცხადა უარი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის პრინციპებიდან გამომდინარე სასამართლო შეზღუდულია მოთხოვნის ფარგლებით, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 20.12.2013წ. №406/1 ბრძანების კანონიერება შეამოწმოს მხოლოდ მოთხოვნილ ნაწილში.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ე. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მიღებული ბრძანების კანონის-მიერ საფუძვლად ვერ ჩაითვლება ის გარემოება, რომ 2013 წლის 20 დეკემბერს ე. ბ-მა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის სახელზე წარადგინა თანხმობა დანიშნულიყო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ... დეპარტამენტში ... განყოფილების ... თანამდებობაზე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 92-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება ფორმირდება ბრძანებით. ე. ბ-ს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 2013 წლის 4 ნოემბრის №498/3 ბრძანებით უფლებამოსილება შეჩერებული პქნოდა 2013 წლის 6 ნოემბრიდან 2014 წლის 11 მარტის ჩათვლით. ბრძანებაში ცვლილებები არ შესულა, დეკრეტული შვებულების ვადაზე ადრე შეწყვეტა არ მოშძდარა არც ე. ბ-ის და არც ადმინისტრაციის ინიციატივით. დეკრეტულ შვებულებაში ყოფნის პერიოდში გაცხადებული ნება ვერ იქნება მიჩნეული სამსახურებრივ საკითხზე მიღებული აქტის ლეგიტიმურ საფუძვლად.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სადავო აქტი არ შეიცავს მითითებას სამსახურიდან ე. ბ-ის გათავისუფლების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლების თაობაზე. ე. ბ-ის ნების (განცხადების) დადასტურების პირობებშიც კი, ღიად რჩება საკითხი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის რომელი ნორმის საფუძველზე მოხდა სამსახურიდან მისი გა-

თავისუფლება, რამდენადაც ე. ბ-ის განცხადება შეიცავს თან-სმობას მხოლოდ ... განყოფილების ... თანამდებობაზე დანიშ-ვნის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის, როგორც ორსული ქალისა და მცირენლოვანი შვილის დედის შრომითი უფლებების დაცვის მინიმალური სტანდარტის დარღვევად მიიჩნია დეკ-რეტული შვებულების დასრულებამდე პერიოდის განმავლობა-ში ქალისათვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ შეტყობი-ნების გაკეთების და მის მიერ გაცხადებული წების მიღებას უვა-დო შრომითი ურთიერთობის პირობებში დათანხმდეს დროებით 3-თვიან სამუშაოს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სარჩელის საფუძ-ველზე მოთხოვნილი არ არის თანამდებობაზე აღდგენა, მოთ-ხოვნა შეეხება მხოლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლი ადგენს იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გა-სამრჯელოს ანაზღაურების შესაძლებლობას. იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლება და სხვა თანამდებობაზე დანიშვნა მოხდა ერთდროულად, ამასთან მოსარჩელე არ ითხოვს ამ სხვა თანამდებობაზე მისი დანიშ-ვნის კანონიერების შემოწმებას, არ არსებობს იძულებითი გაც-დენილი პერიოდი, რომლის კომპენსირებაც მოთხოვნილია „სა-ჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოაღ-ნიშული 112-ე მუხლის საფუძველზე, რის გამოც მოსარჩელეს იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უნდა ეთქვას უარი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ და ე. ბ-მა საკასაციო წესით გა-ასაჩინოება.

კასატორი ე. ბ-ი ითხოვს სააპელაციო სასამართლოს გადაწ-ყვეტილების გაუქმებას და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას. მისი მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გა-მოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმადაც ბრძანების ბათილად ცნო-ბის შემთხვევაში, მოხელე სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგე-ნას ექვემდებარება, შესაბამისად, ე. ბ-ს უნდა აუნაზღაურდეს იძულებით განაცდური.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შე-ისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს,

რომ ე. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაქმაყოფილდეს შემ-დეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ მო-ცემულ საქმეზე, საბოლოოდ, სასარჩელო მოთხოვნები ჩამო-ყალიბდა შემდეგნაირად:

1. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 20.12.2013 წლის №406/1 ბრძანების ბათილად ცნობა ე. ბ-ის სა-ქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ... სამსახურის ... თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში;

2. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 2014 წლის 20 მარტის №03/20-07/1 ბრძანების ბათილად ცნობა;

3. იძულებით განაცდურის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამარ-თლოს მითითებას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის პრინციპებიდან გამომდინარე სასამართლო შეზღუ-დულია მოთხოვნის ფარგლებით, ამასთან, ყურადღებას მიაქ-ცეს მოცემული დავის სამართლებრივ ბუნებას: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 20.12.2013 წლის №406/1 ბრძანების საფუძველზე ე. ბ-ი საქართველოს პრეზი-დენტის ადმინისტრაციის ... სამსახურის ... თანამდებობიდან გა-თავისუფლდა და დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტის ადმი-ნისტრაციის ... დეპარტამენტის ... განყოფილებაში ... თანამდე-ბობაზე 3 თვის ვადით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, მოსარჩელის მოთხოვნის მიუხედავად, შეუძლებელია ე. ბ-ის და-კავებული თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერების შეფასება მისი სხვა თანამდებობაზე გადაყვანის კანონიერება-ზე მსჯელობის გარეშე.

2013 წლის 4 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტის ადმი-ნისტრაციის უფროსის №498/3 ბრძანებით ე. ბ-ს ორსულობისა და მშობიარობის გამო მიეცა შვებულება 126 კალენდარული დღე 2013 წლის 6 ნოემბრიდან 2014 წლის 11 მარტის ჩათვლით. 2013 წლის 20 დეკემბერს ე. ბ-მა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის სახელზე წარადგინა თანხმობა და-ნიშნულიყო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ... დეპარტამენტში ... განყოფილების ... თანამდებობაზე, ანუ, რე-ალურად, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო ე. ბ-ის თანხმო-ბა და ეს უკანასკნელი სხვა თანამდებობაზე გადაიყვანა დეკ-რეტული შვებულებით სარგებლობის პერიოდში.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 411-ე მუხლის პირველი ნაწილის (სადავო პერიოდში მოქმედი რე-დაქციით) თანახმად, მოსამსახურეს ორსულობისა და მშობია-

რობის გამო ეძლევა ანაზღაურებადი შვებულება 126 კალენდა-რული დღის, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შო-ბის შემთხვევაში – 140 კალენდარული დღის ოდენობით. ამავე კანონის 89-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, შვებულება წარ-მოადგენს სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძ-ველს, ხოლო 88-ე მუხლის თანახმად მოხელის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება ნიშნავს მოხელის დროებით განთავი-სუფლებას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან და შესაბამისი დაწესებულების განთავისუფლებას მოხელის სამ-სახურით უზრუნველყოფის მოვალეობისაგან. სამსახურებრი-ვი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში მოხელეს კანონით დად-გენილ შემთხვევებში და წესით უნარჩუნდება თანამდებობრი-ვი სარგო, დანამატები ან ეძლევა სხვაგვარი კომპენსაცია.

განსახილველ შემთხვევაში, უნდა შეფასდეს რამდენად ჰქონდა ადმინისტრაციულ ორგანოს უფლებამოსილება, მიეღო საჯარო მოხელის თანხმობა და გადაეყვანა ეს უკანასკნელი სხვა თანამდებობაზე მასთან სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 111-ე მუხლის პირ-ველი და მე-2 პუნქტების მიხედვით, მოხელე არ შეიძლება გან-თავისუფლებულ იქნეს სამსახურიდან შტატების შემცირების ან ატესტაციის შედეგების გამო იმ დროის განმავლობაში, რო-დესაც მისი სამსახურებრივი ურთიერთობები შეჩერებულია: ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნისას; სავალდებულ სამხედ-რო სამსახურში განვევის, სასწავლო შეკრების, რეზერვისტთა მობილიზაციის დროს; საპრეზიდენტო ან წარმომადგენლობი-თი ორგანოების არჩევნებში კანდიდატად წამოყენებისას, გარ-და კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მოხელე (ქა-ლი) არ შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ორსულო-ბის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელო-ბის მდგომარეობის, აგრეთვე ატესტაციის შედეგების გამო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შრომითი ურთი-ერთობის შეჩერება გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს ყველა უფლებამოსილების შეჩერებას მოხელის მიმართ. 111-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა გულისხმობს დეკრე-ტული შვებულებით სარგებლობის პერიოდში დასაქმებულის გა-თავისუფლებასა და სხვა თანამდებობაზე გადაყვანის აკრძალ-ვასაც. საკასაციო სასამართლო ეთანხმება საპელაციო სასა-მართლოს მითითებას, რომ ე. ბ-ს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 2013 წლის 4 ნოემბრის №498/3 პრძა-

ნებით უფლებამოსილება შეჩერებული ჰქონდა 2013 წლის 6 ნოემბრიდან 2014 წლის 11 მარტის ჩათვლით. დადგენილია, რომ მითითებულ ბრძანებაში ცვლილებები არ შესულა, დეკრეტული შვებულება ვადაზე ადრე არ შეწყვეტილა არც ე. ბ-ის და არც ადმინისტრაციის ინიციატივით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია არ იყო უფლებამოსილი, ე. ბ-ი თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა და სხვა თანამდებობაზე გადაეყვანა შრომითი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში. მართალია, კანონი არ ითვალისწინებს რაიმე შეზღუდვას დეკრეტული შვებულების დროს მოხელის მიერ ნების გამოვლენაზე და სხვა სამსახურში გადაეყვანაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თანხმობის მიღებაზე, მაგრამ, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შესაბამისი რეაგირება ადმინისტრაციულმა ორგანომ შვებულების ამონურვის შემდეგ უნდა მოახდინოს, ვინაიდან სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება გულისხმობს მოხელესთან დაკავშირებით ადმინისტრაციული აქტის გამოცემის უფლებამოსილების შეჩერებასაც.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ ორსული ქალისა და მცირენლოვანი შვილის დედის შრომითი უფლებების დაცვის მინიმალური სტანდარტის დარღვევაა დეკრეტული შვებულების დასრულებამდე ქალისათვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ შეტყობინების გაკეთება და მის მიერ გაცხადებული ნების მიღება უვადო შრომითი ურთიერთობის პირობებში დათანხმდეს დროებით 3-თვიან სამუშაოს. აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ ე. ბ-ის განცხადება თანამდებობის რაიმე ვადით დაკავების შესახებ მითითებას არ შეიცავს.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პიზიციას, რომ სადაცო აქტი არ შეიცავს მითითებას სამსახურიდან ე. ბ-ის გათავისუფლების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლების თაობაზე. ე. ბ-ის ნების (განცხადების) დადასტურების პირობებშიც კი, ღიად რჩება საკითხი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის რომელი ნორმის საფუძველზე მოხდა სამსახურიდან მისი გათავისუფლება, რამდენადაც განცხადება შეიცავს თანხმობას მხოლოდ მოქალაქეთა მიღების განყოფილების სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 20.12.2013 წლის №406/1 ბრძანების ე. ბ-ის საქართველოს პრეზიდენტის ადმი-

ნისტრაციის ... სამსახურის ... თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში ბათილობასთან დაკავშირებით, ამასთან, მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ არასწორად შეაფასა აღნიშნული აქტის ბათილად ცნობის შედეგად შექმნილი სამართლებრივი ვითარება.

კასატორი მოუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტი უნდა გამოეყენებინა, რომლის თანახმადაც, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ მოსარჩელე თანამდებობაზე აღდგენას არ ითხოვს, არამედ, მხოლოდ ბრძანების ბათილად ცნობას და იძულებით განაცდურის ანაზღაურებას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება აღადგინოს პირი დაკავებულ თანამდებობაზე, არ გულისხმობს სასამართლოს მიერ თანამდებობაზე აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, თუ მოსარჩელე ამგვარ მოთხოვნას არ აყენებს. თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა არ ითვალისწინებს ავტომატურად პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულებას, არამედ გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა საფუძვლად ედება სამსახურში აღდგენის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას, როდესაც მხარე ასეთ მოთხოვნას აყენებს. აქვე გასათვალისწინებელია, რომ სააპელაციო სასამართლომ ისარგებლა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობით და ე. ბ-ს, ისევე როგორც მის წარმომადგენელს, არაერთხელ შესთავაზა სარჩელის ტრანსფორმაცია.

20.12.2013 წლის №406/1 ბრძანების ე. ბ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში ბათილად ცნობის სამართლებრივი შედეგი შეიძლება ყოფილიყო მისი აღდგენა თავდაპირველად დაკავებულ თანამდებობაზე. საქმეში წარმოდგენილია 2013 წლის 20 დეკემბერს დამტკიცებული საქართველოს პრე-

ზიდენტის ადმინისტრაციის საშტატო წუსხა, რომლის მიხედვითაც ... დეპარტამენტი ითვალისწინებს ... 6 შტატს, ამდენად, არ იკვეთება, რომ ე. ბ-ის მიერ დაკავებული შტატი შემცირებულია. შემცირების თაობაზე არც მოპასუხე მიუთითებს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 64-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა ან შეთავსებით ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში, იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორგანოს წევრი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, სახელმწიფო მოსამსახურის მიერ შეთავსებით სხვა თანამდებობის დაკავება და ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმავე სახელმწიფო დაწესებულების სისტემაში.

მოცემულ შემთხვევაში, მიჩნეულ იქნა, რომ ე. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლება უკანონო იყო. ისეთ პირობებშიც კი, როდესაც სხვა თანამდებობაზე გადაყვანის ნაწილში ადმინისტრაციული აქტი გასაჩივრებული არ არის და სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, მისი ბათოლად ცნობის საკითხზე იმსჯელოს, გასათვალისწინებელია, რომ კანონმდებელი უშვებს ერთსა და იმავე სამსახურში შეთავსებით თანამდებობის დაკავების შესაძლებლობას, მით უმეტეს, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, ე. ბ-მა 2013 წლის 20 დეკემბრის განცხადებით თანხმობა მხოლოდ ... დეპარტამენტში ... განყოფილების ... დანიშვნაზე განაცხადა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სამსახურის ვადის გასვლასთან დაკავშირებით სამსახურიდან თავისუფლდება პირი, რომელიც თანამდებობაზე გარკვეული ვადით იყო არჩეული ან დანიშნული.

სააპელაციო სასამართლომ მართებულად აღნიშნა, რომ მითითებული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის 2014 წლის 20 მარტის №03/20-07/1 ბრძანება, დამოუკიდებლად აღებული, შესაბამისობაშია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველო კანონთან და არ არსებობს სასამართლოს მხრიდან მისი ბათოლობის კანონით განსაზღვრული საფუძველი, ამასთან, ეს საკითხი პირდაპირ გავლენას არ ახდენს ე. ბ-ისათვის საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ... სამსახურის ... თანამდებობიდან უკანონოდ გათავისუფლების გამო იძულებით განაცდურის

ანაზღაურებაზე. ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ე. ბ-ს არ მოუთხოვია დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა და არა ის ფაქტი, რომ ე. ბ-ი ... დეპარტამენტში ... განყოფილების სპეციალისტად დაინიშნა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ, სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს სამსახურიდან განთავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე, იძულებით განაცდურის ანაზღაურების ვალდებულება პირდაპირაა დაკავშირებული სამსახურში აღდგენასთან. იმ შემთხვევაში, თუ მოხელე დაკავებულ თანამდებობაზე ვერ აღდგება, იძულებით განაცდურის ანაზღაურება არ მოხდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დიდწილად სწორად შეფასა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ამასთან, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, რის გამოც საკასაციო საჩივარის დაკმაყოფილების სამართლებრივი შესაძლებლობა არ არსებობს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ივნისის გა-დაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

## **დროებითი მოვალეობის შემსრულებლის სამსახურიდან გათავისუფლება**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

№ბს-277-275(კ-16)

4 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

6. ღ-ემ თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი აღძრა, რომლითაც მოითხოვა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ივნისის №194 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 8 აპრილის №145 ბრძანების ბათილად ცნობა; ასევე მოითხოვა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაგალება 6. ღ-ის სამსახურში აღდგენის თაობაზე და მოპასუხისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის თანახმად, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის 8 აპრილის №145 ბრძანება, მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-საბართლებრივი აქტი 6. ღ-ის მიმართ.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩინორა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 28 დეკემბრის განჩინებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩინოარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 6. ღ-ე მუშაობდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისიპ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის ... სამსახურის უფროსას – 6. ღ-ეს 2013 წლის 3 ივლისიდან დროებით დაეკისრა ამავე მეურნეობის ... მოვალეობის შესრულება;

2. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ივლისის №194 ბრძანებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისიპ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის ... სამსახურის უფროსას – 6. ღ-ეს 2013 წლის 3 ივლისიდან დროებით დაეკისრა ამავე მეურნეობის ... მოვალეობის შესრულება;

3. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 27 მარტის №116 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 53-ე მუხლების, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, 2014 წლის 27 მარტიდან რ. ვ-ი დაინიშნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისიპ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის ... თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლად;

4. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს 2014 წლის 7 აპრილს №4617 მოხსენებითი ბარა-

თით მიმართა ამავე სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისნარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსმა ბ. ბ-ებ და განმარტა, რომ 2014 წლის 27 მარტიდან სსიპ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის ... თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა რ. ვ-ი, აღნიშნულიდან გამომდინარე ითხოვა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ივლის №194 ბრძანების – ნ. ღ-ისათვის დროებით მოვალეობის დაკისრების შესახებ ძალადაკარგულად გამოცხადება;

5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 53-ე, 61-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 8 აპრილის №145 ბრძანებით 2014 წლის 27 მარტიდან ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ივლის №194 ბრძანება ნ. ღ-ისათვის დროებითი მოვალეობის დაკისრების შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ ნ. ღ-ე ასრულებდა არმყოფი მოხელის მოვალეობას და სადავო ბრძანებით მოხდა მასზე დროებით დაკისრებული მოვალეობის შეწყვეტა. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამსახურში არმყოფი მოხელე წარმოადგენს პირს, რომელიც საჯარო სამსახურში მიღებულია კონკრეტულ პოზიციაზე და დროებით, კონკრეტული ობიექტური გარემოებების გამო, ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობებს (სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება). სადავო შემთხვევაში დგინდება, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის ... ადგილი, რომელიც კონკურსის წესით ივსება, იყო ვაკანტური. შესაბამისად, ნ. ღ-ე მიჩნეული უნდა იქნეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სუბიექტად: იგი წარმოადგენდა თანამდებობაზე კონკურსის წესით დასანიშნი მოხელის მოვალეობის შემსრულებელს, შესაბამისად, ამავე ნორმით განსაზღვრულია ასეთი მოხელის შრომითი საქმიანობის ვადა – კონკურსის შედეგების მიხედვით მოხელის თანამდებობაზე დანიშვნამდე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამომოსალი ავტომატურად ძალადაკარგულად გამოაცხადოს მის მიერ გამოცემული ინდიკიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ასეთი აქ-

ტის ძალადაკარგულად გამოცხადებისათვის, უნდა არსებობდეს ზაკ-ის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული სამართლებრივი წინაპირობები, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი ხდება, იმსჯელოს ინდივიდუალური აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე და მხოლოდ ასეთ ვითარებაში ეძლევა ადმინისტრაციულ ორგანოს სამუალება, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. თუმცა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლები სრულდება იქ, სადაც იწყება კანონისმიერი შეზღუდვების მოქმედება.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დაუსაბუთებელი იყო ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამდენად, სადაცო საკითხის ხელახლა განხილვის ფარგლებში, საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ადმინისტრაციულმა ორგანომ შეაფასოს, წარმოადგენდა თუ არა სსიპ – სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის ... თანამდებობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მეორე „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობას, რომელიც აწესებს მოვალეობის შემსრულებლად მუშაობის ერთწლიან ზღვრულ ვადას, თუ მასზე ვრცელდებოდა ვაკანტურ თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლად მუშაობის ზოგადი სამთვიანი ვადა. ამასთან, ადმინისტრაციულმა ორგანომ, უნდა გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები, კერძოდ, როდის ჩატარდა კონკურსი სსიპ – სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის ... ვაკანტური ადგილის დასაკავებლად და კონკურსის შედეგების მიხედვით გამოვლინდა თუ არა გამარჯვებული კონკურსანტი, რის შედეგადაც უნდა გამოსცეს დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი 6. ღის მიმართ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო სა-

ჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 6. ღ-ე მუშაობდა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ სატყეო საბაზისო მეურნეობაში;

2. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ივლისის №194 ბრძანებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის ... სამსახურის უფროსს 6. ღ-ეს 2013 წლის 3 ივლისიდან დროებით დაეკისრა ამავე მეურნეობის ... მოვალეობის შესრულება;

3. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 27 მარტის №116 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 53-ე მუხლების, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, 2014 წლის 27 მარტიდან რ. ვ-ი დაინიშნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის ... თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლად;

4. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს 2014 წლის 7 აპრილს №4617 მოხსენებითი ბარათით მიმართა ამავე სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისნარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსმა ბ. ბ-ემ და განმარტა, რომ 2014 წლის 27 მარტიდან სსიპ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის ... თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა რ. ვ-ი, აღნიშნულიდან გამომდინარე ითხოვა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ივლისის №194 ბრძანების – 6. ღ-ისათვის დროებით მოვალეობის დაკისრების შესახებ ძალადაკარგულად გამოცხადება;

5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 53-ე, 61-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 8 აპრილის №145 ბრძანებით 2014 წლის 27 მარტიდან

ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ივნის №194 ბრძანება 6. ღ-ისათვის დროებითი მოვალეობის დაკისრების შესახებ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დეპულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

კასატორს ზემოაღნიმული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ სამსახურში არმყოფი მოხელე წარმოადგენს პირს, რომელიც საჯარო სამსახურში მიღებულია კონკრეტულ პოზიციაზე და დროებით, კონკრეტული ობიექტური გარემოებების გამო, ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობებს (სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება). სადაც შემთხვევაში დგინდება, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის ... ადგილი, რომელიც კონკურსის წესით ივსება, იყო ვაკანტური. შესაბამისად, 6. ღ-ე მიჩნეული უნდა იქნეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სუბიექტად.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონს 57-ე მუხლი.

აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პირს, რომელსაც აქვთ თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დროებით არმყოფი მოხელის შეცვლის ან ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც მოხელის არყოფნა გამოიწვევდა დანესებულების ნორმალური საქმიანობის გართულებას, შეუძლია: а) გადაუნანილოს არმყოფი მოხელის მოვალეობანი სხვა მოხელეებს მათი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან განთავისუფლების გარეშე; ბ) დაკისროს არმყოფი მოხელის მოვალეობანი სხვა მოხელეს და

ეს უკანასკნელი გაათვისუფლოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ არმყოფი მოხელის ფუნქციების დროებით სხვა მოხელისათვის დაკისრება არის სამსახურის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის საშუალება. სამსახურის ადმინისტრაციას ამ გზით ჩვეული სამუშაო ვითარების შენარჩუნება შეუძლია იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტულ თანამდებობაზე დანიშნული მოხელე დროებით ვერ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებს ან როდესაც თანამდებობა ვაკანტურია. არსებითი განსხვავება ვაკანტურ თანამდებობაზე ამ წესით მოვალეობის შესრულების დაკისრებასა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული დროებით მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნას შორის არის ის, რომ მოხელე არ თავისუფლდება თავდაპირველად დაკავებული თანამდებობიდან. დამსაქმებელს უფლება აქვს, გაათვისუფლოს მოხელე თავისი სამსახურით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებიდან იმ ვადით, რა ვადითაც არმყოფი მოხელის მოვალეობებს ასრულებს, მაგრამ ამ შემთხვევაში, მოხელის მიერ მანამდე დაკავებული თანამდებობა ვაკანტური არ ხდება.

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ივნისის №194 ბრძანებით ოვევა, რომ ნ. ღ-ეს – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის ... სამსახურის უფროსს დროებით დაეკისრა ამავე მეურნეობის ... მოვალეობის შესრულება. ბრძანებაში არ არის მითითებული ნ. ღ-ის სსიპ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის ... სამსახურის უფროსის მოვალეობების შესრულებისაგან (მით უმეტეს თანამდებობიდან) გათავისუფლების თაობაზე, ამდენად, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ვინაიდან საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის ... ადგილი ვაკანტური იყო, ნ. ღ-ეს არმყოფი მოხელის მოვალეობის შესრულება არ დაკისრებია.

მოცემული დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. ეს ნორმა შეეხება ამავე კანონის 30-ე მუხლის საფუძველზე კონკურსის დროებით მოვალეობის შემსრულებლებზე იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს. რაც შეეხება ნ. ღ-ის შემთხვევას, სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეყუნქტით, რომლის თანახმადაც, თანამდებობაზე დღროებით არმყოფი მოხელის შემცვლელი ინიშნება მოხელის სამსახურში გამოსვლამდე ან თანამდებობიდან განთავისუფლებამდე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ეს ნორმა ითვალისწინებს სამსახურის ადმინისტრაციის უფლებამოსილებას, საჭიროების აღმოფხვრის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს მოხელე დაკისრებული მოვალეობების შესრულებიდან. საკასაციო სასამართლო ასევე მიუთოთებს ამავე მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც, დროებით არმყოფი მოხელის იმ თანამდებობიდან განთავისუფლების შემთხვევაში, რომელიც კონკურსის ნესით უნდა შეივსოს, შემცვლელს უფლება აქვს დაიკავოს აღნიშნული თანამდებობა, როგორც ამ თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშნული მოხელის მოვალეობის შემსრულებელმა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმით განსაზღვრულია მოხელის უფლება, რომლის რეალიზება დამოკიდებულია დამსაქმებლის ნებაზე, ამ თანამდებობაზე არ დაინიშნოს სხვა მოვალეობის შემსრულებელი კანონის 30-ე მუხლის საფუძველზე ან არ გამოაცხადოს კონკურსი, არამედ მოვალეობის შემსრულებლად დანიშნოს იგივე მოხელე, ვისაც დაკისრებული ჰქონდა სამსახურებრივი მოვალეობების დროებით შესრულება.

განსახილველ შემთხვევაში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ივლისის №194 ბრძანებით 6. ღ-ეს დაკისრი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის ... მოვალეობის შესრულება. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 27 მარტის №116 ბრძანებით რ. ვ-ი დაინიშნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის ... თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებლად, შესაბამისად, აღარ არსებობდა 6. ღ-ის მიერ აღნიშნულ მოვალეობათა შესრულების საჭიროება, ამდენად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 8 აპრილის №145 ბრძანებით 2014 წლის 27 მარტიდან ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ივლისის №194 ბრძანება 6. ღ-ისათვის დროებითი მოვალეობის დაკისრების შესახებ, რისი უფლებამოსილებაც მას, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 23-ე და 30-ე მუხლების საფუძველზე გააჩნდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სრულიად უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მითითება აღმტურველი ად-მინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემზღვეულ ნორმებზე (ზაგ-ის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ვინაიდან სპეციალური კანონი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და 57-ე მუხლი, საშუალებას აძლევს დამსაქმებელს ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს მოხელე მასზე დაკისრებული არმყოფი მოხელის მოვალეობების შესრულებიდან, რაც ცხადია, არ გულისხმობს მოხელის თავდაპირველად დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებასაც.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 57-ე, 30-ე მუხლები და არასწორად გამოიყენა ამავე კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის საფუძველზე, გასაჩივრებული განჩინების უკანონობას განაპირობებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები არ არსებობს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების უკანონობა არასწორო სამართლებრივი შეფასებითა გამოწვეული, ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეუძლია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ღ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსარჩელე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ამდენად, ნ. ღ-ეს სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 120 ლარი უნდა დაუბრუნდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-9 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

## **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს ტ ა:**

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 28 დეკემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. 6. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. 6. ლ-ეს დაუბრუნდეს სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 120 ლარი (27/10/2014 წლის №1 საგადახდო დავალება) შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი №...;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. სახელმიწოდო კომარსაციის დანიშვნის საფუძვლები**

**კომარსაციის დანიშვნას საქართველოს  
ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუაულის  
ოქანის წევრებისათვის**

#### **განჩინება**

№ბს-655-647(კ-15)

11 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური  
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალ-  
დებულება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2014 წლის 20 ივნისს ნ. ბ-ამ სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიას, მოპასუხების – სსიპ ვეტერანების საქმე-  
თა სახელმწიფო სამსახურისა და საქართველოს მთავრობის მი-  
მართ.

მოსარჩელის განმარტებით, მან 2013 წლის 26 ნოემბერს გან-  
ცხადებით მიმართა საქართველოს შეიარაღებული ძალების გე-  
ნერალური შტაბის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს და  
ომში დაღუპული ოჯახის წევრის სტატუსს მინიჭება მოიხო-  
ვა. 2013 წლის 12 დეკემბრის №4064/18 ნერილით ნ. ბ-ას უარი  
ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ „სა-  
ხელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტი-  
პენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელ-  
მწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფას ექვემდებარებოდნენ  
მხოლოდ 1998 წლის მაისის მოვლენების დროს დაღუპულთა ან  
მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევ-  
რები.

მოსარჩელემ მითითებული აქტი გაასაჩივრა საქართველოს

თავდაცვის სამინისტროში, რომელმაც 2014 წლის 16 იანვარს ადმინისტრაციული საჩივარი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად დააბრუნა უკან იმ საფუძვლით, რომ 2014 წლის 1 იანვრიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ განისაზღვრა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური, რომლის კონტროლსაც ახორციელებდა საქართველოს მთავრობა.

აღნიშნულის შემდეგ მოსარჩელემ 1 თვის ვადაში მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული აქტების ბათოლად ცნობისა და ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით. 2014 წლის 14 მარტს მან უკან გამოიხმო სარჩელი და ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს მთავრობას, რომელმაც 2014 წლის 9 ივნისს მოსარჩელეს უარი უთხრა ადმინისტრაციული საჩივრის დაკავყიფილებაზე, რადგან „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი ადგენდა იმ პირთა წრეს, რომლებიც განეკუთვნებოდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს. საქართველოს მთავრობამ ამ ნორმის გათვალისწინებით, ვ. კ-ი არ ჩათვალა ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საბრძოლო მოქმედებების დროს გარდაცვლილ პირად, რადგან იგი გარდაცვლილი იყო საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ, ამასთან, ვ. კ-ის გარდაცვალების დრო არ ემთხვეოდა 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოში მომხდარი საბრძოლო მოქმედებების დროს.

მოსარჩელის მითითებით, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 4 ოქტომბრის №1063 განკარგულების თანახმად, ვ. კ-ი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის, თავდადებისა და თავგანწირვისათვის (სიკეთების შემდეგ) დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. ამდენად, აღნიშნული აქტით ვ. კ-ი უკვე აღიარებული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს დაღუპულ პირად. შესაბამისად, მისი მეუღლე ნ. ბ-ა ითვლებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპული პირის ოჯახის წევრად და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სო-

ციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სუბიექტად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის 2013 წლის 2 დეკემბრის №36-15 ოქ-მისა და 2013 წლის 12 დეკემბრის №4064/8 გადაწყვეტილების, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივნისის №1030 განკარგულების ბათილად ცნობა და სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა, რომლითაც ნ. ბ-ა რეგისტრაციაში გატარდება როგორც ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის დროს დაღუპული ვეტერანის ოჯახის წევრი და მასზე გაიცემა შესაბამისი მოწმობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით 6. ბ-ას სარჩელი არ დაკამაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ნ. ბ-ა რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ან გარდაცვლილ ვ. კ-თან. 1998 წლის 29 იანვარს გაცემული №078147 გარდაცვალების მოწმობით დადგენილია, რომ ვ. კ-ი გარდაიცვალა 1998 წლის 14 იანვარს ქალაქ ოჩამჩირეში, საბრძოლო ოპერაციის შესრულების დროს. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 13 მაისს გაცემული №01/98496 წერილით დადგენილია, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო აქტების ერთიან, ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ფიქსირდება მოქალაქე ვ. კ-ის მიმართ 1998 წლის 02 ივნისს ქ. თბილისის ტყვარჩელის მმაჩის განყოფილების მიერ რეგისტრირებული გარდაცვალების აქტის ჩანაწერი. აღნიშნულ აქტზე დაყრდნობით, თბილისის სრ სამსახურის მიერ 2013 წლის 21 თებერვალს გაცემულ იქნა გარდაცვალების მოწმობა №011370006026.

საქართველოს შ სამინისტროს შინაგანი ჯარების ... სამხედრო ნანილის მეთაურის დ. ღ-ას მიერ ხელმოწერილი საბრძოლო მოკვლევის თანახმად, აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებისას, 1992 წლის აგვისტოდან ვ. კ-ი იარაღით ხელში იცავდა სამშობლოს ტერიტორიულ მთლიანობას. ოჩამჩირეში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 24-ე ბრიგადის ჩამოყალიბებისთანავე ვ. კ-ი ჩარიცხული იყო ... მოტომსროლელ ბატალიონში ... თანამდებობაზე და იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბატალიონის ყველა საბრძოლო ოპერაციებში. 1993 წლის მარტში სეპარატისტთა მიერ განხორციელებული შემოტევის მო-

გერიებისას ვ. კ-ის საბრძოლო მოქმედება გამოირჩეოდა სამხედრო საქმის მაღალი ცოდნითა და წინდახედულობით, რის-თვისაც იგი დაჯილდოვებულ იქნა მედლით „საბრძოლო მამაცობისათვის“. აფხაზეთის დაცემის შემდეგ ვ. კ-ი მსახურობდა სხვადასახვა ძალოვან სტრუქტურებში. 1996 წლის თებერვლი-დან ჩარიცხული იყო საქართველოს შს სამინისტროს შინაგანი ჯარების ... სამხედრო ნანილში ... თანამდებობაზე, შემდეგ კი ... იყო გადაყვანილი. ერთ-ერთი სამხედრო დავალების შესრულებისას 1998 წლის 14 იანვარს ვ. კ-ი გმირულად დაიღუპა.

საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 4 ოქტომბრის №1063 განკარგულებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის, თავდადებისა და თავგანწირვისათვის – პოლიციის ლეიტენანტი, აფხაზეთის ა/რ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ასეულის პოლიციელი – ვ. კ-ი დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის 2013 წლის 02 დეკემბრის №36-15 სხდომის ოქმით დასტურდება, რომ ნ. ბ-ას კომისიის უმრავლესობით უარი ეთქვა ომში დაღუპული ოჯახის წევრის სტატუსზე და დარჩა მხოლოდ მარჩენალდაკარგულის სტატუსი. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის 2013 წლის 12 დეკემბრის №4064-18 გადაწყვეტილებით, მოსარჩელე ნ. ბ-ას მის მიერ წარდგენილ განცხადებაზე განემარტა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაციის უზრუნველყოფას ექვემდებარება 1998 წლის მაისის მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ბ-ას არ მიენიჭა ომში დაღუპული ოჯახის წევრის სტატუსი. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 09 ივნისის №1030 განკარგულებით ნ. ბ-ას უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უსაფუძლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით.

სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკელიდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-

2 პუნქტის თანახმად, ეს კანონი ვრცელდება იმ პირთა ოჯახებზე, რომლებიც იყვნენ საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა, სასჯელადსრულებისა და პრობაციის, ფინანსთა სამინისტროების (მათ შორის, ყოფილი სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის, სასჯელადსრულების დეპარტამენტის, საგარეო დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის, ფინანსური პოლიციის) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი სამხედრო ან გასამხედროებული ორგანიზაციების მოსამსახურები და მუშაკები (მათ შორის, თადარიგში დათხოვნილი (გადამდგარნი)), საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებებში ჩარიცხული სამოქალაქო პირები – მოხალისები, რომლებიც: а) დაილუპნენ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის; б) საბრძოლო მოქმედებების პერიოდში ასრულებენ მათთვის დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობას. ამავე კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ამ კანონით დადგენილი სოციალური დაცვის ღონისძიებები ვრცელდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დალუპულ, უგზო-უკვლიფ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ მებრძოლთა ოჯახების შემდეგ წევრებზე: ა) შრომისუუნარო მეულებზე, მშობლებსა და შვილებზე; ბ) არასრულწლოვან შვილებზე 18 წლის ასაკის მიღწევამდე.

სასამართლოს მითითებით, „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს მიეკუთვნებიან: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მონაწილეები: საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, აგრეთვე დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურები და მუშაკები, მათ შორის, თადარიგში დათხოვნილი (გადამდგარნი), საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხული სამოქალაქო პირები, მოხალისები. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და მტკიცებას არ საჭიროებს, რომ 1998 წლის იანვარში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არ მიმდინარეობდა, შესაბამისად, შეუძლებელია ვ. კ-ი ასეთი ბრძოლის დროს გარდაცვლილიყო.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ ვ. კ-ი დაჯილდოვებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის, თავდადებისა და თავგანნირვისათვის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ), რაც წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ პირად აღიარებას. შესაბამისად, ვ. კ-ი პრეზიდენტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უკეთ აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ პირად, რაც ოჯახის წევრის რეგისტრაციაში გატარებისა და მასზე შესაბამისი მოწმობის გაცემის საფუძველია.

აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 31 ივლისის დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების დებულების“ მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ვახტანგ გორგასლის ორდენით ჯილდოვდებიან საქართველოს სამხედრო მოსამსახურები, რომლებმაც სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლებში გამოიჩინეს გმირული თავდადება და მამაცობა, უნარიანი ხელმძღვანელობით უზრუნველყველების სამხედრო ნაწილებისა და ქვე-განაყოფების წარმატება, შეიმუშავეს და განახორციელეს საბრძოლო ოპერაციები. ვახტანგ გორგასლის ორდენი სამი ხარისხისაა. დაჯილდოება ხდება შემდეგი თანამიმდევრობით: III ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოვლენილი მაღალი საბრძოლო მომზადებისათვის. აღნიშნული ნორმების გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით ვ. კ-ის დაჯილდოვება ავტომატურად არ გულისხმობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ პირად აღიარებას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქეში წარმოდგენილი მტკიცებულებით, კერძოდ კი, საქართველოს შესამინისტროს შინაგანი ჯარების ... სამხედრო ნაწილის მეთაურის დ. ლ-ას მიერ გაცემული საბრძოლო მოკვლევით დადასტურდა, რომ აფხაზეთის დაცემის შემდეგ ვ. კ-ი მსახურობდა სხვადასახვა ძალოვან სტრუქტურებში. 1996 წლის თებერვლიდან ჩარიცხული იყო საქართველოს შესამინისტროს შინაგანი ჯარების ... სამხედრო ნაწილში ... თანამდებობაზე, შემდეგ კი ... იყო გადაყვანილი. ერთ-ერთი სამხედრო დავალების შესრულებისას 1998 წლის 14 იან-

ვარს ვ. კ-ი გმირულად დაიღუპა. ამდენად, სასამართლოს დასკვნით, ვ. კ-ი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაიცვალა და არა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ბ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივნისის №1030 განკარგულება; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის 2013 წლის 2 დეკემბრის №36-15 ოქმი, აგრეთვე 2013 წლის 12 დეკემბრის №4064/18 გადაწყვეტილება; სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს ნ. ბ-ას საქმესთან დაკავშირებული ფაქტების გამორკვევის, დადგენისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; შესაბამისად, ნ. ბ-ას უარი ეთქვა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დავალდებულებაზე გამორცა კონკრეტული შინაარსის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ნ. ბ-ას, როგორც ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის დროს დაღუპული ვეტერანის ოჯახის წევრის რეგისტრაციაში გატარებისა და შესაბამისი მოწმობის გაცემის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოცემულ საქმეზე საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა აღნიშნა, რომ საქართველოს შს სამინისტრომ სააპელაციო სასამართლოს წარუდგინა 1998 წლის 3 ივნისის დასკვნა. დასკვნაში მითითებულია, რომ ვ. კ-ი გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, რაც დასტურდე-

ბოდა 1998 წლის 02 ივნისს გაცემული №66182 გარდაცვალების მოწმობით. ამდენად, ორი სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოდან – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან და საქართველოს შს სამინისტროდან ვ. კ-ის საქმესთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტების შედარებითი ანალიზი ცხადყოფდა, რომ ამ დოკუმენტებში მითითებული ფაქტები და გარემოებები იყო ერთმანეთის გამომრიცხავი, დოკუმენტებში – დაჯილდოვების ფურცელში და 1998 წლის 3 ივნისის დასკვნაში განსხვავებულად იყო აღნერილი ერთი და იმავე პირის – ვ. კ-ის გარდაცვალების ფაქტი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს შს გენერალური შტაბის ვეტერანთა საქმების დეპარტამენტის 2013 წლის 02 დეკემბრის №36-15 ოქმი, აგრეთვე 2013 წლის 12 დეკემბრის №4064/18 გადაწყვეტილება არსებობად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 96-ე მუხლების, ასევე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის დებულებებს, რაც მათი ბათილად ცნობის საფუძველი იყო. ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოურკვევია და არ დაუდგენია საკითხი იმის შესახებ, თუ სად, რა ვითარებაში და რა მიზეზით გარდაიცვალა განმცხადებლის მეუღლე – ვ. კ-ი; საქმის სასამართლო განხილვამ ცხადყო, რომ სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოები ინახავდნენ ვ. კ-ის საქმეზე ერთმანეთის გამომრიცხავი ფაქტებისა და გარემოებების ამსახველ ოფიციალურ დოკუმენტებს ისე, რომ მოცემულ ადმინისტრაციულ საქმეში თავმოყრილი დოკუმენტების ერთობლიობა არ იძლეოდა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტზე, რომლითაც დადგენილია, რომ ამ კანონის შესაბამისად კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება ჰქონდათ: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს. ამდენად, დასახელებული ნორმის თანახმად, მხოლოდ იმ პირებს ჰქონდათ კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება, რომელთა ოჯახის წევრები გარდაიცვალნენ: 1) საქართველოს ტერი-

ტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს ან ამ ბრძოლის დროს მიღებული ჭრილობების შედეგად, 2) აგრეთვე, 1998 წლის მაისის მოვლენების დროს ან ამ მოვლენების დროს მიღებული ჭრილობების შედეგად, აგრეთვე 3) 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს ან ამ მოვლენების დროს მიღებული ჭრილობების შედეგად. გასაჩივრებული ინდ. აქტების დასაბუთება ცხადყოფს, რომ მოპასუხ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის წარსულში განხორციელებული ბრძოლის/ბრძოლების იურიდიული ფაქტის არსებობა დაუკავშირეს საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის კონკრეტულ ნაწილებს – მხოლოდ აფხაზეთსა და შიდა ქართლს, ასევე დროის კონკრეტულ მონაკვეთს – 1991 წლიდან 1994 წლამდე პერიოდს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ საქმეზე ნარმოდგენილი მთელი რიგი მტკიცებულებები მიუთითებს, რომ ვ. კ-ი დაიღუპა გალის რაიონის სოფ. ...., ანუ აფხაზეთის ტერიტორიაზე, თუმცა ვ. კ-ის გარდაცვალების სხვა ფაქტორები – გარდაცვალების ვითარება და გარდაცვალების დრო მოპასუხებს აძლევს იმის მტკიცების საფუძველს, რომ ვ. კ-ი არ გარდაცვლილა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის წარსულში განხორციელებული ბრძოლის დროს. თუმცა, თუკი მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის შედეგად ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად დადგინდება, რომ ვ. კ-ი ნამდვილად გარდაიცვალა გალის რაიონის სოფ. .... და თანაც იმ ვითარებაში, რა ვითარებაც აღნიშრილი არის დაჯილდოების ფურცელში, მოპასუხებმა სათანადო სამართლებრივი შეფასება უნდა მისცენ საქართველოს ტერიტორიის ოკუპირებულ ნაწილში (გალის რაიონი სოფ. ....) აფხაზეთის ა/რ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის ათეულის (რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ვ. კ-ი) შეყვანის ფაქტს, აგრეთვე, იმ ფაქტს, რომ ათეულის ამგვარი გადაადგილება მოხდა აფხაზეთის ა/რ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით, აგრეთვე იმ ფაქტს, რომ გალის რაიონის სოფ. .... ყოფნის დროს აფხაზ სეპარატისტებსა და აფხაზეთის ა/რ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის ათეულს შორის მოხდა საომარი შეტაკება.

ამასთან, მე-3 ხარისხის გახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოების სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 31 ივლისის დადგენილე-

ბით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების დებულების“ ნორმებზე მოპასუხებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება სააპლაციო სასამართლომ მოცემული საქმის არარელევანტურად მიიჩნია, რადგან ვ. კ-ი ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა 2000 წლის 04 ოქტომბერს, ხოლო დადგენილება მიღებულია 2009 წელს. 2000 წლის მდგომარეობით მოქმედებდა სამართლებრივი აქტი „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების დებულება“ რომელიც დამტკიცებული იყო „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 1992 წლის 24 დეკემბრის კანონით. დებულების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ მე-3 ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოების შესაძლებლობა უკავშირდებოდა პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების ფაქტს, ორდენით (როგორც მე-3 ხარისხის, ისე – მე-2 და 1-ლი ხარისხის ორდენებით) დაჯილდოების უმთავრესი და გადამწყვეტი წინაპირობა იყო პირის მიერ სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირული თავდადება, მამაცობა, მაღალი საპრძოლო მზადყოფნა.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 09 ივნისის №1030 განკარგულებას, იგი წარმოადგენს 6. პ-ას ადმინისტრაციული საჩივრის გამო მიღებულ გადაწყვეტილებას – ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. შესაბამისად, მისი გამოცემისას საქართველოს მთავრობას უნდა შეემოწმებინა გასაჩივრებული ინდივიდუალური აქტის კანონიერება როგორც ფაქტების, ისე სამართლებრივი ნორმების ჭრილში. სააპლაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 09 ივნისის №1030 განკარგულება არსებითად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 96-ე მუხლების, ასევე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის დებულებებს, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველი იყო.

თბილისის სააპლაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს მთავრობამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მითითებით, საქართველოს პრეზიდენტის ად-

მინისტრაციამ სასამართლოს წარუდგინა ყველა ის მტკიცებულება, რომლებიც საფუძვლად დაედო საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 4 ოქტომბრის №1063 განკარგულების გამოცემას, მათ შორის, დაჯილდოების ფურცელი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ვ. კ-ი გარდაიცვალა სეპარატისტთა ჯგუფთან შეტაკებისას გალის რაომნის სოფ. .... საქართველოს შესამინისტრომ სასამართლოს წარუდგინა ასევე 1998 წლის 3 ივნისის დასკვნა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფაქტებისა და დოკუმენტების ერთობლიობა არ იძლეოდა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის შესაძლებლობას, სასამართლომ მანიც წაწილობრივ დააკმაყოფილა 6. ბ-ას სარჩელი.

ამასთან, სასამართლომ გამოიკვლია რა ყველა ფაქტობრივი გარემოება, იგი უფლებამოსილი იყო დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, თავად მიეღო ობიექტური და კანონიერი გადაწყვეტილება.

კასატორის მოსაზრებით, ვ. კ-ი ვერ ჩაითვლება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაუცულ პირად. ის ფაქტი, რომ ვ. კ-ი მონაწილეობას იღებდა 1991-1994 წლებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში, რისი გათვალისწინებითაც იგი წარმოადგენდა ომის ვეტერანს, საქართველოს მთავრობის მიერ სადაცოდ გამხდარი არც ყოფილა. თუმცა აღნიშნული ვერ გახდება იმის საფუძველი, რომ ვ. კ-ი ჩაითვალოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, წარმოებული საბრძოლო მოქმედებების დროს გარდაცვლილ პირად, რადგან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საბრძოლო მოქმედებები არ მიმდინარეობდა 1998 წლის იანვარში. კანონმდებელი კი კომპენსაციის დანიშვნის უპირობო საფუძვლად უთითებს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებების პირის გარდაცვალების ან ამავე საბრძოლო მოქმედებებში მიყენებული ჭრილობების შედეგად მოგვიანებით გარდაცვალების ფაქტს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული სამროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს მთავრობის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 3 დეკემბრის განჩინებით საქარ-

თველოს მთავრობის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საქართველოს მთავრობის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩელე ნ. ბ-ა რეგისტრირებულ ქორნინებაში იმყოფებოდა ან გარდაცვლილ ვ.კ-თან. 1998 წლის 29 იანვარს გაცემული №078147 გარდაცვალების მოწმობით დადგენილია, რომ ვ. კ-ი გარდაიცვალა 1998 წლის 14 იანვარს ქალაქ ოჩამჩირეში, საბრძოლო ოპერაციის შესრულების დროს. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 13 მაისს გაცემული №01/98496 წერილით დადგენილია, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო აქტების ერთიან, ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ფიქსირდება მოქალაქე ვ. კ-ის მიმართ 1998 წლის 02 ივნისს ქ. თბილისის ტყიგარჩელის მშაჩის განყოფილების მიერ რეგისტრირებული გარდაცვალების აქტის ჩანაწერი. აღნიშნულ აქტზე დაყრდნობით, თბილისის სრ სამსახურის მიერ 2013 წლის 21 თებერვალს გაცემულ იქნა გარდაცვალების მოწმობა №011370006026.

საქართველოს შს სამინისტროს შინაგანი ჯარების ... სამხედრო ნაწილის მეთაურის დ. ღ-ას მიერ ხელმოწერილი საბრძოლო მოქვლევის თანხმად, აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებისას, 1992 წლის აგვისტოდან ვ. კ-ი იარაღით ხელში იცავდა სამშობლოს ტერიტორიულ მთლიანობას. ოჩამჩირეში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 24-ე ბრიგადის ჩამოყალიბებისთანავე იგი ჩარიცხულ იქნა ... მოტომსროლელ ბატალიონში ... თანამდებობაზე და აქტიურ მონანილეობას იღებდა ბატალიონის ყველა საბრძოლო ოპერაციაში. 1993 წლის მარტში სეპარატისტთა მიერ განხორციელებული შემოტევის მოგერიებისას, ვ. კ-ის საბრძოლო მოქმედება გამოირჩეოდა სამხედრო საქმის მაღალი ცოდნითა და წინდახედულობით, რისთვისაც იგი დაჯილდოვდა მედლით – „საბრძოლო მამაცობისათვის“. აფხაზეთის დაცემის შემდეგ, ვ. კ-ი მსახურობდა სხვადასახვა ძალოვან სტრუქტურებში. 1996 წლის თებერვლიდან ჩაირიცხა საქართველოს შს სამინისტროს შინაგანი ჯარების ... სამხედრო

ნაწილში და გამწესდა ... თანამდებობაზე, შემდეგ კი ... იქნა გა-დაყვანილი. ერთ-ერთი სამხედრო დავალების შესრულებისას 1998 წლის 14 იანვარს ვ. კ-ი გმირულად დაიღუპა.

საქართველოს შეირადებული ძალების გენერალური შტაბის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის 2013 წლის 02 დეკემბრის №36-15 სხდომის ოქმით დასტურდება, რომ 6. ბ-ას კომისიის უმრავლესობით უარი ეთქვა ომში დაღუპული ოჯახის წევრის სტატუსის მინიჭებაზე და დარჩა მხოლოდ მარჩენალდაკარგულის სტატუსი. საქართველოს შეიარადებული ძალების გენერალური შტაბის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის 2013 წლის 12 დეკემბრის №4064-18 გადაწყვეტილებით, მოსარჩევე 6. ბ-ას მის მიერ წარდგენილ განცხადებაზე განემარტა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფას ექვემდებარება 1998 წლის მაისის მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრები. ზემოაღნიშნულიდან გამოდინარე, 6. ბ-ას არ მიენიჭა ომში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსი. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 09 ივნისის №1030 განკარგულებით 6. ბ-ას უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაქმაყოფილებაზე უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს შეს სამინისტრომ სააპელაციო სასამართლოს წარუდგინა 1998 წლის 3 ივნისის დასკვნა, რომელიც შეეხებოდა ვ. კ-ის დაღუპვის შემთხვევას. დასკვნაში მითითებულია, რომ ვ. კ-ი გარდაცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, რაც დადასტურებულია 1998 წლის 02 ივნისს გაცემული №66182 გარდაცვალების მოწმობით. ამასთან, განსხვავებულად არის აღნერილი მისი გარდაცვალების ფაქტი.

ასევე დადგენილია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 4 ოქტომბრის №1063 განკარგულებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის, თავდადებისა და თავგანწირვისათვის – პოლიციის ლეიტენანტი, აფხაზეთის ა/რ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ასეულის პოლიციელი – ვ. კ-ი დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

განსახილებელი დავის საგანს სწორედ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის 2013 წლის 2 დეკემბრის №36-15 ოქმის,

ამავე დეპარტამენტის 2013 წლის 12 დეკემბრის №4064/18 გადაწყვეტილებისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივნისის №1030 განკარგულების კანონიერების დადგენა წარმოადგენს, რომლებითაც 6. ბ-ას უარი ეთქვა ომში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსის მინიჭებაზე.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსახილველი სამართლურთიერთობის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოების დადგენას, 6. ბ-ა ითვლება თუ არა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპული პირის ოჯახის წევრად, შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს ნარმოადგენს თუ არა იგი „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სუბიექტს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მათ სამართლებრივ შეფასებას და მიიჩნევს, რომ საქართველოს შს გენერალური შტაბის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის 2013 წლის 02 დეკემბრის №36-15 ოქმი და 2013 წლის 12 დეკემბრის №4064/18 გადაწყვეტილება არსებითად ენინააღმდეგება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 96-ე მუხლების, ასევე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „6“ ქვეპუნქტის დებულებებს, რაც მათი ბათილად ცნობის საფუძველია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოკერძულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა შეფასებისა და გამოკვლევის შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზო-

გადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილია, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომ-ლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ამავე კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიღლოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია 6. ბ-ას საქმის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებისა და ფაქტების გამოკვლევისა და შესწავლის გარეშე. კერძოდ, ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევია ვ. კ-ის გარდაცვალების შესახებ არსებული ურთიერთგამომრიცხავი ფაქტებისა და გარემოებების ამსახველი დოკუმენტები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე და განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს მიაკუთვნებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მონაწილეებს: საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამასახურებსა და მუშაკებს, მათ შორის, თადარიგში დათხოვნილებს საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხულ სამოქალაქო პირებს, მოხალისებრებს. აღნიშნული ნორმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს მიაკუთვნებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხოლოდ იმ მოსამასახურებს, რომლებიც მონაწილეობდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასაციის მოტივს იმასთან დაკავშირებით, რომ ვ. კ-ი ვერ ჩაითვლება საქართვე-

ლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულ პირად, რადგან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებული საბრძოლო მოქმედებები არ მიმდინარეობდა 1998 წლის იანვარში, კანონმდებელი კი კომპენსაციის დანიშვნის უპირობო საფუძვლად უთითებს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში პირის გარდაცვალების ან ამავე საბრძოლო მოქმედებებში მიყენებული ჭრილობების შედეგად მოგვიანებით გარდაცვალების ფაქტს.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით განმარტებს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეყნებშით დადგენილია, რომ ამ კანონის შესაბამისად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება აქვთ: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს. ამდენად, მითითებული ნორმის თანახმად, მხოლოდ იმ პირებს აქვთ კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება, რომელთა თვალის წილი გარდაცვლილნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს ან ამ ბრძოლის დროს მიღებული ჭრილობების შედეგად. ამასთან, კანონმა გააფართოვა ნორმის მოქმედების არალი და მიიჩნია, რომ 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს და ამ მოვლენების დროს მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებზეც გავრცელებულიყო მოცემული ნორმის მოქმედება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტის და გარემოების სათანადოდ და საფუძვლიანად გამორკვევის შედეგად უნდა განმარტონ, ხომ არ უტოლდება 1998 წლის იანვრის თვეში გალის რაიონის სოფ. ... განვითარებული მოვლენები, მიუხედავად მცირე მასშტაბისა და სათანადო, ოფიციალური სტატუსის არქონისა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის განხორციელებული ბრძოლის აქტს იმ ინტერესის გათვალისწინებით, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ საქართველოს კან-

ნის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის მოქმედება გავრცელდეს 6. ბ-ას შემთხვევაშიც. მოპასუხე მხარემ ასევე უნდა გააანალიზოს საკითხი იმის შესახებ, 1998 წლის იანვრის მოვლენები (თუკი ასეთ მოვლენებს ნამდვილად ჰქონდა ადგილი), რამდენად ჰგავს თავისი შინაარსით, მიზნებით და შედეგებით 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს პერიოდის მოვლენებს, რომლებზეც კანონში პირდაპირ არის მითითებული.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 4 ოქტომბრის №1063 განკარგულებაზე, რომლის თანახმად, ვ. კ-ი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის, თავდადებისა და თავგანწირვისათვის (სიკვდილის შემდეგ) დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. ამდენად, იგი აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს დაღუპულ პირად და საომარი მოქმედების დროს გამოჩენილი მამაცობის, თავდადებისა და თავგანწირვისათვის სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვებული ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით; ძალაში მყოფი საქართველოს პრეზიდენტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ვ. კ-ი უკვე აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს დაღუპულ პირად. შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ აღნიშნული განკარგულების გათვალისწინებით, ყველა ზემოაღნიშნული ფაქტისა და გარემოების და წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ითვლება თუ არა 6. ბ-ა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპული პირის ოჯახის წევრად და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპული მიღებულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სუბიექტად.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ სასამართლო პრაქტიკაზე (საქმე №ბს-83-80(კ-06); 25.07.2006წ. გადაწყვეტილება), სადაც განიმარტა, რომ „საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 22 დეკემბრის №1657 განკარგულებით გ. უ. აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს დაღუპულად და საომარი მოქმედების დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირ-

ვისათვის სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვებულია მედლით „მხედრული მამაცობისათვის“. ამდენად, ძალაში მყოფი საქართველოს პრეზიდენტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გ. უ-ი უკვე აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს დაღუპულ პირად. შესაბამისად, გ. უ-ის დედა ხ. უ-ი ითვლება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპული პირის ოჯახის წევრად და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლიდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სუბიექტად“.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კასატორს – საქართველოს მთავრობას ზემოაღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომელიც გააბათილებდა სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება არსებითად სწორია, არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი და იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, დატოვებულ უნდა იქნეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **დადგინდება:**

1. საქართველოს მთავრობის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამსახური აღდგენასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ აღსრულების კანონიერება

### განრიცხვა

№პს-778-770(ქ-15)

02 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სსირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური  
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალ-  
დებულება, ზიანის ანაზღაურება.

### აღწერილობითი ნაწილი:

ი. ჩ-ე-დ-მა 25.07.2014წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქა-  
ლაქო სასამართლოს მოპასუხის სსიპ ვეტერანების საქმეთა სა-  
ხელმწიფო სამსახურის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ ვე-  
ტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 14.04.2014წ. №543/  
18-2 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის  
და 08.07.2014წ. №401/18 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ვ.  
დ-ის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფ-  
ლებისა და დამოუკიდებლობისთვის დალუპულ პირად აღიარე-  
ბა, სსიპ ვეტერანების საქმების სახელმწიფო სამსახურისათ-  
ვის ი. ჩ-ე-დ-ისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დავა-  
ლება. მოსარჩელე მოთხოვნას აფუძნებდა შემდეგ გარემოებებ-  
ზე: ვ. დ-ი მსახურობდა თავდაცვის სამინისტროს გორის №1 სას-  
ნავლო ცენტრის მეთაურის მოადგილედ შეიარაღებისა და ტექ-  
ნიკის დარგში. 20.10.1993წ. მივლინებული იქნა დასავლეთ საქარ-  
თველოში საბრძოლო მოქმედებების შესასრულებლად. დაილუ-  
პა ქ. სენაკში 28.10.1993წ. საბრძოლო მოქმედებების შესრულე-  
ბის დროს, რის გამოც ამოირიცხა შეიარაღებული ძალების რიგე-  
ბიდან საქართველოს თავდაცვის მინისტრის 29.09.2004წ. ბრძა-  
ნების საფუძველზე. ვ. დ-ი გარდაცვალების შემდგომ სამშობ-  
ლოს დაცვისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი გმი-  
რობის, მამაცობისა და თავდაცებისთვის ვახტანგ გორგასლის  
სახელობის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. საქმე-  
ში დაცულ 24.01.1995წ. №328854 გარდაცვალების მოწმობაში

გარდაცვალების მიზეზად მითითებულია, რომ ვ. დ-ი გმირულად დაიღუპა საბრძოლო ოპერაციების შესრულებისას. გარდაცვლილი ვ. დ-ის მეუღლემ, ი. ჩ-ე-დ-მა განცხადებით მიმართა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს ვ. დ-ის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დალუპულ პირად აღიარების შესახებ, კანონმდებლობით გათვალისწინებული კომპენსაციის მიღების მიზნით, რაზეც გასაჩივრებული აქტებით უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ ვ. დ-ი დაიღუპა ქ. სენაკში, სადაც არ მიმდინარეობდა საბრძოლო ოპერაციები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. ი. ჩ-ე-დ-ი თვლის, რომ არსებობს გასაჩივრებული აქტების ბათოლად ცნობის საფუძვლები, ვინაიდან მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები: 16.12.1993 წ. №1515 საბრძოლო მოკვლევა, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 01.09.1994წ. №288 ბრძანებულება, რომლითაც სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისთვის გარდაცვალების შემდგომ ვახტაგზე გორგასლის სახელობის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა ვ. დ-ი, ასევე გარდაცვალების მონმობა ადასტურებს, რომ ვ. დ-ი ფაქტორივად აღიარებულია საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის შეპრძოლ პირად. სტატუსის მინიჭებაზე უარის გამო მიადგა ზიანი, რის შემდეგაც მიყენებული ზიანი უნდა აუნაზღაურდეს მოპასუხე ორგანიზაციისგან 2014 წლის იანვრიდან ყოველთვიურად 500 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.10.2014წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნანილობრივ, ვ. დ-ი აღიარებული იქნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დალუპულ პირად, ბათოლად იქნა ცნობილი სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 14.04.2014წ. №543/18-2 აქტი და 08.07.2014 წ. №401/18 გადაწყვეტილება, მოპასუხეს დაევალა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ი. ჩ-ე-დ-ისათვის ოში დალუპულის ოჯახის წევრის სტატუსის მინიჭების თაობაზე, ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6, მე-9 მუხლებზე და აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად, ვ. დ-ი 20.10.1993 წ. მიეღლინებული იყო დასავლეთ საქართველოში საბრძოლო მოქმედებების შესასრულებლად, 20.10.1993წ. №1 სასწავლო ცენტრის უფროსის ბრძანების საფუძველზე, რაც დადასტურებუ-

ლია 16.12.1993წ. №1515 საბრძოლო მოკვლევით, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს №1 სასწავლო ცენტრის უფროსი. ვ. დ-ი დაიღუპა 28.10.1993 წ. ქ.სენაკში, სიკვდილი დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, ხოლო საქართველოს თავდაცვის მინისტრის 29.09.2004წ. №1/778 ბრძანებით ვ. დ-ი ამორიცხული იქნა შეიარაღებული ძალებიდან 23.10.1993 წ. (დაღუპვის დღიდან). სასამართლომ მიიჩნია, რომ სიკვდილი დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან და ყველა მითითებული დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული მტკიცებულება, დღეისათვის ძალაშია და სადაცვოდ არავის არ გაუხდია. სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. დ-ი ნამდვილად სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა, სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენდა დასავლეთ საქართველოში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება, რაც მას დაევალა უფლებამოსილი პირის – საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს №1 სასწავლო ცენტრის უფროსის №416 ბრძანების საფუძველზე.

„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 24.12.1992წ. დადგენილება შემუშავდა საქართველოს რესპუბლიკის იმ მოქალაქეთა დასაჯილდოებლად, რომელთაც გმირობა, მამაცობა გამოიჩინეს სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში, განსაკუთრებული პირადი წვლილი მიუძლვით დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში, სწორედ ასეთი მოქალაქეებისათვის არის დაწესებული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოები და მედლები. I ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიან ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურების, თავდადებისა და თავგანწირვისათვის. სასამართლომ მიიჩნია, რომ ძალაში მყოფი დოკუმენტებით აღიარებულია, რომ ვ. დ-ი გმირულად დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, შესაბამისად აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მონაწილედ, ხოლო მისი ოჯახის წევრი, მეუღლე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის დაღუპული პირის ოჯახის წევრად.

რაც შეეხება მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების შესახებ, სასამართლომ ჩათვალა, რომ სახეზე არ არის სზაჟ-ის 207-ე და 208.1 მუხლებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების საფუძ-

ვლები, რის გამოც მოთხოვნა ამ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 13.10.2014წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა. ი. ჩ-ე-დ-მა წარადგინა შეგებებული სააპელაციო საჩივრი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.07.2015წ. გადაწყვეტილებით სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის სააპელაციო საჩივრი დაკმაყოფილდა, ი. ჩ-ე-დ-ის შეგებებული სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 13.10.2014წ. გადაწყვეტილების გაუქმებით და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, ი. ჩ-ე-დ-ის სარჩევი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ დაუშვებელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლად განიმარტოს ქვეყნის შიგნით არსებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობები წინააღმდეგობრივია, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლომ ერთმანეთთან გააიგივა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ქვეყნის შიგნით არსებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში მონაწილეობასთან და აღნიშნულ დასკვნას საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ქ. სენაკში, ბრძოლები მიმდინარეობდა არა მარტო ქვეყნის შიგნით არსებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან, არამედ აფხაზ სეპარატისტებთან და ბრძოლა მიმდინარეობდა სწორედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, რაც სააპელაციო სასამართლოს აზრით მცდარ დასკვნას წარმოადგენს. სასამართლომ აღნიშნა, რომ უახლოეს წარსულში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა აფხაზეთსა და შიდა ქართლში, შესაბამისად, დასავლეთ საქართველოში, ქ. სენაკში, ქვეყნის შიგნით არსებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტი ვერ შეფასდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლებში მონაწილეობად.

ის გარემოება, რომ ვ. დ-ი დაჯილდოვდა ვახტან გორგასლის

სახელობის პირველი ხარისხის ორდენით, არ გულისხმობს, რომ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (1994 წლის 1 სექტემბრის №288 ბრძანებულება) იგი უკვე აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს დაღუპულ პირად. ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიან ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურების, თავდადებისა და თავგანწირვისათვის ანუ სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული ღვაწლი, თავდადება და თავგანწირვა შეიძლება გამოიხატოს, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის შეტანილი წვლილით, ასევე პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოვლენილი თავდადებით, იქნება ეს უშუალოდ სამხედრო სამსახური, თუ სხვა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საქმიანობა.

სააპელაციო სასამართლომ მიჩნია აგრეთვე, რომ არ არსებობდა ზიანის ანაზღაურების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.07.2015. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა ი. ჩ-ე-დ-ის მიერ.

კასატორი ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების გზით ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც დაკამაყოფილდება სარჩელი სრულად. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა. სასამართლოს დასკვნები იურიდიულად დაუსაბუთებელია, რადგან ისინი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტორიც გარემოებებიდან არ გამომდინარეობს. კასატორი თვლის, რომ საქმეში დაცული მტკიცებულებებით ვ. დ-ი ფაქტობრივად აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ პირად. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას, აფხაზეთისა და შიდა ქართლის გარდა, ადგილი არ ჰქონია, კასატორის აზრით არის დაუსაბუთებელი, აღნიშნული არ გამომდინარეობს „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შინაარსიდან, სასამართლო არ ასაბუთებს თავის დასკვნას, რომ შიდა დაპირისპირებას არ შეიძლება ჰქონდეს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის სტატუსი. სასამართლოს მოსაზრება ორდენის მინიჭების საფუძველთან დაკავშირებით ბათილდება საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 01.09.1994წ. №288 ბრძანებულებით. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა საკასაციო სასამართლოს 25.07.06წ.

№ბს-83-80 (კ-06) გადაწყვეტილება. კასატორი ასევე ითხოვს ზიანის ანაზღაურებას მოპასუხისავან 2014 წლის 01 იანვრიდან 500 ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლიდან – 1000 ლარის ოდენობით. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ზიანთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ სტატუსის მინიჭებაზე სამსახურის უარის გამო მოსარჩელებ ვერ ისარგებლა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებით.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა საკაციო საჩივარზე წარდგენილ შესაგებელში აღნიშნა, რომ „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს თუ ვინ ითვლება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და დამოუკიდებლობისათვის საპრძოლო მოქმედებების ვეტერანად. დაუშვებელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლად განიმარტოს ქვეყნის შიგნით არსებულ არაფორმალურ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან საპრძოლო მოქმედებაში მონაწილეობა. ვ. დ-ის დაჯილდოვება ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით არ არის საკმარისი ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში დალუპულ პირად აღიარებისათვის, დაჯილდოვება მოიაზრებს არა მხოლოდ ტერიტორიული ერთიანობისათვეს წარმოებულ ბრძოლაში მონაწილეობას, არამედ აგრეთვე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოვლენილ მაღალ საპრძოლო მომზადებას, ხელმძღვანელობის მიერ მიცემული საპრძოლო დავალების წარმატებით შესრულებას, შესაგებლის ავტორი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებებზე, რაც უკავშირდება დასახული ამოცანის ყოველგვარ პირობებში შესრულებას, მაშინაც კი თუ მოსამსახურის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ ი. ჩ-ე-დ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება აქვთ: საქართველოს ტე-

რიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წელს მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს. ამავე კანონის 22<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“-„ო“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირებს კომპენსაციია სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომელთა ოჯახის წევრები გარდაცვალნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს ან ამ ბრძოლის დროს მიღებული ჭრილობების შედეგად. დავის საგანს წარმოადგენს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ პირად ვ.დ.-ის აღიარება, სისიც ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 14.04.14ნ. №543/18-2 ზერილის და 08.04.14ნ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, მოსარჩევე ი. ჩ-ე-დ-ის ომში დაღუპულის ოჯახის წევრის სტატუსის მინიჭების თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, ზიანის ანაზღლაურება. დავის გადაწყვეტა საჭიროებს მოსარჩევის ი. ჩ-ე-დ-ის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული პირის ოჯახის წევრობის დადგენა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ი. ჩ-ე-დ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ ქმნის ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება მასზედ, რომ ვ. დ-ი დაიღუპა ქ. სენაკში, სადაც არ მიმდინარეობდა საბრძოლო ოპერაციები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. გასაჩივრებულ აქტში მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დამატებით საფუძვლად მითითებულია აფხაზეთში საომარი მოქმედებების დასრულების თარიღი – 30.09.1993წ.. საკასაციო პალატა თვლის, რომ მითითებული მსჯელობა არ ასაბუთებს სადაც აქტებით მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. საბრძოლო მოკვლევის მასალების მიხედვით ვ. დ-ი დასავლეთ საქართველოში იქნა მივლინებული 20.10.1993წ., საბრძოლო მოქმედებების შესასრულებლად. საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ ვახტანგ გორგასალის I ხარისხის ორდენით ვ. დ-ი დაჯილდოვდა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 01.09.1994წ. №288 პრძანებულებით. ამ პერიოდში მოქმედმა „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ 24.12.1992 წ.

კანონით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ჯილდო-ების – ორდენებისა და მედლების დებულება“ ადგენდა, რომ ვახ-ტანგ გორგასლის ორდენით ჯილდოვდებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მოსამსახურენი, რომლებმაც სამშობ-ლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლებში გამოიჩინეს გმი-რული თავდადება და მამაცობა, უნარიანი ხელმძღვანელობით უზრუნველყველს სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების წარ-მატება, შეიმუშავეს და განახორციელეს საბრძოლო ოპერაციე-ბი (მე-3 მუხ.). სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ღვაწ-ლი, თავდადება და თავგანწირვა, რისთვისაც სიკვდილის შემ-დეგ ორდენით დაჯილდოვდა ვ. დ-ი, შეიძლება გამოიხატოს რო-გორც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში შეტანილი წვლილით, ასევე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოვლენილ თავდადებაში, არ გამორიცხავს ი. ჩ-ე-დ-ის მოთ-ხოვნის დაკამაყოფილების შესაძლებლობას. სააპელაციო სასა-მართლო უთითებს, რომ I ხარისხის ორდენით დაჯილდოვება უპირობოდ არ გულისხმობს საქართველოს ტერიტორიული მთლი-ანობისათვის, თავისუფლების და დამოუკიდებლობისათვის და-ლუპულ პირად აღიარებას. აღნიშნულს სააპელაციო პალატის აზ-რით არ ადასტურებს აგრეთვე ის გარემოება, რომ ვ. დ-ი გარდა-იცვალა სამსახურებრივი მოვალეობას შესრულების დროს, საბ-რძოლო მოქმედების შედეგად. საკასაციო პალატა ყურადღებას ამავილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 01.09.1994წ. №228 ბრძანებულების ტექსტის თანახმად ვ. დ-ი და-ჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით „საქარ-თველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩე-ნილი მამაცობისათვის, თავდადებისა და თავგანწირვისათვის (სიკვდილის შემდეგ)“. ადმინისტრაციულმა ორგანომ დასაბუთე-ბის გარეშე ფაქტობრივად უგულებელყო სახელმწიფო მეთაუ-რის 01.09.1994წ. №228 ბრძანებულება, სახელმწიფო ჯილდოე-ბის მინიჭების მომწესრიგებელი კანონმდებლობა, მაშინ, როდე-საც „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ კანო-ნის 2.1 მუხლის თანახმად, „ვეტერანების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა მოიცავს ამ კანონს, სახელმწიფოს სხვა საკა-ნონმდებლო აქტებს, აგრეთვე, საერთაშორისო ხელშეკრულე-ბებსა და შეთანხმებებს“.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ტერიტორიული ერთია-ნობისათვის ბრძოლა არ გულისხმობს მხოლოდ გარე აგრესისა-გან დაცვას. ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობისათვის საფ-რთხის არსებობის დადგენა უკავშირდება დაპირისპირების მას-შტაბის, საფრთხის ხარისხის დისკრეციული შეფასების სფეროს,

შესაბამისად სახელმწიფი მეთაურის ბრძანებულებაში აღნიშნული გარემოებების უარყოფა საჭიროებდა სათანადო დასაბუთებას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ 1993 წლის ოქტომბერში საქართველოში ადგილი ჰქონდა საბრძოლო მოქმედებებს, ქ. ქუთაისში გამოცხადებული იყო კომენდანტის საათი, შექმნილი იყო საგანგებო სიტუაციების დროებითი კომიტეტი, ამასთანავე, იმუამად შექმნილი მდგომარეობა, კერძოდ, შეიარაღებული ფორმირებების მიერ რიგი დასახელებული პუნქტების დაკავება, სახელმწიფი მეთაურის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბრძანებულებით დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების რაიონის (ზუგდიდის, წალენჯიონის, ხობის, სენაკის, ჩხოროცის, მარტვილის, აბაშის, სამტრედიის, ვანის, ხობის, ლანჩხუთის, ოზურგეთის რაიონებში და ქ. ფოთში) დროებითი კომიტეტის შექმნა, თავმჯდომარედ სახელმწიფო მინისტრის დანიშვნა, შექმნილი ვითარების გამო გვარდიის სპეცრაზმის დაარსება, ქ. ქუთაისში კომენდანტის საათის გამოცხადება, საბრძოლო მოქმედებების მძიმე ტექნიკისა და არტილერიის გამოყენება, საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოყენება ადასტურებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის საშიშროების არსებობას, შექმნილი კონკრეტული ვითარება ქმნიდა საბრძოლო მოქმედებებში დაღუპული პირებისთვის, სახელმწიფო მეთაურის გადაწყვეტილებით, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ პირად მიჩნევის პირობას.

მოპასუხის მითითება იმაზე, რომ „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ 17.10.1995წ. კანონის მე-8 მუხლის თანახმად საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებას განეკუთვნება მხოლოდ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირების განსაზღვრა, არ ადასტურებს მოთხოვნის უსაფუძვლობას. სახელმწიფო მეთაურის 01.09.1994წ. №288 ბრძანებულება გამოიცა „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ 17.10.1995წ. კანონის მიღებამდე, სახელმწიფო მეთაურის 01.09.1994წ. №228 ბრძანებულების გამოცემის დღის მოქმედი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო მეთაური იყო საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას. სახელმწიფო მეთაურის განკარგულება არის აღმჭურველი აქტი, იგი ძალაშია, „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ კანონის

მიღებით სახელმწიფო მეთაურის 01.09.1994წ. №228 ბრძანებულება არ გაუქმებულა, ბრძანებულება მოქმედებს და ის სადაც არავის გაუხდია. „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონის 17.17 მუხლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის ორდენებით და მედლებით დაჯილდოვება შეადგენდა სახელმწიფო მეთაურის უფლებამოსილების სფეროს. დაჯილდოვების დროს მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ, „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოვების დაწესების შესახებ“ კანონი ადგენდა სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში თავგანწირვისათვის გახტანგ გორგასლის | სარისხის ორდენით დაჯილდოვებული პირის ტერიტორიული ერთიანობისათვის მებრძოლად მიჩნევის შესაძლებლობას, დაჯილდოვების სამართლებრივი საფუძველი იყო „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოვების დაწესების შესახებ“ კანონი, სახელმწიფო მეთაურის აქტით, ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, დაკონკრეტდა ჯილდოს მიზნების გარემოება – „სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის“. ასეთ შეფასებას არ გამორიცხავს მობასუხის მითითება სამხედრო მოსამსახურის ზოგად ვალდებულებებზე, კერძოდ, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის 2.1, 22-ე მუხლებზე, რომელთა მიხედვით სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი წებისმიერ სიტუაციაში, მაშინაც კი როდესაც მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. საკასაციო პალატა თვლის, რომ სამხედრო მოსამსახურის ზოგადი ვალდებულება დაიცვას სამშობლოს სუვერენიტეტი და მთლიანობა საკუთარი სიცოცხლის ფასად არანაირად არ უარყოფს სახელმწიფოს შესაძლებლობას და ვალდებულებას მაღალი შეფასება მისცეს სამხედრო მოსამსახურის მიერ გამოჩენილ თავგანწირვას.

სახელმწიფო მეთაურის განკარგულების ტექსტი დაჯილდოვების მიზეზად ერთმნიშვნელოვნად უთითებს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში სიმამაცის გამოჩენას, სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულების ტექსტიდან გამომდინარე, არსებობს ვ. დ-ის სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დალუპულ პირად მიჩნევის საფუძველი. ძალაში მყოფი სახელმწიფოს მეთაურის 01.09.1994წ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გათვალისწინებით და საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის (სუს 25.07.06წ. №83-80(კ-06)) მიხედვით სახელმწიფოს მეთაურის აქტით უკვე აღიარებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის

ბრძოლის დროს დაღუპული პირის ოჯახის წევრი ითვლება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპული პირის ოჯახის წევრად და „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უზარ-ზო-უკვლიდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სუბიექტად.

„ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრულია ვეტერანთა კატეგორიები, კერძოდ: მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; სამხედრო ძალების ვეტერანები. ამავე კანონის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს, სხვებთან ერთად, მიეკუთხნებიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მონაწილეები: საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების, აგრეთვე დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსამსახურები და მუშაკები, მათ შორის თადარიგში დათხოვნილნი (გადამდგარი), საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებაში ჩარიცხული სამოქალაქო პირები, მოხალისეები.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 14.11.116. №871 ბრძანებით დამტკიცებული „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით მონმობების გაცემის თაობაზე“ ინსტრუქცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედების მონაწილეს-თან მიმართებით უთითებს არა კონკრეტულ რეგიონს, არამედ კონფლიქტურ ზონებს, სადაც მიმდინარეობდა საბრძოლო ოპერაციები. ინსტრუქციის მე-6 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედების მონაწილეს დამადასტურებელი ვეტერანის მოწმობის მაძიებლისათვის ადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურიდან და სხვა შესაბამისი უწყებიდან ნების-

მიერი დოკუმენტის და სხვა მტკიცებულების წარმოდგენას, რომლებიც ადასტურებენ კონფლიქტურ ზონაში საბრძოლო მოქმედებების პერიოდში სამხედრო ფორმირებაში სამსახურს და საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობას (სამხედრო ბილეთში შესაბამისი ჩანაწერი; ჩარიცხვის, ამორიცხვის, მივლინების, წახალისების, წოდების მინიჭების, დაჯილდოვების ბრძანებები, სამხედრო ტრავმის მიღების, იარაღის, ფორმა-ტანსაცმლის, სურსათის, ხელფასის მიღების შესახებ საბუთები და სხვ.). საქართველოს თავდაცვის მინისტრის 14.11.11წ. №871 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-6 მუხლის „ვ.ა“ ქვეპუნქტი აგრეთვე ადგენს მაძიებლის ვალდებულებას წარმოადგინოს საბრძოლო მოკვლევა. ვ. დ-ის სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეობას, ბრძოლაში გამოჩენილ თავდაცებას ადასტურებს საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 01.09.1994წ. №288 ბრძანებულება, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს №1 სასწავლო ცენტრის უფროსის პოლკოვნიკ გ. ი-ძის საბრძოლო მოკვლევა, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პირად შემადგენლობასთან მუშაობის სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ დ. ს-ძის 27.12.94წ. წერილი. ამასთანავე, საქართველოს მთავრობის 22.08.14წ. №509 დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერანის მოწმობის ნიმუშისა და მისი გაცემის წესის“ პირველი დანართის 1.2 მუხლის შესაბამისად, ტერმინი „ომი“ გულისხმობს „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებს, ხსენებული დებულებები, სხვებთან ერთად, ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებს („გ“ ქვეპუნქტი).

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონში 27.12.13წ. კანონით შეტანილი და 2014 წლის 1 იანვარს ამოქმედებული დამატების თანახმად კომპენსაციის მიმღებ პირთა შორის სხვებთან ერთად გათვალისწინებულია აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახის წევრები (მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი, 22<sup>1</sup> მუხლი). ნოვაციები ითვალისწინებენ კომპენსაციის დანიშვნას არა მხოლოდ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ პირთა ოჯახებისათვის, არამედ აგრეთვე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახის წევრთათვის. ამასთანავე, მოსარჩელე არის „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და-

ლუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ 27.12.1996წ. კანონის სუბიექტი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ №46/6 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ (№2 დანართი) 15.2 მუხლის „ა2“ ქვეპუნქტი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებისთვის კომპენსაციის დანიშვნისათვის წარსადგენ დოკუმენტთა შორის ითხოვს სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფოფო სამსახურის მიერ გაცემულ ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს ან შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელ ცნობას. ი. ჩ-ე-დ-ს მინიჭებული აქვს მარჩენალდაკარგულის კატეგორია (ინსტრუქციის მე-3 მუხ. „ე“ ქვეპუნქტი). იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 14.11.11წ. №871 ბრძანებულებით დამტკიცებული ნისტრო დადგენილებით დამტკიცებული ნესით (1.1 მუხ.) გათვალისწინებულია ომში დაღუპულის ოჯახის წევრის კატეგორია, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ემსჯელა ი. ჩ-ე-დ-ის საქართველოს თავდაცვის მინისტრის 14.11.11წ. №871 ბრძანებით დამტკიცებული «ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირების აღრიცხვის, მათთვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით მოწმობების გაცემის შესახებ“ ინსტრუქციის მე-6 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით და მე-7 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ომში დაღუპულის ოჯახის წევრის“ კატეგორიისადმი მიუთვნების შესაძლებლობაზე. ომში დაღუპული ოჯახის წევრის და მარჩენალდაკარგულის მოწმობის მაძიებლისათვის ინსტრუქციით განსაზღვრულია წარსადგენი დოკუმენტაციის ერთიანი პაკეტი (მე-6 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი), ამასთანავე ინსტრუქციის მე-7 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ომში დაღუპულის ოჯახის წევრის მოწმობა გაიცემა „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის და მე-4 მუხლით გათვალისწინებულ პირებზე. სადაც აქტებში არ არის დასაბუთებული თუ რატომ არ პასუხობს ი. ჩ-ე-დ-ის მონაცემები აღნიშ-

ნული კანონის 1-ლი მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებს, მე-4 მუხლის მოთხოვნებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ი. ჩ-ე-დის სახელზე გაცემული მარჩენალდაკარგულთა მოწმობა ინსტრუქციის მე-7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად გაიცემა „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე. აღნიშნული პუნქტი, სხვებთან ერთად, ითვალისწინებს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების დროს დალუპულთა ოჯახის წევრთა სოციალურ დაცვას. ადმინისტრაციულ ორგანოს სადაცო აქტი და სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს ი. ჩ-ე-დ-ისათვის „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტაპენდიის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით და 22<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის მიღებისათვის საჭირო სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის დასაბუთებას.

სადაცო აქტების პათოლად ცნობაზე სტატუსის მინიჭებაზე აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნაზე უარის თქმის გამო სააპელაციო პალატამ არ იქნია მსჯელობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე (2014 წლის 1 იანვარის თვიდან 500 ლარის, ხოლო 2015 წლიდან 1000 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურება). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხსენებული მოთხოვნა საჭიროებს მოსარჩელისათვის სტატუსიდან გამომდინარე კომპენსაციის მიღების საკითხების გარკვევას. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დალუპულის ოჯახის წევრის სტატუსის მინიჭება არ გულისხმობს კომპენსაციის დანიშნვას დაუყოვნებლივ და უპირობოდ, რადგან კომპენსაციის მინიჭება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006 №46/6 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშნვისა და გაცემის წესით“ გათვალისწინებული პროცედურის გავლას ითვალისწინებს. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, რომ მოსარჩელეს მინიჭებული აქვს მარჩენალდაკარგულის და არა ოში დალუპულის ოჯახის წევრის სტატუსი, სტატუსის დაზუსტების, მისი შეცვლის საკითხი მას მანამდე არ მოუთხოვია, სტატუსის შეცვლის საკითხი მოსარჩელემ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ დასვა. სკ-ის 1005-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ზიანის ანაზღაურება არ წარ-

მოიშობა, თუ დაზარალებული განზრას ან უხეში გაუფრთხილებ-ლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი. ზიანის ანაზღაურების წინაპირობები დადგენილია სკ-ის 992-ე მუხლით. მიყენებული ზიანის ანაზღაურების აუცილებელ პირობად მითითებული მუხლი ითვალისწინებს ზიანის მიყენების ფაქტის არსებობას, მიყენებულ ზიანსა და ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის, ქმედების მართლწინააღმდეგობის და ბრალის კუმულატიურად არსებობას. სააპელაციო პალატამ უნდა იქონიოს მსჯელობა მოცემულ შემთხვევებში მითითებული კუმულატიური პირობების არსებობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არის დაუსაბუთებელი, სასამართლოს სრულყოფილად არ გამოკვლევია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ მისცა მათ სათანადო სამართლებლივი შეფასება, განჩინება მოკლებულია სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ზემოაღნიშნული თავის მხრივ გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსთვის დაბრუნების პირობაა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. ჩ-ე-დ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.10.2014წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საპირელი

- 1. სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება**  
თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშვნა  
კონკურსის შედეგების გასაჩიტრება ..... 3; 50; 57  
კონკურსის შედეგები საჯარო მოხელეთა შერჩევა ..... 30
- 2. სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინური**  
გადაცდომისათვის ან სამსახურებრივი  
მოვალეობის დარღვევის გამო  
სამსახურიდან გათავისუფლება სამსახურებრივი  
მოვალეობის დარღვევის გამო ..... 69; 85  
სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი  
განაცდურის ანაზღაურება ..... 113  
სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირების გამო  
და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ..... 131  
სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირების გამო ..... 145  
სამსახურიდან გათავისუფლება  
სამსახურის ვადის გასვლის გამო ..... 167  
დროებითი მოვალეობის შემსრულებლის  
სამსახურიდან გათავისუფლება ..... 177
- 3. სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საფუძვლები**  
კომპენსაციის დანიშვნა საქართველოს  
ტერიტორიული მთლიანობისათვის  
დაღუპულის ოჯახის წევრებისათვის ..... 187  
სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებით  
დაუყოენებლივ აღსრულების კანონიერება ..... 205